აბელ სურგულაძე

დიპლომატიური გრძოლის ისტორიიდან

(თეირანი, იალტა, პოტსდამი)

გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა"
ბათუმი
1985

63.3(2)722
ს 96

რეცენზენტები: პროფ. ა. ჩხეიძე, პროფ. პ. ცქვიტარია.

არსებული ლიტერატურის, ნოგონებებისა და სხვა მასალის საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია სამი დიდი სახელმწიფოს (სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი) მთავრობათა მეთაურების (ი. სტალინი, ფ. რუზველტი, უ. ჩერჩილი) თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მომზადება და მსვლელობა, მიღებულ გადაწყვეტილებათა როლი მეორე მსოფლიო ომში ანტიფაშისტური კოალიციის განმტკიცების, ომისშემდგომი მსოფლიოს დემოკრატიული მოწყობის, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. აქვე მხილებულია ისტორიის ფალსიფიკატორები, რომლებიც ცდილობენ აღნიშნული კონფერენციების მნიშვნელობის დაკნინება-გაყალბებას. ამდენად წიგნი საინტერესოა კონტრპროპაგანდისტული თვალსაზრისითაც.

რედაქტორი პროფ. **კარლო ცქიტიშვილი**

ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის გაწევა სუსტებისათვის — ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს.

ი. სტალინი

მისი ჭიდილი ღმერთაცის ბრძოლას ჰგავდა.

ძველბერძნული მითიდან

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სამი ქვეყნის — სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის მთავრობათა მეთაურების თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციებმა უდიდესი როლი შეასრულეს მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა სწორედ ამ კონფერენციებზე შეათანხმეს ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების გეგმები, აგრეთვე ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის პრობლემები. ასე რომ კონფერენციებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესაძლებლობა 'არა მარტო ომის დროს, არამედ ომის შემდგომ პერიოდშიც.

ქართული ისტორიოგრაფია ვალშია მეორე მსოფლიო ომის ამ უმნიშვნელოვანესი კონფერენციების ისტორიის წინაშე. ქართულ ენაზე დღემდე არა გვაქვს არა თუ ორიგინალური გამოკვლევა, არამედ საკითხავი წიგნიც კი. მართალია უკანასკნელ ხანს დაიბეჭდა რამდენიმე მოგონება და ნაშრომი[1], მაგრამ ეს მდგომარეობას ვერ ცვლის. 1971 წელს ქართულად გამოქვეყნდა (მეორედ) თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების სტენოგრაფიული ჩანაწერები, მაგრამ იგი სრული არაა. ამასთან, მასში ვერ აისახა ამ კონფერენციებთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხიც.

წინამდებარე ნარკვევი ამ ხარვეზის შევსების ცდაა. ვფიქრობთ, იგი, რამდენადმე მაინც, დაეხმარება მკითხველს გაეცნოს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სამი უმნიშვნელოვანესი კონფერენციის მომზადებასა და მუშაობას, მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებებს და მათ როლს ანტიფაშისტური კოალიციის შექმნა-განმტკიცებაში.[2]

---

1 ვ. ბერეჟკოვი, თეირანი — 1943, თბ., 1972; დ. ენუქიძე, უახლესი დროის საერთაშორისო კონფერენციები, თბ., 1964; ან. სურგულაძე, მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიის ისტორიიდან (თეირანის კონფერენცია), საქართველოს პედინსტიტუტების შრომები, ტ. I, თბ., 1974; გ. მეღლიძე, ოპერაცია „არგონავტი". ჟურნ. „განთიადი", № 3, 1980.

2 უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ალ. ჩაკოვსკის, ს. დანგულოვის და სხვების მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც დოკუმენტურად აღწერილია საბჭოთა მთავრობის დიპლომატიური საქმიანობა ომის წლებში. შესაბამისი თავები, რომლებიც მიეძღვნა პოტსდამის კონფერენციას, ითარგმნა ქართულ ენაზე და დაიბეჭდა ჩვენს პრესაშიც. ახლახან ჟურ. „პარტიულმა სიტყვამ" გამოაქვეყნა ვ. ბერეჟკოვის დოკუმენტური ნარკვევიც „თეირანიდან იალტამდე". (№ 19-23, 1984).

თეირანის კონფერენცია

სტალინმა გვიჩვენა ძალა, ენერგია და მართვის ხელოვნება.

ჩუზველტი

სამი დიდი სახელმწიფოს — სსრკ, აშშ და ინგლისის მთავრობათა მეთაურები თეირანში შეხვდნენ ერთმანეთს მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე. სტალინგრადთან გამარჯვებით კიდევ უფრო გაფართოვდა ძირეული გარდატეხა გერმანია-სსრ კავშირის ფრონტზე საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ. 1943 წლის მარტისათვის, ზამთრის კამპანიის დამთავრებისას, საბჭოთა არმიამ მტრისაგან გაათავისუფლა 480 ათასი კვ კმ ტერიტორია და ფრონტის ზოგ უბანზე 600-700 კმ წაიწია წინ. მოპოვებული წარმატება კიდევ უფრო განამტკიცა კურსკის რკალზე გამარჯვებამ (1943 წლის ზაფხული), რის შედეგადაც საბჭოთა არმიამ გერმანელებისაგან გაწმინდა უკრაინის დიდი ნაწილი კიევითურთ, ტამანის ნახევარკუნძული და შევიდა ბელორუსიაში.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა მოკავშირეებმაც ომის სხვა ფრონტებზე. 1942 წლის 23 ოქტომბერს მათ ჩრდილოეთ აფრიკაში ელ-ალამეინთან ბრძოლაში დაამარცხეს გერმანელები, ხოლო 1943 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გაარღვიეს იტალია-გერმანიის ჯარების გამაგრებული ზღუდეები აპენინის ნახევარკუნძულზე და აიძულეს

იტალია გუშინდელი მოკავშირის — ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიემართა იარაღი. მართალია, მათ ვერ შეძლეს ჩრდილოეთ იტალიაში მდინარეების სანგრისა და გარილიანოს ნაპირებზე აღმართული ჰიტლერელთა სიმაგრეების გადალახვა, მაგრამ მოპოვებული წარმატებანი ფრონტის ამ უბანზე მაინც საგრძნობი იყო.

ასეთ ვითარებაში მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელთა წინაშე დღის წესრიგში დადგა უმაღლეს დონეზე კონფერენციის მოწვევის იდეა, რადგან სასწრაფო პასუხს მოითხოვდა გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ამოცანები. კერძოდ, აუცილებელი იყო მოქმედების კოორდინაცია და მეორე ფრონტის გახსნის საკითხის მოგვარება, რათა ანტიფაშისტური კოალიციის ხელმძღვანელებს დაეჩქარებინათ ჰიტლერული გერმანიის განადგურება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სამი სახელმწიფოს მეთაურების აზრთა გაცვლა-გამოცვლა ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხებზეც.

კონფერენციის მოწვევას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი დიპლომატიური მიმოწერა შეხვედრის ადგილის შესახებ. სამივე ხელმძღვანელი ერთსულოვანი იყო საერთოდ შეხვედრის აუცილებლობასა და სარგებლიანობაში, მაგრამ სად უნდა მოეწვიათ იგი, ეს დიდ კამათს იწვევდა. სტალინმა დაასახელა ასტრახანი ან არხანგელსკი. ჩერჩილმა უარი გაბაცხადა, სამაგიეროდ 1943 წლის 19 ივნისის წერილში შოტლანდიის ჩრდილოეთში არსებულ ინგლისის საზღვაო-საჰაერო ბაზა სკაპა-ფლოუში შეხვედრის იდეა წამოაყენა. მისი სიტყვით ეს პუნქტი „ყველაზე მოხერხებულია, ყველაზე საიმედოა“ და „ყველაზე საიდუმლოა“. იმავე წლის 9 აგვისტოს, ამ წინადადებაზე, საბჭოთა მეთაურმა უპასუხა: „შეხვედრა უსიტყვოდ აუცილებელია“, მაგრამ „სსრკ-გერმანიის ფრონტზე ამჟამად არსებული მდგომარეობის გამო, სამწუხაროდ, მოკლებული ვარ საშუალებას თუნდაც ერთი კვირით მოვწყდე ფრონტს“. სტალინმა იქვე გაუსვა ხაზი: რადგან

„ხაშირად მიხდება გამგზავრება ჯარის ნაწილებში და ფრონტის სხადასხვა უბანზე“, ამიტომ „ახლანდელ ეტაპზე არ შემიძლია თქვენთან და პრეზიდენტთან შეხვედრა“ არა თუ სკაპა-ფლოუში, არამედ „სხვა რომელიმე შორეულ პუნქტშიაც“. ჩერჩილი დაეთანხმა რუზველტს და ახლა ალიასკაზე მდებარე სამხედრო ბაზა ფერბენკსი დაასახელა. სტალინმა ამჯერადაც თავაზიანი უარით უპასუხა, ფრონტის ამბებზე მიუთითა, თორემ „სხვა დროს ჩვენი შეხვედრისათვის ფერბენკსი უთუოდ შესაფერი პუნქტიაო“. აქვე საბჭოთა პრემიერმა შესთავაზა „ისეთი ქვეყანა, სადაც არსებობს სამივე ქვეყნის წარმომადგენლობა, მაგალითად ირანი“. ეს პრაქტიკული წინადადება იყო და ჩერჩილმა მიიღო იგი. „მთელი რისკით ყველგან წავალო“ — იწერებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საპასუხო ბარათში, მაგრამ მოითხოვდა სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებას (ქუჩაში გასეირნების აკრძალვა, არ ვაცნობოთ ირანის მთავრობას ჩვენი შეხვედრა და ა. შ.). მანვე წამოაყენა წინადადება, საიდუმლოების დაცვის მიზნით მიმოწერას ამ საკითხზე ჰქონოდა კოდური სახელი „ქაირო სამი“, ხოლო შეხვედრის ადგილს— ძველი ბერძნული სიტყვა „ევრიკა“. ამით, განაგრძობდა ჩერჩილი, „ჩვენ გვექნება ეფექტური შირმა მსოფლიო პრესისაგან და აგრეთვე იმ არასასურველი ადამიანებისაგან, რომელთაც არ მოვწონვართ ისე, როგორც უნდა მოვწონდეთ“.

თუ ჩერჩილი უმტკივნეულოდ დათანხმდა საბჭოთა წინადადებას, სამაგიეროდ რუზველტმა გაიდგა ფეხი. 1943 წლის 14 ოქტომბრის წერილში, თეირანის ნაცვლად, მან ერთდროულად დაასახელა რამდენიმე პუნქტი (ქაირო, ერიტრეის დედაქალაქი — ასმარა, ბაღდადი). საბჭოთა პრემიერი კი მტკიცედ იდგა ადრინდელ პოზიციაზე. 19 ოქტომბრის საპასუხო ბარათში იგი წერდა რუზველტს: „საზაფხულო შეტევითი ოპერაციები გადადის ზამთრისაში. ყველა ჩვენი კოლეგა თვლის, რომ ასეთ პირობებში აუცილებელია საბჭოთა უმაღლესი სარდლობის ყოველდღიური ხელმძღვანელობა

და სარდლობასთან პირადად ჩემი კავშირი. თეირანიდან ასეთი კავშირი შესაძლებელია მოსკოვთან პირდაპირი სატელეფონო ხაზის არარებობის გამოო". ამის მიუხედავად პრეზიდენტმა არ გაიზიარა ეს ვარაუდი და კვლავ უარყო თეირანი იმ მოტივით, რომ აშშ კონსტიტუციის თანახმად კონგრესის შემუშავებული კანონი პრეზიდენტმა წერილობით უნდა მოიწონოს ან უარყოს 10 დღის განმავლობაში, რაც მაშინდელი მიმოსვლისა და რელიეფის გამო ირანიდან შეუძლებელი იქნებოო. ამიტომ ბასრაში მაინც მოვიწვიოთ კონფერენცია, „მითუნ̌ეტეს რომ ბასრა-თეირანს შორის არსებობს სატელეფონო ხაზი, რომელსაც შეიძლება ჩაერთოს მოსკოვიც" რუზველტი აქ მეტისმეტად ამუქებდა მდგომარეობას, ალბათ სტალინის დასაშინებლად: „ძოძავალი თაობა უდიდეს ტრაგედიად ჩაგვითვლის იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ასეულმა მილმა შეაფერხა სტალინის, ჩერჩილის და ჩემი შეხვედრაო". საბჭოთა მეთაურს არც ამის შემდეგ შეუცვლია გადაწყვეტილება და 5 ნოემბერს აცნობა პრეზიდენტს: „ახლა, როცა 2600 კმ სიგანის ფრონტზე ჩვენი არმიები გადავიდნენ მძლავრ შეტევაზე, ჩემი, როგორც მთავარსარდლის, წასვლა თეირანს იქით სრულიად გამორიცხულიაო", ხოლო უფრო ქვემოთ, ამავე წერილში, სულ გადაუწურა იმედი: „ჩემი კოლეგები და მთავრობა თვლიან შეუძლებლად ჩემს გასვლას სსრკ ფარგლებს გარეთაც კი მოცემულ მომენტში ფრონტზე შექმნილი სირთულეების გამო". ამის შემდეგ რუზველტს ისღა დარჩენოდა, რომ 8 ნოემბრის საპასუხო წერილში თანხმობა განეცხადებინა თეირანში შეხვედრაზე. ეს საბჭოთა დიპლომატიის დიდი წარმატება იყო.

ორგანიზაციულად სამი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა მოამზადა სსრკ, ინგლისის, აშშ საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ, რომელიც მუშაობდა მოსკოვში 1943 წლის 19-30 ოქტომბერს. აღნიშნული კონფერენციის დღის წესრიგში მრავალი საკითხი იდგა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო გერმანიის წინააღმდეგ ომის ვადების დაჩქარება,

კერძოდ, შეორე ფრონტის გახსნისა და ომისშემდგომი ევროპის მოწყობის პრობლემები. საგულისხმოა, რომ კონფერენციამ უკვე მაშინ მოითხოვა საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა და განსაზღვრა მისი ამოცანებიც. აღნიშნული ორგანიზაცია იბრძოლებდა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის. აქვე მიიღეს „დეკლარაცია ავსტრიის შესახებ", რომელიც შეიცავდა მოწოდებას ავსტრიისადმი, არ გაჰყოლოდა ფაშისტურ გერმანიას და საკუთარი წვლილი ძეეტახა ბტერ ნე გამარჯვებაში. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე „დეკლარაცია იტალიის შესახებ", რომელშიც სამი დიდი სახელმწიფოს მთავრობები გამოთქვამდნენ ურყევ გადაწყვეტილებასა და მისწრაფებას იტალიაში ფაშიზმის სრული აღმოფსერისა და დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისათვის ბრძოლაში. მართალია, ზოგიერთ საკითხზე კონკრეტული დადგენილება არ მიუღიათ, მაგრამ ამის მიუხედავად კონფერენციას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად უფრო ნათელი გახდა ჩვენი მოკავშირეების პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებზე, განსაკუთრებით კი ომში თანამშრომლობის საკითხზე, აგრეთვე საბოლოოდ მომზადდა ნიადაგი სამი ხელმძღვანელის შეხვედრისათვის, განისაზღვრა შეხვედრის თარიღიც, ამიტომ 1943 წლის 2 ოქტომბრის მოწინავეში გაზ. „პრავდა" სამართლიანად აღნიშნავდა: „მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებანი წარმოადგენს მორიგ დარტყმას ჰიტლერულ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე. კონფერენციის მუშაობის დადებითი შედეგები განუყოფლადაა დაკავშირებული ჩვენი წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებთან. კონფერენციამ შეასრულა თავისი ამოცანა მოკავშირეთა ძალების შემდგომი შეკავშირებისა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ინტერესების სასარგებლოდ".

კონფერენციისათვის მზადება უაღრესად საიდუმლოდ წარმოებდა. კონსპირაცია დაცული იყო მიმოწერაშიც. მას, რო-

გორც აღინიშნა, ეწოდებოდა „ქაირო-სამი“, შეხვედრის ადგილს კი „ევრიკა“, მაგრამ გერმანიის სამხედრო დაზვერვამ — აბვერმა 1943 წლის სექტემბერში გაშიფრა ამერიკის სამხედრო-საზღვაო კოდი, რომლითაც შეიტყვეს თეირანში დიდი სამეულის მომავალი შეხვედრის მზადების შესახებ. მაშინ აბვერმა და გესტაპოს მთავარმა სამმართველომ სასწრაფოდ შეიმუშავეს ოპერაცია „სპილო“, რომელიც ითვალისწინებდა თეირანში არალეგალურად გადასროლილი აგენტის რომან გამოტას და სხვა მრავალრიცხოვანი ჯაშუშების მეშვეობით დიდ სამეულზე ტერორისტული აქტის განხორციელებას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე წევრის გატაცებას, რომ ამით შეეტრიალებიათ ომის ბედი. ოპერაციის მთელი ხელმძღვანელობა დაეკისრა საიმპერიო უშიშროების მთავარი სამმართველოს შეექვსე განყოფილების ტერორიზმისა და დივერსიების სექტორის შეფს ოტო სკორცენის, რომლის ანგარიშზე იყო ავსტრიის კანცლერის დოლფუსის მკვლელობა 1934 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს, მუსოლინის გატაცება 1943 წელს და ა. შ. საბედნიეროდ, ოპერაცია ჩაიშალა.

27 ნოემბერს დელეგაციები ჩაფრინდნენ თეირანს. პირველი იყო საბჭოთა დელეგაცია სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხელმძღვანელობით. მას ახლდნენ და მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი და მარშალი კ. ვოროშილოვი. შემდეგ ჩავიდნენ: ამერიკის დელეგაცია პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის მეთაურობით და ინგლისის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის წინამძღოლობით. პრეზიდენტს ჩაჰყვნენ: სპეციალური თანაშემწე ჰ. ჰოპკინსი, აშშ მოსკოველი ელჩი ა. ჰარიმანი, აშშ არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენ. მარშალი, საზღვაო ძალთა სარდალი კინგი, სსრ კავშირში ამერიკის მისიის უფროსი გენ. დინი და სხვ. პრემიერ-მინისტრს ახლდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, ინგლისის მოსკოველი ელჩი ა. კერი, საიმპერიო გე-

ნერალური შტაბის უფროსი ა. ბრუკი, ფელდმარშალი დილი, სსრ კავშირში ინგლისის სამხედრო მისიის უფროსი გენ. მარტელი და სხვ.

მართალია, საბჭოთა დაზვერვამ შეძლო დიდ სამეულზე გერმანელთა დაგეგმილი ტერორისტული თავდასხმის ჩაშლა, მაგრამ ახალი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სტალინმა მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურებს სამუშაოდ და საცხოვრებლად საბჭოთა საელჩოს შენობა შესთავაზა. ეს არჩევანი იმას ემყარებოდა, რომ იგი იზოლირებული იყო, კარგად დაცული, შესანიშნავი პარკითა და ტბით დამშვენებული და მაშასადამე, შეიძლებოდა კონფერენციის ნორმალურად ჩატარებაც. საბჭოთა საელჩოში ცხოვრებაზე ჩერჩილმა თავაზიანი უარი განაცხადა, ასევე რუზველტმაც თავდაპირველად, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. ამერიკის მისიის შენობა კონფერენციის ადგილისაგან 1.5 კმ იყო დაშორებული და გერმანელ ტერორისტებს, რომლებიც არალეგალურად ცხოვრობდნენ თეირანში, შეეძლოთ ადვილად განეხორციელებინათ თავდასხმა პრეზიდენტზე.

საბჭოთა საელჩოს შენობაში რუზველტს შეუქმნეს ცხოვრებისა და მუშაობის არაჩვეულებრივი პირობები, რის გამოც დიდად მადლიერი დარჩენილა. 3 დეკემბერს იგი საბჭოთა ხელმძღვანელს წერდა: „ვჩქარობ მოგახსენოთ პირადად ჩემი მადლობა თქვენი ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის... და თუ მოკლე დროშიც კი ბევრი რამის გაკეთება მოვასწარით, ეს იმიტომ, რომ ვიყავით უახლოესი მეზობლები ჩვენი შეხვედრის დროს. მე უდიდესი კმაყოფილებით განვიხილავ ამ ლირსშესანიშნავ დღეებს როგორც მნიშვნელოვან წვლილს კაცობრიობის პროგრესის საქმეში. მე მადლობელი ვარ თქვენი, აგრეთვე თქვენი თანამშრომლებისა და სახლის მომსახურე პერსონალისა ჩემდამი და ჩემი თანამშრომლებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის“. საბჭოთა საელჩოში პრეზიდენტთან იმყოფებოდნენ ფილიპინელი მზარეულები. ხოლო დელეგა-

ციის სხვა წევრები და ტექნიკური თანამშრომლები — ამერიკის მისიის შენობაში.

საბჭოთა დელეგაცია ცხოვრობდა ირანში საბჭოთა ელჩის ორსართულიან სახლში, სხვა წევრები და ტექნიკური პერსონალი კი — იქვე ეზოში მდებარე ერთსართულიან შენობაში.

ᲐᲠ საგულისხმოა, რომ თეირანისაკენ მიმავალმა ჩერჩილმა და რუზველტმა 1943 წლის 23-26 ნოემბერს, ქაიროში ყოფნისას, ბოიეგვიეს კონფერენცია ჩან კაი-შის მონაწილეობით. კონფერენციას ჰქონდა რამდენიმე მიზანი: ჯერ ერთი, დაეძლიათ ის წინააღმდეგობანი, რაც მათ შორის არსებობდა; მეორე, შეემუშავებინათ ერთიანი პროგრამა თეირანში საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ დიპლომატიურ ბრძოლაში და მესამეც, მოეთხოვათ სტალინისათვის ჩან კაი-შის, როგორც მოკავშირისა და სოულუფლებიანი წევრის, დაშვება თეირანის კონფერენციაზე. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ორ საკითხზე მათ შეძლეს საერთო ენის რამდენადმე გამონახვა,[1] მაგრამ მესამეზე ვერაფერს გახდნენ. საბჭოთა მხარემ მაშინვე შეაფასა, თუ რაოდენ პროვოკაციული იყო ეს მოთხოვნა. ისეთ ვითარებაში, როცა ჩინეთ-იაპონიას შორის ომი წარმოებდა, ხოლო სსრკ-იაპონიას შორის არსებობდა ნეიტრალიტეტის პაქტი. სსრკ და ჩინეთის ხელმძღვანელთა შეხვედრა ერთ კონფერენციაზე ყოველად დაუშვებელი იყო. იაპონიის მთავრობას შე-

---

1. ამის მიუხედავად თეირანში მაინც საგრძნობი იყო ინგლის-აშშ წინააღმდეგობა. სსრკ-ისადმი არც შეძლებოდა. ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა განსაზღვრავდა სწრაფვა კოლონიების გადანაწილებისა და მსოფლიო ბატონობისაკენ. ინგლისის ყოფილი პრემიერის ჯ. მაკმილანის სიტყვით „ბრიტანეთის იმპერიის მოსპობა იყო რუზველტის ფარული და სანატრელი მიზანი. მართლაც, ამერიკელთა ასეთი მისწრაფება შესამჩნევი იყო კონფერენციაზე (უფრო რელიეფურად კი იგი იალტაში წარმოჩნდა), რაც ინგლისელთა უკმაყოფილებას აძლიერებდა. ცხადია, ორ მოკავშირეს შორის არსებული წინააღმდეგობა გარკვეულად აიდვილებდა თეირანში საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას.

უძლებელია ეს არ განეხილა, როგორც მტრული აქტი საბჭოთა კავშირის მხრივ და არ ბიემართა საპასუხო მოქმედებისათვის შორეულ აღმოსავლეთში. ეს კი მძიმე ბდგომარეობაში ჩააყენებდა სსრ კავშირს. ამიტომ სტალინმა კატეგორიულად უარყო კონფერენციაზე ჩან კაი-შის დაშვება.

კონფერენცია გაიხსნა 28 ნოემბერს (სტალინის წინადადებით კონფეერენციის საპატიო თავმჯდომარედ გამოცხადდა ამეოიკის პრეზიდენტი. ასე იყო იალტაშიც, პოტსდამშიც). მაგიდას უსხდხენ ანტიფაშისტური კოალიციის ნონაწილე სამი დიდი სახელმწიფოს ბეთაურები. ეს იყო პირველი შეძთხვევა, როცა საბჭოთა პრემიერის გვერდით დაჯდომა „იკადრეს" უფროსი და უმ ლავოესი კაპიტალისტური სახელმწიფოების ლიდერებმა. ბართალია, ბათი დახასიათება არაა ჩვენი ნარკვევის ბიზანი, ბაგრამ არ შეიძლება ამ ბოღვაწეებზე მაინც არ ითქვას ორიოდე სიტყვა.

ი. ბ. სტალინის პიროვნება და საქმიანობა საკმაოდ ცნობილია. ბაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ცნობილი მწერლის ილია ერენბურგის ერთი უხამ.. ბენიშვნის შესახებ. იგი წერს: სტალინი კარგი დიპლომატი იქნებოდა. რომ საქმე ჰქონოდა ბაჭებთან და ბეიხებთანო. ი. ერენბურგი იქვე დასძენს: ეს ლიტერატურა ბითხოა. ნამდვილად თქვა თუ აია ეს ლიტერატორმა. ამის შემოწმება დღეს შეუძლებელია, რადგან არც ის და არც ბენი ინფორმატორი ცოცხლები აღარ არიან. საბედნიეროდ ხელთა გვაქვს თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მასალები, აგრეთვე ომის დროის საბჭოთა და უცხოელი დიპლომატების თუ სამხედრო მოღვაწეების მოგონებები. ბათ გაცნობით ჩანს, რომ ამ კონფეერენციებზე სტალინი არა თუ უმცლავდებოდა დიპლომატიურ ბრძოლებში გამოჯეკილ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებს, არამედ ბევრჯერ სჯაბნიდა კიდეც ბათ.

საბჭოთა სახელმწიფოს გარიჟრაჟზე, როდესაც იქმნებოდა საბჭოთა დიპლომატიის ძირითადი პრინციპები, ვ. ი. ლენინი წერდა: „პოლიტიკა ერის ბეცნიერება და ხელოვნება..

პროლეტარიატმა, თუ მას სურს დაამარცხოს ბურჟუაზია, უნდა გამოზარდოს თ ა ვ ი ს ი, პროლეტარული, „კლასობრივი პოლიტიკოსები“, თანაც ისეთები, რომ „ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს არ ჩამოუვარდებოდნენ“. მეორე მსოფლიო ომის კონფერენციებზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა საქმით დააძტკიცა, რომ პროლეტარიატმა უკვე გამოზარდა მაღალი რანგის ღირსეული „კლასობრივი პოლიტიკოსი“, რომლის საერთაშორისო აღიარების მჭევრშეტყველური დადასტურებაა თუნდაც საბჭოთა და უცხოელი დიპლომატების მოგონებებში დაცული აღფრთოვანებული შეფასებანი.

• / რაც შეეხება რუზველტს, უნდა ითქვას, რომ იგი უდაოდ იყო დიდი ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწე. ომის წინა პერიოდში მისი პიროვნების გარშემო წარმოიშვა მრავალი ლეგენდა, რომელიც თვლიდა რუზველტს XX საუკუნის აბრაამ ლინკოლნად! ამასთან მას მიაკუთვნებდნენ იმ მემარცხენე რადიკალთა რიცხვს, რომლებიც უარყოფდნენ რა სოციალისტების მარკას, არსებითად, იბრძოდნენ სოციალიზმისათვის. ყოფილი საბჭოთა ელჩი ინგლისში ი. მაისკი იგონებს, თუ როგორ იყო შესული შეცდომაში ცნობილი მწერალი ჰერბერტ უელსი, როცა 1934 წელს აშშ-დან დაბრუნებული ქადაგებდა: რუზველტის „ახალი კურსი“ გზაა სოციალიზმისაკენ. ცხადია, ეს არ იყო სოციალიზმი. „ახალი კურსი“ არსებითად იყო მონოპოლიების შეზრდა სახელმწიფო აპარატთან. რასაც ამერიკა კაპიტალიზმის განმტკიცებისაკენ მიყავდა. ამის მიუხედავად, რუზველტის, როგორც პროგრესული ბურჟუაზიული მოღვაწის, როლის უარყოფა შეუძლებელია. მან კარგად ესმოდა ხაციზმის საფრთხე და ომის წინ არაერთხელ გამოსულა ფაშისტური გერმანიის პოლიტიკის კრიტიკით, თუმცა პრეზიდენტი იმ მოღვაწესავით იქცეოდა, ვინც კარგ სიტყვებს ამბობდა, მაგრამ კარგი საქმეებისაგან ოაეს იკავებდა.

რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკა წყალს ასხამდა მტრის წისქვილზე. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ

მან ორი პროგრესული ღონისძიება განახორციელა: მიიღო „ლენდ-ლიზის“ კანონი და შეუერთდა ანტიფაშისტურ კოალიციას, რითაც დიდად დაეხმარა ჩვენს ქვეყანას. მართალია, 1941-1943 წლებში პასიური პოლიტიკით რუზველტმა, ინგლისელებთან ერთად, გარკვეულად გააჭიანურა ომი, მაგრამ თეირანის კონფერენციაზე რომ მიდიოდა, ბრძოლის პროგრამა, განსაკუთრებით მეორე ფრონტის გახსნის საკითხი, რამდენადმე გამოკვეთილი ჰქონდა. ეს კარგად გამოჩნდა ირანის დედაქალაქში სტალინისა და რუზველტის პირველივე არაოფიციალური შეხვედრა-საუბრის დროს. მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მეორე ფრონტის გახსნით სურდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან მიეზიდა 30-40 დივიზია. ამ გადაწყვეტილებას საბჭოთა მეთაურმა კარგი უწოდა. მართალია პრეზიდენტს აფიქრებდა ევროპაში თავისი არმიის (2 მილიონი ჯარისკაცი) მომარაგება და ტრანსპორტირება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი თვით აშშ „გემების დამაკმაყოფილებელი ტემპებით მშენებლობის გამო“. მაშასადამე, ამერიკელთა გეგმა მეორე ფრონტის გახსნის საკითხში ძირითადში ემთხვეოდა საბჭოთა მთავრობის პოზიციას, რაც სხვა ფაქტორებთან (იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ა. შ.) ერთად, თავისთავად, განსაზღვრავდა ამ ორი ქვეყნის დელეგაციების ინტერესთა დაახლოებას.

ჩერჩილი კი, მართალია, მსხვილი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე იყო, მაგრამ კონსერვატორი, რომელიც არ მალავდა თავის გეგმებსა და ზრახვებს. „ჩემი ღმერთი, — ამბობდა ინგლისის პრემიერი, — ბრიტანეთის იმპერიაა. ყველაფერი, რაც კარგია მისთვის, კარგია ჩემთვისაც. ყველაფერი, რაც ცუდია მისთვის, ცუდია ჩემთვისაც“. ამიტომ არაფერს ერიდებოდა ბრიტანეთის იმპერიის ინტერესების განაღდებისათვის. ჩიგი, როგორც ცნობილია, იყო სსრ კავშირის დაუძინებელი მტერი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, დადგა ჩვენს მხარეზე, რადგან რეალურად აფასებდა ფაშიზმის საფრთხეს ინგლისისთვისაც. სსრ კავშირზე ჰიტლე-

რული გერმანიის თავდასხმისთანავე. ჯერჯოდ 1941 წლის 22 იენისს, ძან აღნიშნა: „უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არავინ იყო კომუნიზმის ისეთი თანმიმდევრული მოწინააღმ-დეგე, როგორც მე. უკან არ დავიბრუნებ ამის შესახებ თქმულ არც ერთ ჩემს სიტყვას. მაგრამ ყველა ის გაფერმკრთალდა მიმდინარე მოვლენების წინაშე... ნებისმიერი კაცი და სა-ხელმწიფო, რომლებიც ებრძვიან ნაციზმს, ჰპოვებენ ჩვენს მხარდაჭერას. ნებისმიერი კაცი და სახელმწიფო, რომლებიც ჰიტლერთან არიან — ჩვენი მტრებია... ამიტომ ჩვენ დაეხ-მარებით რუსეთსა და რუს ხალხს ყველაფრით, რითაც კი შეგვიძლია“. მაისკისთან საუბარშიც ჩერჩილმა დაადასტურა გადაწყვეტილება სსრ კავშირისადმი დახმარებისა და ნაციზ-მის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. „1919 წელს ვფიქრობდი, — განაცხადა მან, — რომ თქვენი რევოლუცია წარმოადგენს ბრიტანეთის იმპერიის მთავარ მტერს. ამიტომ მაშინ წინააღმდეგი ვიყავი რუსეთისა. ახლა ვთვლი, რომ ბრიტანეთის იმპერიის ძირითადი მოწინააღმდეგე ჰიტლერუ-ლი გერმანიაა. ამიტომ ვაწარმოებ ომს გერმანიის წინააღმდეგ, და რამდენადაც ჰიტლერი გვემუქრება არა მარტო ჩვენ, არამედ თქვენც, რატომ არ გავიაროთ ერთად ისტორიული გზის ცნობილი მონაკვეთი“. ×

ეს იყო სავსებით სწორი აზრი, რის განხორციელებისა-თვის იგი ყველაფერს აკეთებდა ომის პირველ ეტაპზე მაინც. შემდეგ კი ჩერჩილმა დაიწყო ძანეერირება, ცდილობდა ომის მთელი სიმძიმე სსრ კავშირზე გადაეტანა, თან ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან გაეხსნა მეორე ფრონტი და ამით ცენტ-რალური ევროპისაკენ გადაეკეტა გზა საბჭოთა კავშირისათ-კის. ამიტომ ჩანდა, რომ დიპლომატიური ბრძოლის სიმძიმე მისკენ უნდა წარმართულიყო. ამას, ალბათ, ისიც აპირობებ-და, რომ რუზველტი შედარებით ნაკლებ იყო დაინტერესებუ-ლი ევროპის საქმეებით (ჩერჩილი პირიქით). აშშ იყო წყნა-რი ოკეანის სახელმწიფო და პრეზიდენტისათვის მეტი მნიშვ-ნელობა ჰქონდა იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცა-

ხან.[2] საბჭოთა დელეგაციამ სწორად ამოიცნო ეს და იაპონიის წინააღმდეგ ომში გამოსვლის დაპირებით უზრუნველყო პრეზიდენტის სასურველი პოზიცია კონფერენციაზე დასმული ზოგი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას.[3]

<კონფერენციის უმნიშვნელოვანეს საკითხთა შორის ძირითადი იყო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოების პრობლემა. დიდმა სამეულმა ერთმანეთს გააცნეს გერმანიის არმიის განადგურების თავიანთი გეგმები და რომელიც მიღებულ დეკლარაციაშია აღნიშნული, მიაღწიეს „სრულ შეთანხმებას იმ ოპერაციების მასშტაბებისა და ვადების შესახებ, რომლებიც განხორციელდება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან“. ამ შეთანხმებიდან უმთავრესი, რა თქმა უნდა, იყო დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. დეკლარაცია საზეიმოდ გადმოსცემდა ამაზე მოლაპარაკების შედეგებს, სინამდვილეში კი იგი მწვავე პოლემიკის საგანი იყო და ბოლოს დიდი ბრძოლის ფასად იქნა მიღწეული. >

საერთოდ, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი დაისვა სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმისთანავე. კერძოდ, ომის დაწყებისთანავე ი. მაისკიმ ლონდონში ინგლისის მთავრობის ზოგიერთ გავლენიან წევრთან შესაბამისი დემარში განახორციელა, რასაც, რა თქმა უნდა, ზონდაჟის ხასიათი ჰქონდა. მცირე ხნის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ საკითხი ოფიციალურადაც დააყენა. 1941 წლის 18 ივლისს ჩე-

---

2 ამით აიხსნება, რომ კონფერენციაზე გერმანიის წინააღმდეგ ომის საკითხის განხილვისას რუზველტი ძალიან დიდ ადგილს უთმობდა იაპონიასთან ბრძოლაზე მსჯელობას.

3 ამით უნდა აიხსნას კონფერენციაზე საბჭოთა პრემიერის ხაზგასმული თავაზიანობა პრეზიდენტისადმი (ორმეტრიანი ორაგულის მირთმევა, ღურადღება რუზველტის ვაჟისადმი, საბჭოთა კავშირისადმი ტექნიკური დახმარების საკითხში, ინგლისთან შედარებით, აშშ დიდი უპირატესობის აღნიშვნა და ა. შ.), რაც ყოველთვის აღიზიანებდა ჩერჩილს.

რჩილისადმი გაგზავნილ წერილში საბჭოთა ხელმძღვანელი მიუთითებდა: „საბჭოთა კავშირის, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთის, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, თუკი გერმანიის წინააღმდეგ შეიქმნება ახალი ფრონტი დასავლეთსა (ჩრდილოეთი საფრანგეთი) და ჩრდილოეთში (არქტიკა). ჩრდილოეთ საფრანგეთის ფრონტი არა მარტო მიიზიდავდა ჰიტლერის ძალებს აღმოსავლეთიდან, არამედ გამორიცხავდა ჰიტლერის შეჭრას ინგლისში. ასეთი ფრონტი იქნებოდა პოპულარული, როგორც დიდი ბრიტანეთის არმიაში, ასევე სამხრეთ ინგლისის მთელ მოსახლეობაში. მე წარმომიდგენია ამ ფრონტის გახსნის სიძნელეები, მაგრამ ვფიქრობ, სიძნელეების მიუხედავად, იგი ნაინც უნდა გაიხსნას არა მარტო ჩვენი საერთო საქმისათვის, არამედ თვით ინგლისის ინტერესების სასარგებლოდ. ასეთი ფრონტის შექმნა განსაკუთრებით ადვილია ამჟამად, როდესაც ჰიტლერის ძალები მიჯაჭვულია აღმოსავლეთში და ვერ მოუსწრიათ განმტკიცება დაკავებულ პოზიციებზე. კიდევ უფრო ადვილია ფრონტის გახსნა ჩრდილოეთში. აქ დაგვჭირდება ინგლისის მხოლოდ საზღვაო და საჰაერო ძალების მოქმედება არტილერიისა და დესანტის გადასხმის გარეშე. ამ ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებიც. ჩვენ მივესალმებოდით თუკი დიდი ბრიტანეთი გადმოისროდა დაახლოებით ერთ მსუბუქ დივიზიას ან მეტ ნორვეგიელ მოხალისეებს, რომლებსაც გადავსხამდით ჩრდილოეთ ნორვეგიაში გერმანელების წინააღმდეგ ამ ხალხის აჯანყებისათვის“.

მაშასადამე, აღნიშნულ წერილში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ჩამოაყალიბა და სათანადოდ დაასაბუთა მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობა და მნიშვნელობა არა მარტო სსრ კავშირის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის ინტერესებისათვის. ცხადია, მეორე ფრონტი დასავლეთ ევროპაში თავისკენ მიიზიდავდა ფაშისტთა გარკვეულ ძალებს აღმოსავლეთიდან და მით გაუადვილებდა მოქმედებას საბჭოთა არმიას. ამა-

სთან, ბოლოანად გამორიცხავდა ინგლისში გერმანელთა ჯარების მოსალოდნელი შეჭრის შესაძლებლობასაც.

ჩვენი მოკავშირეები, თავდაპირველად, შეიძლება ითქვას, ეაგებით მოეკიდნენ აღნიშნულ წინადადებას. ალბათ ამით იყო ხაკარხახევი იხგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის 1941 წლის 30 ივნისის განცხადება, რომ ინგლისელები „ფიქრობენ დესანტზე საფრანგეთში“. სამწუხაროდ, დრო გადიოდა და სიტყვიერ განცხადებას არავითარი პრაქტიკული ღონისძიება არ მოჰყოლია. ამით კარგად ისარგებლეს გერმანელებმა და დასავლეთიდან კვლავ გადმოისროლეს აღმოსავლეთის ფრონტზე 30 ქვეითი დივიზია ტანკებითა და თვითმფრინავებით. აცნობებდა რა აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილ მძიმე ვითარებას, საბჭოთა პრემიერი 1941 წლის 3 სექტემბერს ჩერჩილს წერდა: „გერმანელები დასავლეთის საფრთხეს ბლეფად მიიჩნევენ,... რადგან დარწმუნებული არიან, რომ მეორე ფრონტი არ არის და არც იქნება. გერმანელები შესაძლებლად თვლიან, ურტყან თავიანთ მოწინააღმდეგეებს თანმიმდევრობით: ჯერ რუსებს, შემდეგ ინგლისელებს“. საპასუხო წერილში ჩერჩილი კი აღნიშნავდა, მტერთან ბრძოლაში „ჩვენ ვერაფერი დაგვაბრკოლებსო“, მაგრამ იქვე დასძენდა: ამჟამად მეორე ფრონტის გახსნისათვის მაინც „არა გვაქვს არავითარი შესაძლებლობაო“. საგულისხმოა, რომ იმავე წლის 13 სექტემბერს სტალინმა ინგლისის მთავრობას შესთავაზა 25-30 დივიზიის გადმოყვანა საბჭოთა ტერიტორიაზე საბჭოთა არმიასთან ერთობლივი მოქმედების მიზნით, მაგრამ მან ამაზეც უარი თქვა. ჩერჩილი თანახმა იყო მხოლოდ მცირე ძალების გამოგზავნაზე და ისიც კავკასიაში „ნავთობის რაიონების დაცვისათვის“. ცხადია, ეს სრულიადაც არ იყო ინგლისის მოუმზადებლობის შედეგი. იგი გამომდინარეობდა მთავრობის ე. წ. „ლოდინის პოლიტიკიდან“. მას აწყობდა ომის გაჭიანურება და ორივე მებრძოლი მხარის დასუსტება, რომ შემდეგ მათთვის ადვილად ეკარნახა საკუთარი პირობები.

ᲮᲛეორე ფრონტის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა 1942 წლიდან. საბჭოთა მთავრობის დაუღალავი საქმიანობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე ინგლისისა და ამერიკის მთავრობები დათანხმდნენ მოლაპარაკებას მეორე ფრონტის გახსნაზე. 1942 წლის 12 ივნისს გამოქვეყნდა სსრ კავშირ-აშშ და სსრ კავშირ-ინგლისის ერთობლივი კომუნიკეები, რომლებშიც აღნიშნული იყო ხელმომწერი მთავრობების სრული თანხმობა „1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე“. ამის მიუხედავად ინგლისელებს და ამერიკელებს ეს დაპირება არ შეუსრულებიათ, თუმცა საბჭოთა მთავრობის დამშვიდების მიზნით განაცხადეს ევროპაში შეჭრის სურვილი 1943 წელს. საამისოდ მათ, მართლაც, ჩაატარეს გარკვეული სამზადისი: დაიწყეს ძალთა და საშუალებათა თავმოყრა ინგლისში (ოპერაცია „ბოლერო“), შეადგინეს ლა-მანშის ფორსირებისა და ევროპის სანაპიროზე სტრატეგიული პლაცდარმის შექმნის გეგმაც (ოპერაცია „რაუნდაპი“), დათქვეს კონკრეტული თარიღიც — — 1943 წლის 1 აპრილი, მაგრამ ვალდებულება არც ამჯერად შეასრულეს. ევროპის ნაცვლად მოკავშირეებმა არჩიეს ლაშქრობა აფრიკაში. ამ მიზნით სასწრაფოდ შეიმუშავეს ბრძოლის ერთობლივი გეგმა (ოპერაცია „ტორჩ“) და 1942 წლის შემოდგომაზე გადასხეს დესანტი ჩრდილოეთ აფრიკაში. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი იყო, რომ მოკავშირეები თავიანთ გეგმებში გამორიცხავდნენ 1943 წელსაც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისა და გერმანიის წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციების წარმოების შესაძლებლობას. Ხ

Ხევროპაში ლაშქრობაზე უარს ინგლისისა და ამერიკის ოფიციალური წრეები „სადესანტო საშუალებათა მძაფრი უკმარობით“ ასაბუთებდნენ. ამასთან, იშველიებდნენ დებულებას გერმანელთა მიერ დასავლეთ ევროპის სანაპიროს მეტისმეტი გამაგრების შესახებ. ჩერჩილი ხშირად ამბობდა, რომ ჰიტლერის „ატლანტიკის სიმაგრე“ მიუდგომელია და ამიტომ უნდა ვეცადოთ არ გადაიქცეს ლა-მანში „სისხლის მდინარედ“,

ხოლო „ევროპის სანაპირო ამერიკელი და ინგლისელი ახალგაზრდების სასაფლაოდ“.

უნდა ითქვას, რომ არც ერთი ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერებოდა. თვით ინგლისური და ამერიკული წყაროების მონაცემებით ჩანს, რომ მოკავშირეებს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისათვის საკმარისი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალა ჰყავდათ, კერძოდ არც სადესანტო საშუალებათა ნაკლებობას განიცდიდნენ. რაც შეეხება „ატლანტიკის სიმაგრეს“, ეს მითი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. გერმანიის არმიული დაჯგუფების („დასავლეთი“) მთავარსარდალი რუნდშტედტი კიდეც აღნიშნავდა: „სიმაგრის სიმძლავრე აბსურდამდე იყო გაზვიადებული... ატლანტიკის სიმაგრე წარმოადგენდა ილუზიას, რომელიც შექმნა პროპაგანდამ... მოკავშირეთა მოტყუებისათვის. სიმაგრედ მისი მიჩნევაც კი უაზრობა იყო“. მართალია, ეს სიტყვები ომის შემდეგ დაიწერა, მაგრამ „ატლანტიკის სიმაგრის“ რაობა მოკავშირეებისათვის მანამდეც იყო ცნობილი. ამის მიუხედავად ისინი ხშირად მიუთითებდნენ ამ დაბრკოლებაზე, როგორც შეორე ფრონტის გახსნის შემაფერხებელ ფაქტორზე. სინამდვილეში ამით სურდათ გაეჭიანურებიათ ომი, თავად კი „დაეზოგათ ძალები“, დალოდებოდნენ სსრ კავშირისა და „გერმანიის სამხედრო პოტენციალის დასუსტებას“. ამით აიხსნება, რომ 1942-1943 წლების განმავლობაში მოკავშირეები მზად იყვნენ ებრძოლათ ყველგან, მხოლოდ ომის არაძირითად უბანზე (აფრიკაში, სარდინიაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე და ა. შ.). ამიტომ, საკითხის მოგვარება, ე. ი. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა და ისიც უმოკლეს ხანში თეირანის კონფერენციაზე იყო საბჭოთა დელეგაციის ძირითადი მიზანი.

✓ თავიანთი მოსაზრებანი ამ საკითხზე სამმა ხელმძღვანელმა ერთმანეთს გააცნო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. არსებითად, მათი გაცნობა არც იყო საჭირო, რადგან აღნიშნულ საკითხში სამივე სახელმწიფოს პოზიცია კარგად იყო ცნობილი კონფერენციის გახსნამდე კარგა ხნით ადრე. საბჭოთა

დელეგაციას მხოლოდ აინტერესებდა გაეგო შეიცვალა თუ არა რაიმე მეორე ფროხტის გახსნის მოკავშირეთა გეგმებში. ბოლსენებით პირველი, როგორც მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, გამოვიდა რუზველტი. მან განაცხადა, რომ აშშ ძთავრობას მეორე ფრონტის გახსნა სურს ლა-მანშის გადალახვით, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდება და მოწინააღმდეგეს თვით „ტერიტორიის სიღრმეში" დაედევნებაო.

ამერიკელთა მხრივ ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ჩანს, მათ შეხედულებებში, კონფერენციის დროისათვის, შესამჩნევი ცვლილებები მომხდარა, რადგან ინგლისელებისაგან განსხვავებით ისინი დასავლეთ ევროპას მიიჩნევდნენ ომის ძირითად უბნად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელები არც ჩერჩილის „ბალკანეთის ვარიანტს" იზიარებდნენ. ასეთი მეტამორფოზი გერმანია-სსრ კავშირის ფრონტზე განვითარებული მოვლენების ზეგავლენის შედეგი იყო. კურსკის ბრძოლის შემდეგ საბჭოთა არმიამ ისეთი ძალით შეუტია მტერს, რომ მისი გამარჯვება, მეორე ფრონტის გარეშეც, უკვე საეჭვო აღარ იყო. ვაჟიშვილ ელიოტთან საუბარში თვით რუზველტიც აღიარებდა: აუცილებელია „ევროპაში ლაშქრობა დასავლეთიდან. თუ რუსეთის საქმეები შემდეგშიც ასე წავიდა, როგორც ახლა, მაშინ შესაძლოა, მომავალ გაზაფხულზე მეორე ფრონტი არც კი დარჩეს საჭირო". მაშასადამე, ამერიკელები შიშობდნენ არ დაეგვიანებინათ ევროპაში შეჭრა, რასაც, მათი აზრით, გარდუვალად მოჰყვებოდა „მთელი ევროპის კომუნიზაცია" და ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე აშშ ხელმძღვანელი როლის დაკნინება. ასე იყო თუ ისე, პრეზიდენტის წარმოდგენილი გეგმა ემთხვეოდა საბჭოთა პოზიციას მეორე ფრონტის გახსნის საკითხში, მაგრამ ჰქონდა არსებითი ნაკლი — არ უთითებდა ზუსტ თარიღს, თუ როდის განახორციელებდნენ ამერიკელები ლა-მანშის ფორსირებას. მართალია, პრეზიდენტი ასახელებდა 1944 წლის 1 მაისს, მაგრამ, როგორც სავარაუდოს, რადგან შესაძლოდ თვლიდა ოპერაციის გადადებას რამ-

დენიშე თვით. ამის მიზეზად იგი საზღვაო ტრანსპორტის „ტონაჟის ნაკლებობას" მიუთითებდა.

< რუზველტის შემდეგ უნდა გამოსულიყო ჩერჩილი, მაგრამ მან თავი შეიკავა სტალინის განცხადებამდე. საბჭოთა პრემიერმა კი ვრცლად ილაპარაკა სსრკ-გერმანიის ფრონტის არსებულ მდგომარეობაზე, ხოლო შემდეგ გაარჩია ცალ-ცალკე ამერიკისა და ინგლისის გეგმები (ეს უკანასკნელი რასაც [არმოადგენდა, ცნობილი იყო წინასწარ) მეორე ფრონტის გახსნის ადგილის სარგებლიანობის შესახებ. შემდეგ გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო იტალიის ოპერაციებს, სადაც პიზა-რიმინის რაიონში (ჩრდილოეთი იტალია) შესვლის შემდეგ მოკავშირეებს უნდა დაეწყოთ დესანტის გადაახტა სამხრეთ საფრანგეთსა და ლა-მანშის სრუტეში. ჩერჩილის გამოსვლიდან ჩანდა, რომ მას იტალიის ფრონტი მიაჩნდა ძირითადად. ხოლო ოპერაციები ლა-მანშში მეორეხარისხოვნად. დამხმარედ. ამავე დროს ინგლისის პრემიერმა ეჭვის ქვეშ დააყენა პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული თარიღი — 1944 წლის მაისში მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობის შესახებ.]<

< შემდეგ დაიწყო წარმოდგენილი გეგმების განხილვა. რუზველტთან პრინციპულად სადავო თუ არაფერი იყო; სამაგიეროდ ჩერჩილსა და სტალინს შორის დიდი კამათი გაიმართა. მალე ჩერჩილის გამო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და დიდი სამეული იძულებული გახდა საკითხი შესასწავლად სამხედრო კომისიისათვის გადაეცა.]ამ უკანასკნელმა, მართლაც, იმსჯელა მასზე, მაგრამ ინგლისელი სამხედროები, თავიანთი პრემიერის მსგავსად, ჯიუტად იცავდნენ ბალკანეთის ვარიანტს და ამიტომ მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. მაშინ დელეგაციათა მეთაურები 29 ნოემბერს კვლავ დაუბრუნდნენ აღნიშნულ საკითხს. ბრიტანეთის პრემიერი არწმუნებდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომ ინგლის-ამერიკის არმიათა მოქმედებას აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ესაა მეორე ფრონტი, რომ რომის

რაიონში დაგეგმილი ოპერაცია არის „სტალინგრადი მინიატურაში“, რა თქმა უნდა, რაიმე „მინიატურული სტალინგრადის“ მოწყობა იტალიაში შეუძლებელი იყო, რადგან ალპები საიმედოდ იცავდა გერმანიას სამხრეთიდან. ამასთან, იტალიის ფრონტი, სტალინის შენიშვნით, „ესაა მხოლოდ დივერსია“, რომლის მიზანია „უზრუნველყოს მოკავშირეთა გემების თავისუფალი ცურვა ხმელთაშუა ზღვაში“. ყველაფერი ეს კარგად იყო ცნობილი ჩერჩილისათვისაც, მაგრამ თუ იგი მაინც იტალიის ფრონტს ეშლაუშებოდა, ამით ვარაუდობდა აპენინიდან ბალკანეთზე თითქოს იუგოსლაველი პატრიოტებისათვის დასახმარებლად. სინამდვილეში კი, როგორც რუზველტი ეუბნებოდა შვილთან საუბარში, „ყოველთვის, როდესაც პრემიერ-მინისტრი დაიჟინებდა ბალკანეთში შეჭრაზე, ყველა დამსწრისათვის კარგად იყო ცნობილი მისი სურვილი. მას უპირველესად უნდოდა ცენტრალურ ევროპაში მახვილივით შეჭრა, რათა წითელი არმია არ დაეშვა ავსტრიასა და რუმინეთში, და თუ შესაძლებელი იქნებოდა, უნგრეთშიაც“.

სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ჩერჩილის „ბალკანეთის გეგმა“ და სანაცვლოდ დახატა ლა-მანშის გადმოლახვის სარგებლიანობა. ამასთან, საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა მტრის პოზიციებზე დარტყმა საფრანგეთში განეხორციელებინათ ერთდროულად ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, რადგან „ერთი მხრიდან დაწყებული ოპერაცია საკმაო ეფექტს არ იძლევა“. ჩერჩილმა ყოყმანი დაიწყო. მაშინ საბჭოთა პრემიერმა ჯერ სხდომაზე, შემდეგ კი ჩერჩილთან პირისპირ შეხვედრისას პირდაპირ განაცხადა: თუ „ოვერლორდი“[4] მაისში არ განხორციელდა, მაშინ იგი საერთოდ აღარ იქნება. მომდევნო თვეებში, განსაკუთრებით აგვისტოში, ამინდი მკვეთრად შეიცვლება და არმიის მომარაგება შეუძლებელი გახდებათ. ამი-

---

4 „ოვერლორდი“ მეორე ფრონტის კოდური სახელწოდებაა, ლათინური სიტყვაა და „სიუზერენს“ ნიშნავს.

ტომ გადაჭრით მოითხოვა ზუსტი პასუხი: კი თუ არა. ჩერჩილი ჩიხში მოექცა, თუმცა ორპოფულად დაჰპირდა: ოპერაცია, რა თქმა უნდა, შედგება, მაგრამ იმ პირობით, რომ მტერს არ ეყოლება იქ დიდი ძალა. თუ გერმანელები, მაგალითად, შეძლებენ საფრანგეთში 30 ან 40 დივიზიის გადასროლას, მაშინ დესანტის გადასხმა არ იქნება წარმატებითი. თავად ოპერაციისა არ მეშინია, მაგრამ მაფიქრებს რა მოხდება 30-40 დღის შემდეგ. საბჭოთა დელეგაციას ასეთი განცხადება არ აკმაყოფილებდა, მას სურდა გარანტიის მიღება. ამიტომ ჩერჩილს აღუთქვა: თუ გვეცოდინება ოპერაციის დრო და დაიწყება დესანტის გადასროლა საფრანგეთში, მაშინ საბჭოთა არმია განახორციელებს არა ერთ, არამედ რამდენიმე მძლავრ შეტევით დარტყმას მტერზე, რითაც გერმანელებს არ მისცემს საშუალებას, გააძლიეროს თავიანთი არმია დასავლეთ ევროპაში. ამ განცხადებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს მოკავშირეებზე. ინგლისელი ისტორიკოსის ჰ. ფაისის სიტყვით, ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელებმა „მაღალი შეფასება მისცეს“ საბჭოთა წინადადებას. უთუოდ ამის შედეგი იყო, რომ ჩერჩილმა უკან დაიხია, პრეზიდენტთან შოლაპარაკების გარეშე პასუხის მოცემა არ შემიძლიაო. რაზე ისაუბრეს პრემიერმა და პრეზიდენტმა, ეს ამჟამად საინტერესო არაა, მაგრამ ფაქტია, რომ 30 ნოემბერს, ჯერ საუზმეზე, შემდეგ პლენარულ სხდომაზე ორივემ ერთობლივად განაცხადა: ოპერაცია „ოვერლორდი“ 1944 წლის მაისში განხორციელდება სამხრეთ საფრანგეთში გადამსხდარი დესანტის დახმარებითო. ამრიგად, „ორი წლის დისკუსიის, უწესრიგობისა და მეორეხარისხოვანი ოპერაციების ჩატარების შემდეგ ლამანშის გადალახვა გახდა მოკავშირეების სტრატეგიის ძირითადი ქვაკუთხედი ევროპის ომში“ (ო. ბრედლი).

თეირანის კონფერენციაზე საბჭოთა თარჯიმანი ვ. ბერეჟკოვი იგონებს, თუ როგორ ააღელვა ჩვენი დელეგაცია ამ წინადადებამ. სტალინი გაფითრდა, თურმე ხმაც გაებზარა და როგორღაც ყრუდ უთქვამს: მე კმაყოფილი ვარ ამ გადა-

წყვეტილებითო. ასეთი რეაგირება არ იყო შემთხვევითი. საბ-ჭოთა ადამიანები ითვალისწინებდნენ, რომ მეორე ფრონტი დააჩქარებდა ფაშისტური გერმანიის განადგურებას და ომის დასრულებას, რითაც გადარჩებოდა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და მილიარდობით ღირებული მატერიალური ფა-სეულობა.)

<Საბჭოთა დელეგაციას სურდა მოკავშირეების მიერ მი-ღებული გადაწყვეტილება გარანტირებული ყოფილიყო. ამი-ტომ მისმა მეთაურმა ჰკითხა ჩერჩილს და რუზველტს, თუ ვინ არის ოპერაცია „ოვერლორდის" მთავარსარდალი. ეგონა ხავარაუდევი ლაშქრობისათვის შესაფერი კანდიდატურა უკ-ვე შერჩეული ჰყავდათ. როცა რუზველტმა განაცხადა „ეს სა-კითხი ჯერ არ გადაჭრილაო", სტალინმა დასძინა: „ოპერაცია „ოვერლორდიდან" არაფერი არ გამოვა. ვის აკისრია მორა-ლური და სამხედრო პასუხისმგებლობა ოპერაცია „ოვერლო-რდის" მომზადებისა და შესრულებისათვის? თუ ეს ცნობილი არ არის, მაშინ ოპერაცია „ოვერლორდი" მხოლოდ ლაპარა-კიაო". რუზველტმა უპასუხა, რომ ოპერაციას ამზადებს რამ-დენიმე პირი, თუმცა მთავარსარდალი გამოყოფილი არაა. ამაზე აღშფოთდა საბჭოთა ხელმძღვანელი: სავსებით შეიძლე-ბა იმ რამდენიმე პირმა მოამზადოს ოპერაცია, მაგრამ, მთა-ვარსარდალს რომ დანიშნავენ, მოსალოდნელია არ მოეწონოს ჩატარებული მუშაობა, შეცვალოს იგი და ამით რამდენიმე ხნით გააჭიანუროს „ოვერლორდის" განხორციელებაო. სამა-რთლიანი საყვედური იყო და ჩერჩილმაც იჩქარა საბჭოთა პრემიერის დამშვიდება: ორ კვირაში საკითხს მოვაგვარებთ და მთავარსარდლის გვარსაც გაცნობებთო. მართლაც, კონ-ფერენციის დასრულების შემდეგ, კერძოდ 1943 წლის 5 დე-კემბერს, პრეზიდენტმა რუზველტმა ინგლის-ამერიკის გაერ-თიანებული არმიის -მთავარსარდლად დანიშნა გენ. დუაიტ ეიზენჰაუერი.

—[1]აღნიშნულ საკითხზე დადგენილების მიღების შემდეგ, წინასწარი სახით, მოეწყო აზრთა ურთიერთგაცვლა სამივე

ხალხებისათვის საინტერესო პრობლემებზე. ასეთი იყო გაერიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა, გერმანიისა და პოლონეთისადმი დამოკიდებულება, აგრეთვე თურქეთის ჩაბმა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში, რითაც მოკავშირეები გარკვეულ დაინტერესებას იჩენდნენ.

ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის ამ საკითხებიდან პირველი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. საქმე ეხებოდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც უბადრუკი ერთა ლიგისაგან განსხვავებით აქტიურად დაიცავდა მშვიდობასა და საყოველთაო უშიშროებას. სხვათა შორის, იგი პირველად დასვა საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის 24 სექტემბერს, როცა მოკავშირეების ლონდონის კონფერენციაზე წარდგენილ დეკლარაციაში მოითხოვა, „განესაზღვრათ საერთაშორისო ურთიერთობათა ორგანიზაციისა და ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის გზები და საშუალებანი ჩვენი ხალხებისა და მომავალი თაობების ცხოვრებიდან კაცობრიობის კულტურისათვის შეუფერებელი, დანაშაულებრივი, სისხლიანი ნაციზმის გამორიცხვის მიზნით“. ეს დებულება საბჭოთა მთავრობამ გააღრმავა იმავე წლის 4 დეკემბერს, როდესაც პოლონეთთან ხელშეკრულების გაფორმებისას მიუთითა მშვიდობის შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით ყველა დემოკრატიული ქვეყნის ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანების აუცილებლობაზე.

ასეთი ორგანიზაციის დაარსებისათვის პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სსრკ, ინგლისისა და აშშ, აგრეთვე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციამ (1943 წლის 19-30 ოქტომბერი). მიღებული რეზოლუცია მოითხოვდა, „შესაძლებლად უმოკლეს ვადაში“ შეემუშავებინათ საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის კონკრეტული წინადადებახი. ასე, რომ ამ საკითხზე-დიდ სამეულს შორის აზრთა გაზიარება მიზნად ისახავდა აღნიშნული ორგანიზაციის სტრუქტურის, მიზნებისა და ამოცანების მიმართ სსრ კავში-

რის, ინგლისისა და აშშ მთავრობების დამოკიდებულების გარკვევას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა თეირანში 29 ნოემბერს გაიმართა. იგი რუზველტმა ~~წამოიწყო.~~ მანვე ~~წარმოადგინა~~ ახალი ორგანიზაციის შექმნის პირველი მონახაზიც. პრეზიდენტის გეგმით მას სამი ძირითადი ორგანო ექნებოდა: ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი და „საპოლიციო კომიტეტი". პირველში შევიდოდა გაერთიანებული ერების ყველა სახელმწიფო და ექნებოდა მხოლოდ რეკომენდაციების შემუშავების უფლება. აღმასკომში გაერთიანდებოდნენ სსრკ, აშშ, ინგლისი და ჩინეთი, ევროპის ორი სახელმწიფო, თითო — სამხრეთ ამერიკიდან, მახლობელი და შორეული აღმოსავლეთიდან, აგრეთვე ინგლისის დომინიონებიდან და დასაქმებული იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკური, სასურსათო და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით. „საპოლიციო კომიტეტში" კი შევიდოდნენ სსრკ, აშშ, ინგლისი და ჩინეთი. კომიტეტს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. აგრეთვე კონტროლი გერმანიაზე. [illegible]

ეს გეგმა, ამერიკელი ისტორიკოსის რ. შერვუდის სიტყვით, წარმოადგენდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის პირველ ზედაპირულ მონახაზს". ამდენად, ბუნებრივია, მასში მრავლად იყო არა მარტო ბუნდოვანი, არამედ გაუგებარი, თანაც ზოგი რამ აშკარად მიუღებელიც. ამით აიხსნებოდა, რომ საბჭოთა დელეგაციამ საკითხის განხილვისას დიდი აქტიურობა გამოიჩინა. მაგალითად, სტალინმა უარყოფითად შეაფასა „საპოლიციო კომიტეტის" შექმნა, რადგან მისი შემადგენლობის განსაზღვრა ოთხი წევრით მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი სხვა სახელმწიფოების უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მაშასადამე, აღნიშნული პროექტი მიუთითებდა მხოლოდ დიდი ოთხეულის უზენაესობაზე კარდინალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში და სრულიად უგულებელყოფდა ამ საქმეში სხვა ქვე-

ყნების წვლილს. ამასთან, შეიძლება ამ ოთხეულიდან რომელიმე აგრესორის როლშიც გამოსულიყო. პროექტი კი მის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებას არ ითვალისწინებდა.

რაც შეეხება ინგლისის დელეგაციას, საკითხზე კონკრეტული გეგმა არ წარმოუდგენია. საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციაზე კი ა. იდენმა, ჩერჩილის იხსტრუქციის შესაბამისად, უარყოფითი პოზიცია დაიკავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისადმი. ჩანს, ატლანტიკის მთავრობას სერიოზულად აფიქრებდა ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაში გავლენისა და პოზიციების მოსალოდნელი შესუსტება და ამიტომ კვლავ ერთა ლიგის სასარგებლოდ იხრებოდა. ამ ტენდენციას ამყოლავნებდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი თეირანშიც, თუმცა ამაზე აშკარად ალარ ულაპარაკია.

ამის გამო სამეულს განსასილველად შერჩა მხოლოდ ამერიკელთა პროექტი, მაგრამ იგი იმდენად ნაკლული გამოდგა, რომ მის მიღებას აზრი არ ჰქონდა. სხვათა შორის, ეს არც მის ავტორებს მოუთხოვიათ. ამის მიუხედავად, საკითხზე დისკუსიის დაწყებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, რადგან ამზადებდა ნიადაგს, უახლოეს მომავალში მაინც. მისი დადებითად გადაწყვეტისათვის. ყოველ შემთხვევაში ამის გარანტიას იძლეოდა თვით კონფერენციაზე მიღებული „სამი სახელმწიფოს დეკლარაცია“, რომელშიც მთავრობათა მეთაურები საზეიმოდ აცხადებდნენ: „ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ ჩვენი ქვეყნები იმუშავებენ ერთად როგორც ომის დროს, ისე შემდგომ მშვიდობიან დროს“. და შემდეგ: „რაც შეეხება მშვიდობიან დროს, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს შორის არსებული თანხმობა უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას. სავსებით ვაღიარებთ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც გვაკისრია ჩვენ და ყველა გაერთიანებულ ერს ისეთი მშვიდობის განხორციელებისათვის, რომელსაც მოიწონებენ დედამიწის ხალხთა უდიდესი მასები და რომელიც

ძრავალ თაობას ააშორებს ომის უბედურებას და საშინელებას“.

ევროპაში მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფა გარკვეულად იყო დამოკიდებული გერმანიისა და პოლონეთის პრობლემების მოგვარებაზე, აქედან მთავარს, რა თქმა უნდა, გერმანიის შემავალი წარმოადგენდა. კონფერენციის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ჩანს, რომ 1 დეკემბერს, სტალინის თხოვნით, ჩერჩილსა და რუზველტს ჩამოუყალიბებიათ თავიანთი მთავრობების პოზიცია დამარცხებული გერმანიისადმი დამოკიდებულების საკითხში. ამ პრობლემით საბჭოთა მთავრობის დაინტერესება არ იყო შემთხვევითი. 1942-1943 წლებში ჩვენმა მოკავშირეებმა ძირითადად შეიმუშავეს დამარცხებული გერმანიისადმი დამოკიდებულების პოლიტიკა. აშშ და ინგლისის მთავრობათა მეთაურების აზრით გამარჯვებულებს გერმანია რამდენიმე სახელმწიფოდ უნდა დაეყოთ. ეს პოზიცია დასავლეთელ პარტნიორებს არც თეირანის კონფერენციის დროისათვის შეუცვლიათ. მართლაც, დიდი სამეულის შეხვედრისას რუზველტმა მოითხოვა გერმანიის დაშლა. თითქმის ასეთივე იყო ჩერჩილის აზრიც, თუმცა იგი უფრო შორს მიდიოდა, რადგან ითვალისწინებდა პრუსიის დანაწილებასაც. „პრუსია, — ამბობდა იგი — ესაა გერმანიის უბედურების ფესვი“. რუზველტმა შეაწყვეტინა: უმჯობესია ჯერ გერმანიის დაყოფის საერთო სურათი შეექმნათ და „ცალკეულ კომპონენტზე შემდეგ ვილაპარაკოთო“. აქვე წარმოადგინა მან ხუთ სახელმწიფოდ გერმანიის დანაწილების ამერიკული გეგმა: 1. პრუსია; 2. ჰანოვერი და ჩრდილო-დასავლეთი ოლქები; 3. საქსონია და ლაიფციგის რაიონი; 4. ჰესენის პროვინცია, დარმშტადტი, კასელი და რაინის სამხრეთით მდებარე რაიონები, აგრეთვე ვესტფალიის ძველი ქალაქები; 5. ბავარია, ბადენი და ვიურტერმბერგი, გარდა ამისა, გერმანიას გამოეყოფოდა კილის არხი და ჰამბურგი, ხოლო რურისა და საარის ოლქები

ან ვაერთიანებული ერების კონტროლს დაექვემდებარებოდა ანდა ევროპის მეურვეობის ქვეშ მოექცეოდა.

ალიაბშელი გეგმისაგან განსხვავებით ჩერჩილმა მოითხოვა გერმანიის დაშლა სამ ერთეულად: პრუსია, სამხრეთი გერმანია (ბავარია, საქსონია, ბადენი და სხვ.), აგრეთვე რური. აქედან პრუსია დარჩებოდა როგორც ეროვნული სახელმწიფო, ხოლო სამხრეთი რაიონები გაერთიანდებოდა ე. წ. „დუნაის ფედერაციაში". პრემიერის სიტყვით ამ პროვინციების გერმანელები არ არიან ომის გამჩაღებლები და ამიტომ მათ ლიბერალიზაციაც უნდა მოვექცეთ პრუსიელებთან შედარებით. რაც შეეხება რურს, იგი ინგლისს ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამარჯვებულ სახელმწიფოებს უნდა დაქვემდებარებოდა.

მაშასადამე, აშშ და ინგლისის დელეგაციები მოითხოვდნენ გერმანიის დაშლაცებას რამდენიმე სახელმწიფოდ და ეს მიაჩნდათ მშვიდობის უხრწნელობის გარანტიად. სინამდვილეში კი ამერიკელებიც და ინგლისელებიც ეგეგმავდნენ დასუსტებული გერმანიის ეკონომიკური სადავეების ხელში ჩაგდებას და მით ევროპაში დამკვიდრებას.

საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება გერმანიისადმი საერთოდ ცნობილი იყო ჯერ კიდევ 1942 წლის 23 თებერვლის უმაღლესი მთავარსარდლის სამხედრო ბრძანებიდან, რომელშიც ნათქვამია: „სასაცილო იქნებოდა ჰიტლერის ხროვის გაიგივება გერმანელ ხალხთან, გერმანიის სახელმწიფოსთან. ისტორიის გამოცდილება გვეუბნება, რომ ჰიტლერელები მოდიან და მიდიან, გერმანული ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩება". დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში 1942 წლის 6 ნოემბერს ი. ბ. სტალინმა კიდევ უფრო დააკონკრეტა გერმანიის მომავლისადმი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება, როდესაც აღნიშნა: „ჩვენ არა გვაქვს ისეთი ამოცანა, რომ მოვსპოთ გერმანია... მაგრამ ჰიტლერული სახელმწიფო მოსპობა შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა მოვსპოთ.

ჩვენი პირველი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „ოღესაბოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულისჩამდგმელნი“. ამის მიუხედავად, საბჭოთა დელეგაციას კონფერენციაზე თავის თვალსაზრისი ვრცლად არ წარუდგენია, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან სტალინის არაოფიციალური საუბრებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი გერმანიის დაშლის და მითუმეტეს რაღაც ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შექმნის წინააღმდეგი იყო. ,ო. შერვუდი, იხსენებს რა ჰოპკინსის საუბარს, აღნიშნავს სტალინი კონფერენციაზე „ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე“ შეხვდა რუზველტისა და ჩერჩილის წინადადებებსო. მართლაც, რუზველტთან პირისპირ შეხვედრისას (29 ნოემბერი) საბჭოთა მეთაურმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა პრეზიდენტის წინადადებას გერმანიის დაშლის შესახებ და რომ ჩერჩილიც „ძალზე იოლად უყურებს ამ საქმეს“. მან რუზველტის ყურადღება მიაპყრო გერმანიის მიერ ომების გაჩაღების ვადების შემცირებაზე: „პირველი დიდი ომი, რომელიც გერმანიამ გასული საუკუნის 70-ე წელს დაიწყო, დამთავრდა 71-ე წელს. ამ ომიდან სულ მხოლოდ 42 წლის შემდეგ, ანუ 1914 წელს გერმანიამ გააჩაღა ახალი ომი, ხოლო 21 წლის შემდეგ ანუ 1939 წელს, გერმანიამ კვლავ დაიწყო ომი. როგორც ჩანს გერმანიის აღდგენისათვის საჭირო ვადა მცირდება“ და „შემდგომაც, ცხადია, შემცირდება“, რადგან გერმანელებს, სტალინის სიტყვით, აქვთ „ძლიერი მისწრაფება გაერთიანებისაკენ“ და „დიდი გერმანიის აღდგენისაკენ“. ასე რომ მშვიდობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო არა გერმანიის დანაწილება, არამედ მისი განიარაღება და დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევა. ჩერჩილის შენიშვნაზე, რომ გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღდგენა შეუძლებელია ომში მისთვის მიყენებული დიდი ზარალის გამო, სტალინმა პირდაპირ უპასუხა: „გერმანიის სპეციფიკური პირობები იუნკრობითა და მსხვილი სამხედრო კონცერნებით ცხადია, რომ შეუძლია კიდევ არაერთხელ შეუქმნას საფრთხე

მშვიდობას. ამიტომ ჩვენ უნდა ვცადოთ ამ პირობების შეცვლა-ო". მაშასადამე, საბჭოთა მეთაურმა აქ აშკარად გაამახვილა ყურადღება გერმანიის საზოგადოებრივ წყობაზე და მომავალში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით მისი შეცვლა მოითხოვა. სხვათა შორის, რუზველტთან პირადი საუბრისას მან ჩამოაყალიბა სტრატეგიული ღონისძიებებიც, რომლებიც დაეხმარებოდნენ მოკავშირეებს შემდგომში გერმანიის მოსალოდნელი აგრესიის აღკვეთაში. აღნიშნული „შესწორება" იმდენად საფუძვლიანი ჩანდა, რომ რუზველტმა თქვა: „100 პროცენტით ეთანხმება მარშალ სტალინს". ბოლოს, რამდენადაც გამომჟღავნდა სრულიად განსხვავებული მიდგომა განსახილველ საკითხზე, ამჯობინეს იგი შესასწავლად გადაეცათ საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის.

ამით საუბარი გერმანიაზე დამთავრდა. დიდმა სამეულმა დაიწყო აზრთა გაზიარება პოლონეთის შესახებ, რომელიც ცვლილებად იდგა მოკავშირეთა წინაშე.

ჰიტლერული გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, როგორც ცნობილია, სიკორსკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა ლონდონს. ანტიფაშისტური კოალიციის გაფართოების მიზნით საბჭოთა მთავრობამ კავშირი დაამყარა ემიგრანტულ მთავრობასთან და 1941 წლის 30 იელისს მასთან თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება გააფორმა. შეთანხმებით პოლონეთი სსრკ ერთად იბრძოლებდა გერმანიის წინააღმდეგ (ეს მისი ინტერესებიდანაც გამოდიოდა), სანაცვლოდ საბჭოთა მთავრობა დაეხმარებოდა ემიგრანტულ მთავრობას ქვეყნის განთავისუფლებასა და ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში. მოსალოდნელი იყო, რომ სიკორსკის მთავრობა ითანამშრომლებდა სსრ კავშირთან ამ მიზნის მიღწევისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, დასავლეთ ბელორუსიის და დასავლეთ უკრაინის ტერიტორიების დაბრუნების მოტივით მან გააჩაღა ანტისაბჭოთა საქმიანობა, დაუკავშირდა გერმანელებს და აფერხებდა პოლონეთის განთავი-

სუფლებას. სწორედ ემიგრანტული მთავრობის ხრიკებით დაყოვნდა გენ. ანდერსის ხელმძღვანელობით პოლონეთის არმიის შექმნა საბჭოთა ტერიტორიაზე. იმასთან მისმა აგენტებმა არაერთი აგრესიული აქტი მოაწყვეს საბჭოთა არმიის ზურგში, გასცეს და მტერს ჩაუგდეს ხელში პარტიზანები[5] თვით პოლონეთის ტერიტორიაზე და სხვ. საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ჯერ სიკორსკის, შემდეგ არციშევსკის მთავრობის მოღალატურ საქმიანობაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაშინ, მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და დაუახლოვდა - მოსკოვში - მყოფ პოლონელთა „ეროვნულ კომიტეტს", რომელიც შემდეგ პოლონეთის კანონიერი მთავრობის საფუძველი გახდა. ასეთი იყო ვითარება თეირანის კონფერენციის წინ.

თეირანში კი მოკავშირეებმა საბჭოთა მთავრობას მოთხოვეს აღედგინა ადრინდელი ურთიერთობა ემიგრანტულ მთავრობასთან. კერძოდ, ეს საკითხი დასვა რუზველტმა, მას შეუერთდა ჩერჩილიც. ინგლისის პრემიერმა ქედმაღლურად თქვა: „ჩვენ ომი გამოვუცხადეთ გერმანიას იმის გამო, რომ გერმანია თავს დაესხა პოლონეთს". თანაც, განაგრძო მან, პოლონეთის დახმარების მიზნით „ვაიძულეთ საფრანგეთი, ჩაბმულიყო ომში-ო". ჩერჩილის მხრივ ეს საკმაოდ უტიფარი განცხადება იყო, რადგან პოლონეთისათვის 1939 წელს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეების (ინგლისი, საფრანგეთი) მიერ გერმანიისათვის არა ომის გამოცხადებას, არამედ პრაქტიკულ დახმარებას. ამ მხრივ კი ჩერჩილს სატრაბა-

---

5 სხვათა შორის, ამ გზით დაიღუპა ათობით ქართველიც, რომლებიც გვარდია ლიუდოვას პარტიზანული რაზმების შემადგენლობაში იბრძოდნენ პოლონეთის განთავისუფლებისათვის. მაგალითად, ისტორიკოს ვლადისლავ ბორტნოვსკის ცნობით 1943 წლის იელისში „იანკას" რაზმმა ოზენიცის ტყეთა ბანაკიდან გამოიხსნა „ქართველების დიდი ჯგუფი", რომელიც შემდეგ პოლონელ გამცილებელთან ერთად ამოხოცა „ორლიკის" „უკიდურესად რეაქციულმა ბანდამ".

ხო არაფერი ჰქონდა, რადგან სწორედ ინგლის-საფრანგეთის უმოქმედობით[6] შეძლო ჰიტლერმა პოლონეთის უსწრაფესი ოკუპაცია. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რასაც შემდეგ. სხვათა შორის, ჩერჩილიც არ უარყოფდა. აი მისი სიტყვები: „მთელი მსოფლიო გაოცებული იყო, როცა პოლონეთზე ჰიტლერის გამახადგურებელ შეტევას და ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გერმანიისათვის ომის გამოცხადებას მოჰყვა ხანგრძლივი პაუზა... ჩვენ ვკერდებოდით იმას, რომ ვფანტავდით ფურცლებს, რომლებიც ზნეობრიობისაკენ მოუწოდებდნენ გერმანელებს. დედამიწაზე და ჰაერში ომის ეს უცნაური ეტაპი აოცებდა ყველას. საფრანგეთი და ინგლისი უმოქმედოდ იყვნენ იმ რამდენიმე კვირის განმავლობაში, როცა გერმანული სამხედრო მანქანა მთელი თავისი ძლიერებით ანადგურებდა და იპყრობდა პოლონეთს. ჰიტლერს არ ჰქონდა საფუძველი უკმაყოფილო ყოფილიყო ამით“. და ამის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერს ეყო გამბედაობა ეთქვა პოლონეთის გამო ჩავებით ომშიო.

ასე იყო, თუ ისე, მოკავშირეების აღნიშნულ მოთხოვნაზე საბჭოთა დელეგაციას უნდა გაეცა პასუხი, მით უმეტეს, რომ საქმე ეხებოდა არა მარტო პოლონეთის მთავრობისადმი (ემიგრანტული ან ეროვნული კომიტეტი), არამედ ამ ქვეყნის მომავალი საზღვრებისადმი დამოკიდებულებას. მართლაც, სტალინმა ვრცლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა საბჭოთა პოზიცია. „რუსეთი, — თქვა მან, — სხვებზე ნაკლებ კი არა, სხვა სახელმწიფოებზე მეტად დაინტერესებულია, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს პოლონეთთან, რადგან პოლონეთი რუსეთის მეზობელია. ჩვენ მხარს ვუჭერთ პოლონეთის აღდგენას, გაძლიერებას, მაგრამ ჩვენ გამოვყოფთ პოლონეთს ემიგრანტული პოლონური მთავრობისაგან ლონდონში. ჩვენ გავწყვიტეთ

---

6 მართლაც, პირველი ჯარისკაცი ინგლისელებს დასავლეთის ფრონტზე დაეღუპათ მხოლოდ 13 დეკემბერს, ე. ი. გერმანიისათვის ომის გამოცხადებიდან (3. IX. 1939) 3 თვისა და 10 დღის შემდეგ.

ურთიერთობა ამ მთავრობასთან არა რაიმე ჩვენი კაპრიზის გამო, არამედ იმიტომ, რომ პოლონეთის მთავრობა შეუერთდა ჰიტლერის ცილისწამებას საბჭოთა კავშირის მიმართ... ჩვენ გვინდა გვქონდეს გარანტია, რომ პოლონეთის მთავრობის აგენტები არ დახოცავენ პარტიზანებს, რომ პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა ნამდვილად მოუწოდებს გერმანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და არ დაიწყებს რაღაც მაქინაციებს. ჩვენ კარგ ურთიერთობას ვიქონიებთ მთავრობასთან, რომელიც მოუწოდებს გერმანელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის... თუ იგი სოლიდარობას გამოუცხადებს პარტიზანებს და თუ გვექნება გარანტია, რომ მის აგენტებს კავშირი არ ექნებათ პოლონეთში მყოფ გერმანელებთან, მაშინ მზად ვიქნებით დავიწყოთ მასთან მოლაპარაკება".

ეს განცხადება იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ ჩერჩილსა და რუზველტს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. მხოლოდ ინგლისის პრემიერმა ისურვა, გაეგო საბჭოთა მხარის პოზიცია პოლონეთის საზღვრების შესახებ. სტალინმა გააამახვილა ყურადღება აღმოსავლეთის საზღვარზე, რადგან ემიგრანტული მთავრობის ცილისმწამებლური კამპანიის შედეგად დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლება საბჭოთა არმიის მიერ ევროპის საზოგადოებრივ თვალში დახატული იყო, როგორც პოლონეთის კუთვნილი ძიწა-წყლის დაპყრობა სსრ კავშირის მიერ. საბჭოთა პრემიერმა აღნიშნა, რომ პოლონეთ-სსრკ შორის საზღვარი გაიკვლია 1939 წლის ხაზზე, ე. ი. უკრაინის ისტორიული ტერიტორია დაუბრუნდებოდა უკრაინას, ხოლო ბელორუსიისა — ბელორუსიას. „საბჭოთა მთავრობა. — თქვა მან, — ამ საზღვრის თვალსაზრისს ადგას და სწორად მიაჩნია ეს". მართალია, მოკავშირენი ამ დებულების წინააღმდეგ აშკარად არ გამოსულან, მაგრამ აღმოსავლეთის საზღვრის გადასინჯვის იმედით ჩერჩილმა საკმაოდ ორაზროვანი წინადადება წარმოადგინა. იგი ითვალისწინებდა, რომ პოლონეთად მიგვეჩნია ტერიტორია ე. წ. კერზონის ხაზსა და მდ. ოდერს შორის, რომელსაც

დაემატებოდა აღმ. პრუსია და ოპელენის პროვინცია. ეს იქნებოდა წინასწარი მონახაზი, საბოლოოდ კი საზღვრებს დაადასტურებდნენ საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ.

საბჭოთა დელეგაციამ მაშინვე განუცხადა, საით უკაკუნებდა ჩერჩილი. ამიტომ სტალინმა დამატებით განაცხადა: „რუსებს არა აქვთ გაუყინავი ნავსადგურები ბალტიის ზღვაზე. ამიტომ რუსებს სჭირდებათ კენიგსბერგისა და მემელის გაუყინავი ნავსადგურები და აღმოსავლეთ პრუსიის შესაბამისი ტერიტორიები. მით უმეტეს, რომ ისტორიულად ეს ძველთაძველი სლავური მიწებია. თუ ინგლისელები თანახმანი არიან გადმოგვცეს აღნიშნული ტერიტორია, ჩვენ დავეთანხმებით ფორმულას, რომელიც ჩერჩილმა წარმოადგინა“. ინგლისის პრემიერმა კი გაიგო ამ აზრის მნიშვნელობა, მაგრამ ზრახვების დასაფარავად მაინც მიუგო: „ეს ძალიან საინტერესო წინადადებაა, რომელსაც აუცილებლად შევისწავლიო“.

ამით საუბარი პოლონეთის შესახებ დასრულდა. დიდი საშეული შეუდგა თურქეთის საკითხის განხილვას. 28 ნოემბრის სხდომაზე საკითხი აღძრა ჩერჩილმა. საქმე ეხებოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში თურქეთის მონაწილეობას, რითაც გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა ინგლისის დელეგაცია. ჩერჩილის სიტყვით ამით მოკავშირეებს გაეხსნებოდათ კომუნიკაციები დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებში საბჭოთა კავშირისათვის შავი ზღვის გზით დახმარების გასაწევად და მიეცემოდათ „მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად“ თურქეთის აეროდრომების გამოყენების შესაძლებლობაც. „ცხადია, ეს წინადადება იყო. უაღრესად მიმზიდველი, მითუმეტეს, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად დააჩქარებდა რუმინეთისა და ბულგარეთის გამოსვლასაც ომიდან, მაგრამ ინგლისის დაინტერესებას სხვა მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, ამზადებდა ნიადაგს თურქეთში თავისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისათვის, რომ შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაშიც დამკვიდრებულიყო; მეორეც, კონფერენციაზე თურქეთის საკითხის დასმით სურდა საბჭოთა დე-

ლეგაციის ყურადღების გადატანა ძირითადიდან (ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა) შედარებით უმნიშვნელოზე; და მესამეც, ბალკანეთში თურქთა მრავალრიცხოვანი არმიის მოქმედების გაშლით ცდილობდა ვნა გადაეკეტა სამხრეთ-დასავლეთ ევროპისაკენ საბჭოთა არმიის სავარაუდო წინსვლისათვის.

საერთო მხარე ერთსულოვანი იყო ომში თურქეთის მონაწილეობის სარგებლობის შესახებ. მაგრამ დავას იწვევდა საკითხის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობა. მაგალითად, საბჭოთა დელეგაცია აშკარად ეშვობდა მიზნის მიღწევას. იგი თურქეთისადმი ინგლისის პრემიერის არც დაპყრობით (და სხვა) გეგმებს იზიარებდა, მაგრამ თუ მაინც მოხერხდებოდა ამ ქვეყნის გამოყვანა გერმანიის წინააღმდეგ (რა თქმა უნდა ოპერაცია „ოვერლორდის" ინტერესების შეულახავად), ამას უდაო პროგრესად მიიჩნევდა. აწმ დელეგაციას ომში თურქეთის ჩაბმა მარტივად ეჩვენებოდა. რუზველტი იმედოვნებდა, რომ ქაიროში შეხვედრისას გავლენას მოახდენდა თურქეთის პრეზიდენტ ინენიუზე და დაიყოლიებდა მას ომში ამ ქვეყნის მონაწილეობაზე. რაც შეეხება ჩერჩილს, იგი დაჯერებული იყო მიზნის მიღწევაში, თუმცა თურქეთის უარის შემთხვევაში მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტითა და მისდამი ძალის დემონსტრირებით იმუქრებოდა. ამისათვის კი საკმარისი იქნებოდა „ერთი მოიერიშე დივიზიაც".

ბოლოს, სამივე მხარე შეთანხმდა, სხვადასხვა საშუალებით ზეგავლენა მოეხდინათ თურქეთის მთავრობაზე და ჩაებათ ომში, მითუმეტეს, რომ მას მზად ჰყავდა კარგად შეიარაღებული მილიონიანი არმია. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ვადადგა რუზველტმა, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა თურქეთის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა ქაიროში იმავე წლის 4-6 დეკემბერს. ეს მოლაპარაკება მართლაც შედგა, მაგრამ, როგორც საბჭოთა დელეგაცია ვარაუდობდა, უშედეგოდ დამთავრდა. მოკავშირეებმა მიზანს ვერც შემდეგ მიაღწიეს (სხვათა შორის, ინგლისს არ შეუსრუ-

ლებია თავისი მუქარა ძალის გამოყენების შესახებ, არც თურქეთთან კავშირის გაწყვეტა „გახსენებია“). ამის გამო ამ ქვეყნის ხმართველი წრეები კვლავ აგრძელებდნენ დანაშაულებრივ ურთიერთობას ფაშისტურ გერმანიასთან. მხოლოდ 1944 წლის 2 აგვისტოს გაწყვიტა მან დიპლომატიური კავშირი, ხოლო 1945 წლის 23 თებერვალს გამოუცხადა ომი ყოფილ მოკავშირეს, მაგრამ ფორმალურად. ამ დროისათვის ფაშისტებისაგან გახთავისუფლებული იყო ბულგარეთი, იუგოსლავია, რუმინეთი და ალბანეთი. ამის შედეგად ფრონტის ხაზი იმდენად დაშორდა თურქეთის საზღვრებს, რომ მის ჯარს უკვე არ შეეძლო ევროპის ფრონტზე უშუალოდ შებრძოლებოდა მტერს. ცხადია, ასეთ პირობებში თურქეთს არაფრად უღირდა იაპონიისათვის ომის გამოცხადებაც, სამაგიეროდ ამან ისტორიის ირონიით, მას სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე (25. IV: 1945) ადგილი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის სახელი მოუტანა.

დიდმა სამეულმა იმსჯელა აგრეთვე იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის მონაწილეობის საკითხზე, რითაც ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო აშშ დელეგაცია.

ცნობილია, რომ 1941-1944 წლებში საბჭოთა კავშირი ფაშისტური ღერძის სახელმწიფოთაგან ებრძოდა გერმანიასა და იტალიას, იაპონიას კი არა, თუმცა ამ უკანასკნელმა ომის გახმავლობაში არაერთხელ დაარღვია სსრ კავშირთან 1941 წლის აპრილში გაფორმებული ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება.

აშშ მთავრობა დიდ ინტერესს იჩენდა იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა შეიარაღებული ძალების მონაწილეობისადმი. პირლ-ჰარბორის ტრაგედიის (1941 წლის 7 დეკემბერი) შემდეგ ამერიკა წყნარი ოკეანის აუზში იაპონიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის გამოყენებით ვარაუდობდა. ამიტომ თეირანის კონფერენციაზე რუზველტი ცდილობდა მიეღო საბჭოთა ხელმძღვანე-

ლის თანხმობა იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე. ამასთან, ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეები ფიქრობდნენ, რომ ომი იაპონიასთან ხანგრძლივი იქნებოდა, ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ, ალბათ, 18 თვესაც გასტანდა. მის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის გამოსვლა კი, მათი აზრით, დააჩქარებდა წყნარ ოკეანეში ამ უძლიერესი სახელმწიფოს დამარცხებას, თანაც დაასუსტებდა მას (სსრკ) და ჩაშოაშორებდა ევროპის საქმეებს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა არ იზიარებდა ჩვენი მოკავშირეების, განსაკუთრებით კი ამერიკის დამპყრობლურ, იმპერიალისტურ გეგმებს იაპონიის მიმართ. ამ ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა მას აინტერესებდა უპირატესად შორეულ აღმოსავლეთში ომის კიდევ ერთი კერის მოსპობისა და ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან, იგულისხმებოდა, რომ ომის შედეგად რუსეთს დაუბრუნდებოდა კუთვნილი ტერიტორიები, რომლებიც მას 1905 წელს წაართვა იაპონიამ. ამიტომ საბჭოთა მხარემ ამ ქვეყნის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისადმი დადებითი პოზიცია დაიკავა. ამის შესახებ ამერიკელები ადრევე იყვნენ ინფორმირებულნი. საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის დამთავრებასთან დაკავშირებით 1943 წლის 30 ოქტომბერს გამართული დარბაზობის დროს, საუბრისას, საბჭოთა მეთაური თურმე გადაიხარა ვ. ბერეჟკოვისაკენ და უთხრა, ეთარგმნა კ. ჰელისათვის ისე, რომ სხვას არ გაეგონა: საბჭოთა მთავრობამ განიხილა შორეული აღმოსავლეთის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ევროპაში ომის დამთავრებისთანავე სსრ კავშირი ჩაებმება ომში იაპონიის წინააღმდეგ. სტალინმა თხოვა კ. ჰელს, გადაეცა ეს პრეზიდენტ რუზველტისათვის, როგორც ოფიციალური საბჭოთა პოზიცია, ოღონდ ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭოთა დელეგაციამ თეირანის კონფერენციაზეც დაადასტურა, მაგრამ ვალდებულების წერილობით გაფორმებაზე, ჯერჯერობით, თავი შეიკავა (ეს

იყო ე. წ. „ჯენტლმენური შეთანხმება“) და სავსებით სწორადაც — სსრ კავშირისა და გერმანიის ომის მძიმე პირობებში საბჭოთა მთავრობის მიერ იაპონიასთან ეაფორმებული ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების აშკარა დარღვევას, უდაოდ, მოჰყვებოდა ამ უკახასკელის მხრივ შესაბამისი მტრული მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში, რაც გაართულებდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას

საერთოდ საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თვალსაზრისითაც. ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსი მ. მეტლოფი სწორად მიუთითებდა, რომ იგი „საუკეთესო გზით წყვეტდა ამ (იაპონიასთან ომის — ა. ს.) პრობლემას და რუზველტისათვის... ხსნიდა ესოდენ შემაწუხებელ საკითხს“. აქვე უნდა დავიმოწმოთ ერთი ამერიკული ოფიციალური დოკუმენტიც, რომელშიც ნათქვამი იყო: „განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორი, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაუწიოს ანგარიში თავის ურთიერთობაში რუსეთთან, არის ომი წყნარ ოკეანეში. თუ რუსეთი იქნება მოკავშირე ომში იაპონიის წინააღმდეგ, იგი შეიძლება დამთავრდეს მალე ადამიანებისა და რესურსების მცირე დანაკარგებით. თუ მოგვიწევს ომი წყნარ ოკეანეში რუსეთის არამეგობრული ან უარყოფითი პოზიციის პირობებში, სიძნელეები წარმოუდგენლად გაიზრდება და ოპერაცია შეიძლება უშედეგო დარჩეს“. ამიტომ, ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელები, რ. შერვუდის სიტყვით, „მოქმედებდნენ ამ სულისკვეთებით, როდესაც ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს თეირანში და გაცილებით გვიან — იალტაში“.

სხვათა შორის, თავად უ. ჩერჩილი იაპონიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე საბჭოთა მთავრობის დაპირებას მიიჩნევდა კონფერენციის ერთ-ერთ „გადამწყვეტ მოვლენად“, უწოდებდა მას „ისტორიულს“, რომელსაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა „ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის თვალსაზრისით“.

ამით ძირითადად დასრულდა კონფერენციის მონაწილეთათვის საინტერესო საკითხების განხილვა.[7] 1 დეკემბერს მეღგა საბოლოო სხდომა,[8] სადაც მიიღეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი „სამი სახელმწიფოს დეკლარაცია ირანის შესახებ". კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს ირანის წვლილი „საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში", რაც გამოიხატა საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთიდან ტვირთის ტრანსპორტირების გაადვილებაში. ამიტომ პირდებოდნენ მას შესაძლებელ ეკონომიკურ დახმარებას არა მარტო ომის პერიოდში, არამედ მის შემდეგაც. სამი ხელმძღვანელი გამოთქვამდა სურვილს ირანის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ, აგრეთვე ირანის მონაწილეობას მშვიდობის დამყარება-განმტკიცებაში ატლანტიკის ქარტიის პრინციპების შესაბამისად.

ამის შემდეგ დარჩა უკანასკნელი პროცედურა—მიღებულ გადაწყვეტილებათა წერილობით გაფორმება და გასაიდუმლოება.

ცნობილია, რომ ინგლისის პრემიერის ჩერჩილის წინადადებით სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურებმა, კონსპირაციის მიზნით, მიმოწერას კონფერენციის მოწვევის შესახებ უწოდეს კოდური სახელი „ქაირო-სამი", ხოლო შეხვედრის ადგილს „ევრიკა". ცხადია, ეს გაკეთებული იყო უშიშროების დაცვის მიზნით. შემდეგ ერთ-ერთ სხდომაზე მიიღეს დადგენილება, არ გამოექვეყნებინათ კონფერენციის ოქმები ან სხვა მასალა პრესაში, თუ დიდი სამეული ამას მიზანშეწონილად არ ჩათვლიდა. ამის შესაბამისად, ბერეჟკოვის სიტყვით, საბჭოთა

---

7 დიდმა სამეულმა ერთმანეთს გააცნეს აგრეთვე თავიანთი აზრები მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის, იტალიის ფლოტის განაწილებისა და იუგოსლაველი პარტიზანებისადმი დახმარების შესახებ.

8 განზრახული იყო მუშაობის გაგრძელება 2 დეკემბერსაც, მაგრამ მოულოდნელად ამინდის მკვეთრი გაუარესებისა და ფრენისათვის საჭირო მეტეოროლოგიური პირობების შეცვლის გამო დიდი სამეული შეთანხმდა კონფერენცია 1 დეკემბერს დაესრულებინათ.

დელეგაციას წინადადებაც კი მისცეს, რომ უკანასკნელი საუბრის შინაარსი, ჩვეულებისამებრ, კი არ ეკარნახათ სტენოგრაფისტი ქალისათვის, თუმცა იგი საკვლევით სანდო იყო, არამედ კალმით ჩაგვეწერა მეორე ფრონტის გახსნის ზუსტი ვადა და სხვა გადაწყვეტილებები, შემდეგ კი მოსკოვში გაგვეფორმებინა შესაბამისი ოქმები. ჩანაწერები თეირანის გადაწყვეტილებების შესახებ, სიფრთხილის მიზნით, დიპლომატიური ფოსტით უნდა გაეგზავნათ. ამიტომ ისინი შეფუთეს სპეციალურ შავ კონვერტებში და ბრეზენტის ტომარაში, დალუქეს მრავალი ბეჭდით და შეიარაღებულმა დიპლომატიურმა კურიერებმა მოსკოვს ჩაიტანეს. ანალოგიური ზომები განახორციელეს აგრეთვე ჩვენმა მოკავშირეებმაც, მაგრამ საიდუმლოების დაცვა მაინც არ მოხერხდა სწორედ ინგლისის ხელმძღვანელი წრეების დაუდევრობის გამო. ლონდონს დაბრუნებულმა ა. იდენმა მოლაპარაკების შედეგები წერილობით გააცნო ინგლისის ანკარელ ელჩს ჰეტჩბულ-ჰიუგესსენს. ეს დოკუმენტი, ისევე როგორც სხვა სრულიად საიდუმლო მასალა, რომლებიც ელჩის საოცარი უზრუნველობის წყალობით დაუცველად ეყარა მაგიდაზე, ხელთ ჩაუვარდა ჰეტჩბულ-ჰიუგესსენის პირად კამერდინერს ელიას ბაზნას, რომელიც იყო გერმანელთა ფასიანი აგენტი მეტსახელად „ციცერონი". 1943 წლის ოქტომბრიდან 1944 წლის აპრილამდე მან ფირზე გადაიღო ის და 400-მდე სხვა დოკუმენტი და 300 ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა გერმანიის დაზვერვას. ამის წყალობით გერმანელებმა დროულად გაიგეს კონფერენციის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, მაგრამ მათ მაინც ვერ გამოიყენეს ეს უძვირფასესი ინფორმაცია: ჯერ ერთი, ყოყმანობდნენ, ინგლისელებმა დეზინფორმაციის მიზნით ხომ არ შემოგვაპარეს საბუთებიო; მეორე მხრივ, ესმოდათ რა მთელი მნიშვნელობა ციცერონისაგან მიღებული ინფორმაციისა, ეშინოდათ გახმაურებისა, რათა არ გამოეაშკარავებინათ მისი წყარო. თავის მხრივ, ამ ვაჭრობით ვერც „ციცერონი" გამდიდრდა — მიღებული ფულის უდიდესი ნაწილი (260 ათასი გირვანქა სტერ-

ლინგი) ყალბი აღმოჩნდა. ამის გამო, ე. ბაზნამ ომის შემდეგ მიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს კ. ადენაუერს, იჩივლა დასავლეთ გერმანიის სასამართლოებშიც, მაგრამ უშედეგოდ. ერთადერთი, რაც მან ხანგრძლივი დავის შემდეგ მოიპოვა, იყო მონაწილეობა ფილმში „ციცერონის საქმე", რომელშიც მებაღე-დეკორატორისა და მოცეკვავის უმნიშვნელო როლის შესრულებით დაკმაყოფილდა.

ომისშემდგომ პერიოდში დასავლეთის რეაქციული ისტორიოგრაფია აშკარად გამოვიდა თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რევიზიით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ იხგლისელი მკვლევარები. ისინი ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს რომ კონფერენცია საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა ქვეყნის ავტორიტეტის ზრდის ნიშნით ჩატარდა, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებას საფუძვლად საბჭოთა პროექტი დაედო. და სხვ. კიდევ მეტი, თეირანის კონფერენციის კრიტიკოსები ცდილობენ გააქარწყლონ და არარაობად აქციონ მიღებულ დადგენილებათა მნიშვნელობა. ისტორიკოსი ჯ. ფულერი წერს: თეირანის გადაწყვეტილებით „ყველაფერი, ჰიტლერიზმის აღმოფხვრის გამოკლებით, რისთვისაც იბრძოდნენ დასავლეთის მოკავშირე სახელმწიფოები, ამიერიდან დავიწყებული აღმოჩნდნენ... პოლონეთი და ბალტიისპირა სახელმწიფოები ბედის ანაბარად დარჩნენ და აღმოსავლეთ ევროპის კარი გაიხსნა რუსებისათვის". ეს კი იმან გამოიწვია, რომ რუზველტი თურმე მეტისმეტ შემწყნარებლობას და დათმობლობას იჩენდა საბჭოთა დელეგაციის მიმართ, რის გამოც ჩერჩილი ხშირად რჩებოდა იზოლირებული და იძულებულიც წასულიყო დათმობაზე თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

საერთოდ, საბჭოთა ქვეყნისადმი რუზველტის განსაკუთრებული დამთმობლობისა და ჩერჩილის იზოლაციის ვერსია დიდ მოწონებაშია ინგლისურ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, ლ. ბროდის სიტყვით, პრეზიდენტი მოქმედებდა „რუსებთან მჭიდრო კონტაქტში". ა. ბრაიანტის აზრით კი რუზველტისა

და სტალინის მეგობრულმა ურთიერთობამ განსაზღვრა უკვე კონფერენციაზევე „ამერიკელთა და რუსთა ღერძის შექმნა". დაბოლოს, უ. მაკნეილი წერს: „ყველაზე შესამჩნევი კონფერენციაზე იყო რუსი და ამერიკელი სამხედროების გეგმების აშკარა დამთხვევა და დიდი ბრიტანეთის შესაბამისი იზოლაცია. ჩერჩილი მოულოდნელად ძალზე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა".

რა თქმა უნდა, კონფერენციაზე სრულიადაც არ შეიმჩნეოდა აშშ პრეზიდენტის რაიმე განსაკუთრებული დამთმობლობა საბჭოთა დელეგაციის წინაშე, მითუმეტეს არ შექმნილა ინგლისის წინააღმდეგ ამერიკის და საბჭოთა კავშირის რაიმე კოალიცია (ღერძის გაფორმებაზე სერიოზული ლაპარაკი ხომ სრულიად ზედმეტია!). უბრალოდ, რუზველტი რეალურად უდგებოდა ფაქტებსა და მოვლენებს, ღირსეულად აფასებდა საბჭოთა ხალხის მედგარ ბრძოლას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და ცდილობდა აქტიურად ეთანამშრომლა ანტიჰიტლერულ კოალიციაში. ცხადია, მისი ასეთი პოზიცია განსაზღვრავდა იმ ეტაპზე კეთილსასურველ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი. მაშ რისთვის ცდილობენ დასავლეთში, კერძოდ ინგლისში, დაასაბუთონ რუზველტის დამთმობლობა და საბჭოთა პრემიერთან მისი სეპარატიული შეთანხმება? მხოლოდ იმისთვის, რომ ჯერ ერთი, მიჩქმალონ კონფერენციაზე ინგლისის განსაკუთრებული პოზიცია და განსახილველი საკითხებისადმი მისი ცუდად შენიღბული გეგმები; და მეორეც, გაამართლონ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ომისშემდგომ პერიოდში ბრიტანეთის პოლიტიკის სრული კრახი. ჯ. ლისორი საკმაოდ გულახდილად აღიარებს: „კრემლთან აშშ მთავრობის ფლირტის გამო" თეირანის გადაწყვეტილებებმა დამღუპველად იმოქმედეს დასავლეთის სახელმწიფოებზე, რადგან მათ ვერ შეძლეს მონაწილეობა ნაციზმისაგან განთავისუფლებული აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების მოწყობაშიო.

ამრიგად, აღნიშნული კონფერენციის გადაწყვეტილებათა

რევიზიის ცდები უსაფუძვლოა. მშვიდობის მომხრეთა ძალებმა სწორედ თეირანში მიაღწიეს უდიდეს გამარჯვებას სამხედრო საკითხებზე შეთანხმებითა და დიდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნით. ეს კი თავისთავად განსაზღვრავდა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის შესაძლებლობას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ანტიფაშისტური კოალიციის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებდა. თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში თვით ჩერჩილიც აღნიშნავდა: „პირადი კონტაქტები, რაც ჩვენ დავამყარეთ, დიდად სასარგებლო იყო ჩვენი საერთო საქმისათვის. უთანხმოებანი სულ უფრო მცირე გვექნებოდა, რომ დიდი სახელმწიფოს მეთაურები თვეში ერთხელ მაინც ასე ვხვდებოდეთ ერთმანეთსო“.

ი ა ლ ტ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

> იალტაში სტალინმა შეუძლებელი გააკეთა
>
> ჩერჩილი.

იალტის კონფერენცია მიმდინარეობდა 1945 წლის 4-11 თებერვალს. ამ დროისათვის ომი გერმანიასთან დასასრულს უახლოვდებოდა. 1944 წლის დამლევს და 1945 წლის დამდეგს საბჭოთა არმიამ გაარღვია მოწინააღმდეგის გამაგრებული ხაზი ოდერზე და სილეზიის მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონი დაიკავა. წარმატებებს მიაღწიეს დასავლეთის ფრონტზე ამერიკისა და ინგლისის ჯარებმაც. მართალია, 1944 წლის დეკემბერში არდენის რაიონში გერმანელებმა მოულოდნელი მძლა-

ვრი დარტყმით გაარღვიეს ინგლისელთა და ამერიკელთა თავდაცვის ხღუდეები, მაგრამ მოკავშირეთა თხოვნით, საბჭოთა ჯარებმა 1945 წლის იანვარში ნაადრევად დაიწყეს, როგორც ჩერჩილი აღნიშნავდა, „გიგანტური შეტევა“ და აიძულეს გერმანელები მთელი ყურადღება კვლავ აღმოსავლეთისაკენ გადმოეტანათ. ასეთ პირობებში ინგლისელებმა და ამერიკელებმა შეძლეს დასავლეთის ფრონტზე ჯერ წონასწორობის აღდგენა, შემდეგ კი შეტევის განვითარებაც. ამის შედეგად ბრძოლა უშუალოდ გერმანიის ტერიტორიაზე წარიმართა და შორს აღარ იყო ის დრო, როცა მოკავშირენი მტრის ბუნაგს — ბერლინს შეუტევდნენ.

ომის დასასრულის მოახლოება დღის წესრიგში აყენებდა ომისშემდგომი პრობლემების სწრაფად გადაჭრის ამოცანას. მეორე მსოფლიო ომი იყო გიგანტური მასშტაბის მოვლენა. მან წარმოშვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეროვნული და სხვა ხასიათის მრავალი სადაო საკითხი, რომელთა დროული მოგვარების გარეშე შეუძლებელი იყო კაცობრიობის ნორმალური არსებობა-განვითარება, უპირველესად კი მშვიდობის შენარჩუნება-განმტკიცება. მაინც, სადაო საკითხთა შორის, რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ პასუხს, გამოირჩეოდა ორი: ა) როგორ მოქცეოდნენ გერმანიას დამარცხების შემდეგ და ბ) როგორ მოეწყოთ ომისშემდგომი მსოფლიო. აქედან, პირველი ყველაზე მწვავე პრობლემა იყო. ფაშისტებმა იმდენი უბედურება დაატეხეს ხალხებს, რომ ისინი უაღრესად მტრულად იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნისადმი. ამაზე მიუთითებდა გერმანიისადმი დამოკიდებულების შესახებ ინგლისური გაზეთის „სანდი დისპეტჩის“ ანკეტის მონაცემებიც. გამოკითხულთა 10% მოითხოვდა გერმანიის სახელმწიფოს სრულ ლიკვიდაციას, ხოლო 70% — გერმანელთა აღზრდას უცხოელების მიერ (აქედან, 5%-ის აზრით ეს ფუნქცია უნდა დაკისრებოდა ეკლესიას, 7%-ის სიტყვით — სკოლა კავშირს). ასე რომ მხოლოდ 20% ითვალისწინებდა გერმანი-

ის სახელმწიფოს შენარჩუნებას. ასეთ ვითარებაში, გერმანიის პრობლემის მოგვარება, მართლაც, პირველხარისხოვანი იყო, მითუმეტეს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს ამ ქვეყნის ბედის ასე ხელაღებით გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდათ.

სამი მოკავშირე სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელები ერთსულოვანნი იყვნენ, თეირანის მსგავსად, უმაღლეს დონეზე კონფერენციის მოწვევისა. ამის შესახებ საკითხი პირველად დაისვა 1944 წლის ზაფხულში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ამერიკის მხარის წინადადებით, შეთანხმდნენ კონფერენციის ჩატარებაზე ყირიმში. ამშ პრეზიდენტის მრჩეველისა და პირადი მეგობრის ჰარი ჰოპკინსის სიტყვით 1944-1945 წლების ზამთრის განმავლობაში საბჭოთა მთავარსარდლობას დაგეგმილი ჰქონდა უდიდესი შეტევითი ოპერაციები სსრკ-გერმანიის ფრონტზე. ცხადია, ასეთ პირობებში, თუნდაც მცირე დროით, სტალინი არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა ფრონტის საქმეებს. ამის გამო თავისთავად დამებადა იდეა სსრკ ტერიტორიაზე კონფერენციის ჩატარებისაო. მაგრამ სად? ლევ ტოლსტოის მოთხრობებიდან ვიცნობდი ყირიმს, სადაც იცის რბილი ზამთარი. ასეთი კლიმატი კი აუცილებელი იყო რუზველტისათვის, მითუმეტეს, რომ მისი ჯანმრთელობა უკანასკნელ ხანს, რამდენადმე გაუარესდა. ამიტომ, განაგრძობს ჰ. ჰოპკინსი პრეზიდენტს შევთავაზე ყირიმში გამგზავრება. რუზველტს ეს წინადადება მოეწონა და ვაშინგტონელი საბჭოთა ელჩის გრომიკოს მეშვეობით აცნობეს სტალინს, რომელმაც მაშინვე თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ იგი გააცნეს თვით ამერიკის მთავრობას და ინგლისელებს. ყველამ წინაალმდეგობა გამოთქვა და ყირიმის ნაცვლად მიზანშეწონილად სცნეს შეხვედრის ორგანიზაცია ათენში, რომში, ალექსანდრიაში, აღმოსავლეთ სიცილიაში, კვიპროსზე, მალტაზე, ინგლისშიც კი ან იერუსალიმში. ასეთ პირობებში რუზველტმა ყოყმანი დაიწყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჰ. ჰოპკინსმა თავისი გაიტანა!

სტალინი, სტალინი არასგზით არ თანხმდებოდა სსრ

კავშირის ფარგლებს გარეთ კონფერენციის ჩატარებაზე და იალტის გარდა სხვა წინადადების მოსმენაც არ სურდა.[1] რუზველტი კი კვლავ იშველიებდა აშშ კონსტიტუციის შეზღუდვებს, მაგრამ საბჭოთა პრემიერი მაინც არ დაჰყვა მას. 1944 წლის 21 ივლისის წერილში პრეზიდენტისადმი იგი აღნიშნავდა: „ახლა, როცა საბჭოთა არმია ასე ფართო ფრონტით ჩაება ბრძოლაში, ჩემთვის შეუძლებელია ქვეყნის დატოვება და რამდენიმე ხნითაც კი ფრონტის საქმეების ხელმძღვანელობისაგან ჩამოშორება“. თან იქვე დაუმატა: „ყველა ჩემი კოლეგა ამას სრულიად შეუძლებლად თვლისო“. იმავე წლის 23 ნოემბერს კი სტალინი უჩიოდა სერიოზულ ავადმყოფობას, რის გამოც ექიმები თურმე უკრძალავდნენ „შორეულ სახიფათო მოგზაურობას“. ბოლოს და ბოლოს მოკავშირეები დათანხმდნენ, რაც საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება იყო.

კამათი გამოიწვია კონფერენციის მოწვევის თარიღმაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა რუზველტი. თავის 1944 წლის 19 ივლისის ბარათში მან დაასახელა 10-15 სექტემბერი, მაგრამ რამდენადაც ასეთი აჩქარება ავნებდა უმაღლეს დონეზე შეხვედრის ორგანიზებას, ამიტომ სტალინმა უმჯობესად მიიჩნია ნოემბრის დამლევი. თავის მხრივ ეს თარიღი არც პრეზიდენტმა მოიწონა, კონგრესის მუშაობით დაკავებულობა მოიმიზეზა და მიუთითა 1945 წლის 28-30 იანვარზე, როგორც სამივე ხელმძღვანელისათვის მისაღებ დროზე. საბჭოთა პრემიერმა თანხმობა განაცხადა. კონფერენციის პირო-

---

1 საბჭოთა ხელმძღვანელის ასეთი პოზიციის გამო ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი ალ. ვერტი, რომელიც ომის განმავლობაში კარგა ხანს იმყოფებოდა სსრ კავშირში, წერდა: „სტალინს, ძალზე დაკავებულს ომით, არ სურდა საზღვარგარეთ გასვლა.. ეს არ იყო ტრივიალური ტექნიკური საკითხი. სტალინი ატარებდა ასეთ ხაზს: საბჭოთა კავშირი თავისი მხრებით ეწევა ომის ძირითად ტვირთს და ამიტომ „სხვებმა“ ჩამოვიდნენ მოსკოვში... ჩვენ არ წავალთ დასავლეთის თაყვანისმცემელად ქუდით ხელში, დასავლეთი ჩამოვიდეს ჩვენთან“.

ბითი კოდური სახელწოდება, ჩერჩილის წინადადებით, გახდა „არგონავტი“.[2]

სტუმრების ჩასვლა ყირიმში დაიწყო 1945 წლის 3 თებერვალს. პირველი იყო ინგლისის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის მეთაურობით, რომელმაც მთელი მანძილი თავის საზღვაო ბაზამდე მალტამდე და იქიდან ყირიმამდე (საკის ჰაეროდრომი, სიმფეროპოლი) თვითმფრინავით დაფარა. პრემიერს ახლდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, სამხედრო ტრანსპორტის მინისტრი ლეზერსი, ინგლისის ელჩი სსრ კავშირში ა. კერი, გენერალური შტაბის უფროსი ა. ბრუკი, თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსი ხ. ისმეი, ხმელთაშუა ზღვის აუზში მოკავშირეთა არმიის მთავარსარდალი ალექსანდერი და სხვ. ინგლისელებს მოჰყვა აშშ დელეგაცია პრეზიდენტ ფ. რუზველტის ხელმძღვანელობით, რომელმაც ამერიკიდან მალტამდე იმგზავრა ზღვით, მალტიდან ყირიმამდე კი — თვითმფრინავით. ამერიკელთა დელეგაციაში რუზველტის გარდა იყვნენ: სახელმწიფო მდივანი ე. სტეტინიუსი, პრეზიდენტის შტაბის უფროსი ადმირალი ვ. ლეგი, სპეციალური თანაშემწე ჰ. ჰოპკინსი, სამხედრო მობილიზაციის დირექტორი ჯ. ბირნსი, ამერიკის არმიის შტაბის უფროსი ჯ. მარშალი, სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი ე. კინგი, არმიის მომარაგების უფროსი ბ. სომერველი და სხვ. სტუმრებს თან ჩამოჰყვა საკმაოდ დიდი ამალა (დაცვა, ტექნიკური და მომსახურე პერსონალი), რომელიც მეგობრული ვიზიტით მოსულ მოკავშირეთა გემების პირად შემადგენლობასთან ერთად 3 ათას კაცს აჭარბებდა.

მოკავშირეთა დელეგაციებს სტალინი არ შეხვედრია, თუმცა უკვე 1 თებერვალს იგი ყირიმს იმყოფებოდა (ამის გამო სტუმრები თურმე განაწყენებულან). იალტაში მას ჩაჰყვნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ნ. კუზნეცოვი,

---

2 მოგვიანებით მას უწოდეს „მაგნიტიც“.

წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ა. ანტონოვი, სსრკ ელჩები ინგლისსა და აშშ ფ. გუსევი და ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები.

ასეთი მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის რეზიდენციების გამოძებნა ყირიმში, რომელიც სულ ახლახან განთავისუფლდა ოკუპაციისაგან, ძალზე ძნელი იყო. ომის პროცესში დაინგრა ქალაქები, გზები, შენობები, მოიშალა ელექტროსადგურები, ტელეგრაფი და სხვ. ამასთან, ნაღმებისაგან გაწმენდილი არ იყო ყირიმის ზღვის სანაპირო ზოლი, რაც დიდ ხიფათს უქმნიდა შავ ზღვაში შემოსულ მოკავშირეთა გემებს. ამით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელნი სევასტოპოლში განაწესეს, საიდანაც ფლოტის სარდლობა იალტაში მყოფ თავიანთ ხელმძღვანელობას სპეციალურად გაყვანილი 80 კმ სიგრძის კაბელით უკავშირდებოდა.

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად საბჭოთა მთავრობამ ყველა ღონისძიება განახორციელა მაღალი სტუმრების ღირსეული დახვედრისათვის. ყირიმში გაიგზავნა 1500 ვაგონი მოწყობილობა, ავეჯი, სამშენებლო მასალა. ამის შედეგად კონფერენციის მონაწილეებს, განსაკუთრებით დელეგაციის ხელმძღვანელებს, შეუქმნეს იმ დროისათვის შესაძლებელი კომფორტის მაქსიმუმი. ამ ფაქტს სპეციალურად აღნიშნავდა ჩერჩილიც. 1945 წლის 18 თებერვალს იგი სტალინს წერდა: „მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით მხურვალე მადლობას მოგახსენებთ იმ სტუმართმოყვარეობისა და მეგობრული მიღებისათვის, რაც გაუწიეთ ბრიტანეთის დელეგაციას ყირიმის კონფერენციაზე. ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ორგანიზაციისა და იმპროვიზაციის დიდმა ხელოვნებამ, რომლის წყალობითაც კონფერენცია სასიამოვნო ვითარებაში ჩატარდა. ჩვენ ყველანი ვინახავთ მასზე ბედნიერ მოგონებას“. დასასრულს ჩერჩილი აღნიშნავდა: „ამასთან უნდა დავამატო ჩემი პირადი მადლობა და კმაყოფილება... მე ვლოცულობ თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, რომ კვლავაც წაგემართოთ ბედი ქვეყნისა, რომელმაც თქვე-

ხი ხელმძღვანელობით მთელი თავისი სიდიადე წარმოაჩინა“. ანალოგიური იყო პრეზიდენტ რუზველტის სამადლობელიც გამოთქმული მის წერილში 1945 წლის 13 თებერვალს.

დელეგაციები განლაგდნენ ასე (რეზიდენციების გამოყოფისას გაითვალისწინეს დეტალებიც): ამერიკისა — ლივადიაში. ზღვის ნაპირზე, გორაკზე აღმართული რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ულამაზესი თეთრი სასახლის ქვედა სართულზე ცხოვრობდა რუზველტი ქალიშვილ ანასთან ერთად. რუზველტი პოლიომიელიტით იყო დაავადებული და მოძრაობა არ შეეძლო. ამიტომ საცხოვრებლად გამოუყვეს ის ოთახი, რომლის კარები პირდაპირი კონფერენციის სხდომათა დარბაზში გადიოდა. ასეთი გულისხმიერების გამო რუზველტი თურმე დიდად მადლიერი დარჩა.

ინგლისის დელეგაციას მიუჩინეს კავკასიის მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის შესანიშნავი სასახლე ალუპკაში. ომის დროს იგი ჰიტლერმა თურმე ფელდმარშალ მანშტეინს აჩუქა. რუსეთში ნაძარცვი ქონებით მან კიდევ უფრო გაამშვენიერა შენობა. მართალია, ევაკუაციისას ფაშისტები ყველაფერს ანადგურებდნენ, მაგრამ ყირიმიდან იმდენად სწრაფად გაიქცნენ, რომ სასახლის აფეთქება ვერ მოასწრეს. მაინც ინგლისელებისათვის რეზიდენციად ალუპკის გამოყოფა არ იყო შემთხვევითი. ვორონცოვმა განათლება ინგლისში მიიღო და ინგლისური არქიტექტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო. კიდეც ამიტომ იქაურმა ხუროთმოძღვარმა ედუარდ ბლორმა სასახლე დააპროექტა და ააშენა ინგლისურ ფეოდალურ-რომანტიკულ სტილში აღმოსავლური ხელოვნების ელემენტების დამატებით. ამ შენობაში მოთავსებამ დიდად ასიამოვნა ინგლისელებს. თვით ჩერჩილსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ შორეულ რუსეთშიც კი შშობლიურ ატმოსფეროში იმყოფებოდა (აქ მასთან ცხოვრობდა ქალიშვილი სარა).

საბჭოთა დელეგაცია მოეწყო ყველაზე ჰატარა — იუსუფოვების ყოფილ სასახლეში კორეიზში.

კონფერენცია გაიხსნა 1945 წლის 4 თებერვალს, საღამოს

5 საათზე ლივადიის სასახლის ე. წ. „საბალო ცეკვების“ უზარმაზარ დარბაზში. დელეგაციის წევრები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მოლაპარაკებაში, 15 კაცს არ აღემატებოდა. აქ იყვნენ აგრეთვე მრჩევლები, სამხედრო, საზღვაო და დიპლომატიური ექსპერტები, მაგრამ ისინი სხდომებს არ ესწრებოდნენ და დარბაზში გამოუძახებდნენ მაშინ, როცა ირჩეოდა შესაბამისი საკითხები. ამის მიუხედავად ყოველდღიურად კონფერენციის მუშაობაში საშუალოდ 40-50 კაცი მონაწილეობდა.

უნდა ითქვას, რომ დარბაზში, ისევე როგორც თეირანის კონფერენციაზე, დაშვებული არ იყვნენ კორესპონდენტები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ესწრებოდნენ სამხედრო ფოტოგრაფები. ეს ჩერჩილმა ითხოვა. 1945 წლის 21 იანვარს იგი სტალინს სწერდა: „წინადადებას ვიძლევი, არ დავუშვათ პრესის წარმომადგენლები „არგონავტზე“, მაგრამ თითოეულს გვექნება უფლება ვიყოლიოთ სამი ან ოთხი სამხედრო ფოტოგრაფი — კინოგადაღებისათვის. ფოტოსურათებს და კინოფილმებს გამოვუშვებთ მაშინ, როცა ამას მიზანშეწონილად ჩავთვლით“. საბჭოთა პრემიერი ამაზე დათანხმდა.

კონფერენციის მუშაობის რეგლამენტი ასეთი იყო: სხდომები წარმოებდა ადრე დილიდან გვიან საღამომდე. დღის პირველ ნახევარში იკრიბებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და სამხედრო სპეციალისტები, 4 საათზე ერთმანეთს ხვდებოდნენ სახელმწიფოს მეთაურები წინასწარი მოლაპარაკების შედეგებს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თეირანის მსგავსად იალტის კონფერენციასაც არ ჰქონდა მკაცრად დადგენილი დღის წესრიგი. თითოეული დელეგაცია არ ინარჩუნებდა უფლებას შეხებოდა მისთვის საინტერესო საკითხს.

პირველი სხდომა, სტალინის თხოვნით, გახსნა რუზველტმა. ამ სხდომაზე განიხილეს სამხედრო საკითხები. გერმანია გარდუვალი კრახის წინაშე იდგა, მაგრამ მისი განადგურების დაჩქარებისათვის აუცილებელი იყო მოკავშირეთა შეიარაღე-

ბული ძალების მოქმედების კოორდინაცია. დაწვრილებითი მოხსენება აღმოსავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ პირველად გააკეთა საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ არმიის გენერალმა კ. ანტონოვმა. მან ილაპარაკა საბჭოთა ჯარების 1945 წლის 12-15 იანვრიდან დაწყებულ გრანდიოზულ წინსვლაზე და აღნიშნა ის მძიმე პირობები (უაღრესად არახელსაყრელი ამინდი, ოპერაციის რამდენადმე ნაჩქარევი ხასიათი არდენთან მოკავშირეების გადარჩენის მიზნით), რომელშიც ჩვენი არმია შეტევას ანვითარებდა. ანტონოვმა მიუთითა აღმოსავლეთის ფრონტზე დამატებით გერმანელთა 35-40 დივიზიის გამოჩენის საშიშროებაზე და გამოთქვა სურვილი დასავლეთში მოკავშირეთა ჯარების შეტევაზე გადასვლის შესახებ. ამ მიზნით საბჭოთა დელეგაციამ ინგლის-ამერიკის მხარეს თხოვა: „დაჩქარდეს მოკავშირეთა ჯარების შეტევაზე გადასვლა დასავლეთის ფრონტზე... სასურველია შეტევა დაიწყოს თებერვლის პირველ ნახევარში. კომუნიკაციებზე ავიაციის დარტყმებით ხელი შეეშალოთ მოწინააღმდეგეს, აწარმოოს თავისი ჯარების გადაყვანა აღმოსავლეთში დასავლეთის ფრონტიდან, ნორვეგიიდან და იტალიიდან; კერძოდ მოვახდინოთ ბერლინისა და ლაიფციგის კვანძების პარალიზება. საშუალება არ მივცეთ მოწინააღმდეგეს, გამოიყვანოს თავისი ჯარები იტალიიდან“.

მოკავშირეთა არმიის სახელით გამოვიდა ამერიკელი გენერალი ჯ. მარშალი, რომელმაც დაახასიათა მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ არდენის რაიონში და აღნიშნა ინგლის-ამერიკის არმიების მოსალოდნელი მიმართულებით (რაინის მარცხენა სანაპიროზე) მოქმედების განვითარების შესაძლებლობა.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მოკავშირეებმა დასავლეთის ფრონტზე თებერვლის პირველ ნახევარში (8 თებერვალს სამხრეთში და 15 თებერვალს ჩრდილოეთში) მძლავრი შეტევის დაწყებისა და გერმანიაზე საჰაერო თავდასხმების გაფართოე-

ბის ინანიშნობა განაცხადეს. თავის მხრივ, საბჭოთა მხარემ აღუთქვა ინგლის-ამერიკის დელეგაციებს, რომ გააძლიერებდა დაოტყობებს მტრის პოზიციებზე, რითაც მოკავშირეებს მოქმედებას გაუადვილებდა.

ამრიგად, საომარ მოქმედებათა კოორდინაციის საკითხში სრული ურთიერთგაგება და ერთსულოვნება გამომჟღავნდა. ჩერჩილმა იალტაში ვერ გაბედა თავისი ოველი გეგმის ე. წ. „ბალკანეთის გეგმის“ წამოყენება. მართალია, ყირიმში გამოგზავრების წინ, მალტაზე პრეზიდენტთან შეხვედრისას ჩატარებულ თათბირზე ჩერჩილმა განაცხადა, „თუ რამდენად სასურველია ჩვენს (ინგლისის, აშშ — ა. ს.) მიერ ავსტრიის დიდი ნაწილის ოკუპაცია და რამდენად არასასურველია რუსების მიერ დასავლეთ ევროპის აუცილებელზე მეტი დაპყრობაო“, მაგრამ იალტაში ამაზე უშუალოდ აღარ ულაპარაკია. სხვათა შორის, პირველ სხდომაზე იკითხა, ხომ არ აჯობებდა საბჭოთა არმიის დასახმარებლად მოკავშირეთა ჯარების გადაყვანა ცენტრალურ ევროპაში ლუბლიანის გასასვლელითო (ეს „ბალკანეთის გეგმის“ შენიღბული ვარიანტი იყო), მაგრამ კონფერენციის დანარჩენ მონაწილეს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და შემდეგ საერთოდ არავის გახსენებია. ასე რომ „პირველად ომის ისტორიაში გაკეთდა მნიშვნელოვანი საქმე, თუმცა სამი წლის განმავლობაში სამი სახელმწიფო ერთად იბრძოდა, მაგრამ იალტამდე მათ შორის მაინც არ იყო საკმარისი ურთიერთნდობა, რომ შეკრებილიყვნენ სამხედრო გეგმების კოორდინაციისათვის“. და, მართლაც, დიდი სამეულის ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამი იყო: „ჩვენ განვიხილეთ და განვსაზღვრეთ სამი მოკავშირე სახელმწიფოს სამხედრო გეგმები საერთო მტრის საბოლოო განადგურების მიზნით. სამი მოკავშირე ერის სამხედრო შტაბები მთელი კონფერენციის განმავლობაში თათბირებზე ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს თათბირები უაღრესად დამაკმაყოფილებელი იყო ყველა თვალსაზრისით და კიდევ უფრო განამტკიცეს სამი მოკავშირის სამხედრო ღონისძიებათა კოორდინაცია, ვიდრე ეს იყო ოდესმე წინათ.

მოეწყო ყველაზე სრული ინფორმაციის ურთიერთგაზიარება. სავსებით შეთანხმებული იქნა და დეტალურად დაიგეგმა ვადები, მასშტაბები და კოორდინაცია ახალი და კიდევ უფრო ძლავრი დარტყმებისა, რომელთაც მიაყენებენ გერმანიის გულს ჩვენი არმიები და სამხედრო-საჰაერო ძალები აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან... დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს სამ შტაბს შორის ამ კონფერენციაზე მიღწეული ძალიან მჭიდრო სამუშაო თანამშრომლობა დააჩქარებს ომის დამთავრებას.

სხვათა შორის, საბჭოთა დელეგაციის კონკრეტულმა და უაღრესად საქმიანმა მიდგომამ სამხედრო-სტრატეგიული საკითხებისადმი განსაზღვრა ომის დასკვნით ეტაპზე სამხედრო თანამშრომლობაზე მოლაპარაკების წარმატება. ინგლისელი ფელდმარშალი მონტჰომერი შენიშნავდა: „სტალინი... ფლობდა განსაცვიფრებელ სტრატეგიულ ალღოს და მე არ მახსოვს, რომ მას სტრატეგიულ საკითხებზე ჩვენი მოლაპარაკებისას თუნდაც ერთი მცდარი ნაბიჯი გადაედგას“. ასეთივე იყო ამერიკის მოსკოველი ელჩის ა. ჰარიმანის შთაბეჭდილებაც: კონფერენციაზე სტალინი იყო „უფრო ინფორმირებული ვიდრე რუზველტი. უფრო რეალისტური ვიდრე ჩერჩილი და გარკვეული აზრით უფრო ეფექტური სამხედრო ლიდერებს შორისაც“.

რამდენადაც საომარ მოქმედებათა ერთიანობის საკითხში სრული ურთიერთგაგება გამომჟღავნდა და მიაღწიეს შეთანხმებასაც, იგი ამის შემდეგ აღარ დასმულა დღის წესრიგში. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ კონფერენცია სამხედრო საკითხებით აღარ დაინტერესებულა. პირიქით. მაგრამ რადგანაც აქ რაიმე გაუგებრობა არ იყო, მათ განიხილავდნენ სამხედრო, საზღვაო და საჰაერო უწყებების წარმომადგენლები თავიანთ რეგულარულ სხდომებზე ან პირად შეხვედრაში.

ამასთან დაკავშირებით აქვე უნდა ითქვას ერთი უმნიშვნელოვანესი სამხედრო გადაწყვეტილების შესახებ. ესაა იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის მონაწილეობა. ამაზე

ბოკავშირე სახელმწიფოების მეთაურები საბოლოოდ შეთანხმდნენ კონფერენციის ბოლო დღეს, თუმცა საკითხს უშუალოდ განიხილავდნენ რუზველტი და სტალინი.

ცნობილია, რომ თეირანის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ იკისრა იაპონიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის ვალდებულება, თუმცა გარკვეული მოსაზრების გამო ეს წელილობით არ გაფორმებულა. განვლილ პერიოდში საბჭოთა მთავრობა ამ ჯენტლმენური შეთანხმების ერთგული დარჩა. მართალია, იგი არასდროს არ იზიარებდა მოკავშირეების დამპყრობლურ მისწრაფებებს იაპონიის მიმართ, მაგრამ მის წინააღმდეგ ომი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფისა და 1905 წელს რუსეთის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. ეს კარგად გამოჩენილა იალტის კონფერენციაზე, სადაც საბჭოთა დელეგაცია არ დაეთანხმა აშშ პრეზიდენტს იაპონიისა და მისი აზიური კოლონიებისადმი დამოკიდებულების ყველა ძირითად საკითხში. მაგალითად, იალტაში შეხვედრისას ამერიკის დელეგაციამ მოითხოვა იაპონიის დამარცხების შემდეგ მისთვის სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების ჩამორთმევა. აქედან პირველი სამეურვეო ტერიტორიად გადაიქცეოდა, მეორეზე კი საერთაშორისო კონტროლი დაწესდებოდა. 20-30 წლით საერთაშორისო მეურვეობა დაწესდებოდა აგრეთვე კორეაზე. საბჭოთა დელეგაცია ამ გეგმის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, რუზველტმა უკან დაიხია. იგი იმდენად იყო დაინტერესებული ომში სსრ კავშირის ჩაბმით, რომ უარი თქვა აღნიშნულ წინადადებაზე და საბჭოთა პირობების ძალებას დათანხმდა.

ამრიგად, იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე დიდი სამეულის დადგენილებას საფუძვლად დაედო საბჭოთა წინადადება. შეთანხმების მიხედვით „ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციისა და ევროპაში ომის დამთავრების ორი-სამი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირი ჩაებმება ომში იაპონიის წინააღმდეგ მოკავშირეთა მხარეზე“. ამის სანაცვლოდ „საბჭოთა

კავშირს დაუბრუნდება კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი და ყველა მისი ახლო-მახლო კუნძული... აღდგენილ იქნება პორტარტურის, როგორც სსრ კავშირის საძველრო-საზღვაო ბაზის, იჯარა". მასვე „გადაეცემა კურილის კუნძულებიც". გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებდა მოხლოლეთის სახალხო რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, დაირეხის ინტერნაციონალიზაციას და იქ სსრ კავშირის უპირატესი ინტერესის უზრუნველყოფას, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ მანჯურიის რკინიგზების ჩინეთთან ერთობლივ ექსპლოატაციას და სხვ. საბჭოთა მთავრობა კისრულობდა ვალდებულებას აგრეთვე გაეფორმებინა „ჩინეთის ეროვნულ მთავრობასთან პაქტი სსრ კავშირისა და ჩინეთის მეგობრობისა და კავშირურთიერთობის შესახებ, რათა გაუწიოს მას დახმარება თავისი შეიარაღებული ძალებით იაპონიის უღლისაგან ჩინეთის განთავისუფლების მიზნით".

შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე შეთანხმების საბჭოთა პროექტის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც გახამტკიცებდა სსრ კავშირის პოზიციებს შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზში და უზრუნველჰყოფდა ხანგრძლივ მშვიდობას დედამიწის ამ რეგიონში. მან უდიდესი როლი შეასრულა აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებაშიც, რადგან იაპონელი იმპერიალისტების განადგურებით ხელსაყრელი პირობები შექმნა კოლონიური უღლისაგან მანჯურიის, ჩინეთის, კორეისა და სხვა ქვეყნის ხალხთა განთავისუფლებისათვის. ამით აიხსნება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დღესაც ინგლის-ამერიკის მემარჯვენე პრესის მძაფრი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს.

კონფერენციის მეორე სხდომიდან დიდმა სამეულმა დაიწყო პოლიტიკური საკითხების განხილვა. აქედან ცენტრალური იყო გერმანიის მომავალი.

როგორც ცნობილია, თეირანის კონფერენციაზე ინგლის-ამერიკის დელეგაციებმა წამოაყენეს გერმანიის რამდენიმე

პოლიტიკურ ერთეულად დანაწილების გეგმა. საბჭოთა მხარე ამას არ დეთანხმა. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი, რადგან იგი იბრძოდა ამ ქვეყნის არა დაყოფისათვის, არამედ მბვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის. ასეთი წინააღმდეგობის გამო თეირანში სამი სახელმწიფოს მეთაურს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია. მოსალოდნელი იყო, რომ მოკავშირეები შემდეგში მაინც შეიცვლიდნენ აზრს გერმანიის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე, მაგრამ ასე არ მოხდა. მაგალითად, კვებეკში (კანადა) ინგლისისა და ამერიკის ორმხრივ მეორე კონფერენციაზე (1944 წლის 11-16 სექტემბერი) ჩერჩილმა და რუზველტმა ძირითადში მოიწონეს აშშ ფინანსთა მინისტრის ჰენრი მორგენტაუს გეგმა. რომელიც ითვალისწინებდა ამ ქვეყნის დაყოფას რამდენიმე ნაწილად: ჩრდ. გერმანიად (პრუსია, საქსონია, ტიურინგია) და სამხრეთ გერმანიად (ბავარია, ვიურტემბერგი და სხვ. აქვე საბაჟო კავშირით გაერთიანდებოდა ავსტრია). დასავლეთი გერმანია განაწილდებოდა ორად: საარი და რაინის აუზი მიეცემოდა საფრანგეთს, რური და მიმდგომი ტერიტორიები კი იქნებოდა „საერთაშორისო ორგანოს“ გამგებლობაში. ამასთან, გამარჯვებულებს უნდა მოეხდინათ გერმანიის დეინდუსტრიალიზაცია და გადაექციათ იგი აგრარულ სახელმწიფოდ.

ანალოგიური იყო მოკავშირეების პოზიცია იალტის კონფერენციაზეც. უფრო მეტიც, საკითხის განხილვისას ისინი კატეგორიულად თხოვდნენ საბჭოთა დელეგაციას, მიეღოთ მათი წინადადება, რადგან ახლანდელ პირობებში, რუზველტის სიტყვით, უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა. მართალია, პრეზიდენტი, როგორც თავად ამბობდა კონფერენციაზე ახლა „ვერ ბედავს“ რაიმე „გარკვეული თქვას“ დანაწილებული გერმანიის რაოდენობის შესახებ („6-7 თუ ნაკლებად?“) და ამიტომ მოითხოვდა „საკითხი უნდა შევისწავლოთო“, მაგრამ აშკარად ჩანდა, იგი მორგენტაუს გეგმის მიღებაზე ოცნებობდა. ამ გეგმის პრინციპები კი უაღრესად სასარგებლო იყო ამერი-

კისათვის. იგი აწყობდა ინგლისსაც. ამერიკელი მკვლევარის რ ჰილის სიტყვით, მათ უნდა ესარგებლათ გერმანიის მრეწველობის განვითარების დაბალი დონით და ხელთ ეგდოთ ევროპის ეკონომიკური ცხოვრების სადავეები. სტალინმა შაშინვე გამოიცნო მოკავშირეთა შორს გამიზნული მზაკვრული ხრიკები. წააწყდა რა საბჭოთა მხარის დიდ წინააღმდეგობას, ჩერჩილის წინადადებით, კონფერენციამ შექმნა გერმანიის ომისშემდგომი მოწყობის სპეციალური კომისია (თავმჯდომარე იდენი, წევრები — ვაინანტი და გუსევი). რომელთაც დაევალა ამ საკითხზე ერთობლივი პრაქტიკული ღონისძიების შემუშავება.

სახელმწიფოს მეთაურებმა აქვე განიხილეს და მიიღეს აგრეთვე დადგენილება გერმანიის ოკუპაციისა და მასზე კონტროლის დაწესების შესახებ. გადაწყდა დამარცხებული ფაშისტური გერმანიისაგან მოეთხოვათ მხოლოდ უსიტყვო კაპიტულაცია. ჰიტლერთან ან მის მსგავს ნაცისტთან, თუნდაც ასეთი კაპიტულაციის პირობები მიეღოთ, მოკავშირეები არავითარ შემთხვევაში საქმეს არ იქონიებდნენ. პირიქით, გააგრძელებდნენ ომს ამ ქვეყნის სრული ოკუპაციისათვის. ამასთან, დიდმა სამეულმა გადაწყვიტა, რომ თავიანთი არმიებით დაიკავებდნენ გერმანიის გარკვეულ ნაწილს ანუ ზონას. მართალია, თავდაპირველად ნავარაუდევი იყო სამი ზონის შექმნა, მაგრამ იალტის კონფერენციაზე დაადგინეს იგი გამოეყოთ აგრეთვე საფრანგეთისთვისაც, თუ ეს უკანასკნელი გამოთქვამდა სურვილს გამხდარიყო მოკუპირებელი სახელმწიფო. მართალია, თითოეული ზონის ფარგლები განსაზღვრული იყო ევროპის საკონსულტაციო კომისიის მიერ ჯერ კიდევ 1944 წლის სექტემბერში. მაგრამ საფრანგეთის თანხმობის შემთხვევაში საკუთარი ზონა მას ინგლის-ამერი-

კის ზონების ხარჯზე მიეცემოდა.[3] კონფერენციამ დაამტკიცა აგრეთვე ამავე კომისიის მიერ შემუშავებული ოქმი „დიდი ბერლინის“ მმართველობის შესახებ და დაადგინა ცენტრალური საკონტროლო კომისიის შექმნაც. ამ უკანასკნელში შევიდოდნენ მარკუპირებელი ოთხი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ინგლისი და საფრანგეთი) არმიების სარდლები, რომლებიც განახორციელებდნენ მოქმედების კოორდინაციას და კონტროლს გერმანიაში.

გერმანიის დროებითი ოკუპაციის მიზანი, აცხადებდნენ კომუნიკეში მოკავშირე სახელმწიფოთა მეთაურები, -არის, „მოვსპოთ გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი... განვაიარაღოთ და დავშალოთ გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალები, ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ გერმანიის გენერალური შტაბი—ჩამოვართვათ ან მოვსპოთ გერმანიის სამხედრო მოწყობილობა. გავანადგუროთ ან კონტროლს დავუქვემდებაროთ გერმანიის მთელი მრეწველობა, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო - სამხედრო - წარმოებისათვის...

---

3 გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ (8. II. 1970) დაბეჭდილ ურცელ მოგონებაში ამერიკის დელეგაციის წევრებმა ა. ჰარიმანმა და ჩ. ბოლენმა, დაამახინჯეს რა სსრ კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში, აღნიშნეს თითქოს დიდი სამეული იალტაში შეთანხმდა „გერმანიის დაყოფაზე ოთხ საოკუპაციო ზონადო“. ცხადია, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. საოკუპაციო ზონების შექმნა გერმანიის დაყოფას კი არა, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოკავშირეთა არმიის განლაგების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად. ეს კარგად ჩანს თუნდაც საოკუპაციო ზონების შესახებ ევროპის საკონსულტაციო კომისიის შემუშავებული და ოთხი მთავრობის (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) დამტკიცებული შეთანხმებიდან, აგრეთვე საოკუპაციო არმიისა და საკონტროლო საბჭოს ამოცანებიდან, რაც ითვალისწინებდა დემოკრატიული ცხოვრების მშენებლობას მთელ და ერთიან გერმანიაში. დაბოლოს, კონფერენციაზე არ შეიძლებოდა ამ ქვეყნის დაყოფაზე რაიმე შეთანხმების მიღწევა თუნდაც იმიტომ რომ სსრ კავშირი ამის პრინციპული წინააღმდეგი იყო.

აღვგავოთ პირისაგან მიწისა ნაცისტური პარტია, ნაცისტური კანონები, ორგანიზაციები და დაწესებულებები... ერთობლივად განვახორციელოთ გერმანიის მიმართ ისეთი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მთელი მსოფლიოს მომავალი მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ გერმანელი ხალხის მოსპობას. მხოლოდ მაშინ, როცა ნაციზმი და მილიტარიზმი აღმოიფხვრება, წარმოიშობა გერმანელი ხალხის ღირსეული არსებობის იმედი და გამოინახება მისი ადგილი ერთა თანამეგობრობაში".

სხვათა შორის, საფრანგეთისათვის ზონის გამოყოფა და საკონსულტაციო კომისიაში მიწვევა იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რადგან ნიშნავდა საერთაშორისო საკითხების მოგვარებაში ამ ქვეყნისათვის დიდი სახელმწიფოების თანაბარი უფლების მინიჭებას. რ. შერვუდი ისე სახავს ვითარებას თითქოს საბჭოთა დელეგაცია „თავდაპირველად ჯიუტად არ თანხმდებოდა" საფრანგეთისათვის ზონის მიცემაზე. მისი სიტყვით მხოლოდ ჩერჩილი და იდენი „იბრძოდნენ ვეფხვებივით" და ამის ზეგავლენით სტალინმა შეცვალა პოზიცია, ისიც იმ პირობით, რომ საფრანგეთის ზონის გამოყოფა „არ შეხებოდა რუსულ ზონას". ეს განცხადება სინამდვილის გაყალბებაა, რადგან ფაქტები სწორედ საწინააღმდეგოს მეტყველებენ. საფრანგეთის საკითხში საბჭოთა დელეგაციის პოზიციას იალტის კონფერენციაზე განსაზღვრავდა საბჭოთა მთავრობის ურთიერთობა ამ ქვეყნის ჯერ ეროვნულ კომიტეტთან, შემდეგ კი დროებით მთავრობასთან.

ცნობილია, რომ სამ დიდ სახელმწიფოს შორის საბჭოთა მთავრობამ პირველმა გადაწყვიტა. ეცნო ალჟირში შექმნილი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი. ინგლისი კი ამის წინააღმდეგი წავიდა. სტალინისადმი 1943 წლის 23 ივნისს გამოგზავნილ წერილში ჩერჩილი. მართალია, მიზანშეწონილად ცნიდა საერთოდ „საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოებთან კავშირის დამყარების აუცილებლობას", მაგრამ საბჭოთა

მთავრობის აღნიშნულ ნაბიჯს „მაინც ძალზე ნაადრევი გადაწყვეტილება“ უწოდა. ანალოგიური პოზიცია ჰქონდათ ამერიკელებსაც, რომლებიც არ ცნობდნენ დე-გოლს და ცდილობდნენ მისთვის სხვა პროამერიკული კანდიდატურის დაპირისპირებას: ცნობილია ისიც, რომ საფრანგეთის დროებითი მთავრობის დელეგაცია დე- გოლის მეთაურობით 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოსკოვს იმყოფებოდა. მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ, სხვა საკითხთა შორის, განიხილა ომის დასკვნით ეტაპზე თანამშრომლობა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სწორედ მაშინ სტალინმა უთხრა დე-გოლს: „გენერალმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ინგლისთან და ამერიკასთან გვქონდა უთანხმოება საფრანგეთის ეროვნული კომიტეტისადმი დამოკიდებულების გამო, გვეცნო თუ არა იგი მთავრობად“. დე-გოლმა შენიშნა, რომ ამ თამაშში მოიგო სტალინმა. საბჭოთა ხელმძღვანელი დაეთანხმა მას, მაგრამ დაამატა: „იმისათვის თამაშობენ, რომ მოიგონ, საფრანგეთი კი მეტს მოიგებსო“.

მაშასადამე, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობა, ომის განმავლობაში, აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ეს შეპირობებული იყო არა მარტო ანტიფაშისტური კოალიციის გაფართოების ამოცანებით, არამედ ისტორიის გამოცდილებითაც. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი ტრადიციულად იყო ევროპის უშიშროების საფუძველი და სერიოზული დაბრკოლება გერმანული მილიტარიზმისათვის. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას საფრანგეთის გამო იალტაშიც უნდა გაეგრძელებინა (და გააგრძელა კიდეც) დავა მოკავშირეებთან, რაც ბოლოს და ბოლოს დასრულდა ამ ქვეყნისათვის საში დიდი სახელმწიფოს თანაბარი უფლების ცნობით. მართალია, რუზველტი ამჯობინებდაც თვლიდა, რომ მისთვის ზონის გამოყოფა იყო მარტოოდენ „ფრანგებისადმი კეთილგანწყობის“ გამოხატულება, მაგრამ ზონის მიცემაც და საკონსულტაციო კომისიაში მიწვევაც იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთი ამიერიდან დიდ სახელმწ-

ფოთა რიგში შედიოდა. ეს საბჭოთა დიპლომატიის, საერთოდ, პროგრესის ძალთა მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

9 თებერვალს მეექვსე სხდომაზე კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის საკითხი. იგი პირველად დაისვა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციაზე (1943 წლის ოქტომბერი). შაშინ გადაწყდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გადაცემა იმ ქვეყნიათვის, სადაც იქნა ჩადენილი დანაშაული. კერძოდ, ამ საკითხზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „გერმანელებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ იტალიელი ოფიცრების მასობრივ დახვრეტაში, ანდა ფრანგი, ნიდერლანდელი, ბელგიელი და ხორვეგიელი მძევლების, ანდა კრეტელ გლეხთა დასჯაში, ანდა ისინი, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლონელი ხალხის ხოცვა-ჟლეტაში, ანდა საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის გაჟლეტაში, რომლებიც ახლა იწმინდება მტრისაგან, — უნდა იცოდნენ, რომ ისინი გაგზავნილნი იქნებიან უკან მათი დანაშაულის ადგილზე და გასამართლებულნი იმ ხალხთა მიერ, რომელთა მიმართ ჩაიდინეს დანაშაული. იმათ, ვისაც ჯერ არ შეუღებიათ ხელი უდანაშაულოთა სისხლით, გაითვალისწინოს, ეს რათა არ მოხვდნენ დამნაშავეთა რიცხვში, თორემ სამი მოკავშირე ქვეყანა უთუოდ მოინახავს მათ დედამიწის დასალიერში კი და გადასცემს ბრალმდებლებს, რათა აღსრულდეს მართლმსაჯულება“. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს საკმარისი არ იყო — არსებობენ „დამნაშავენიც, რომელთა დანაშაული დაკავშირებული არ არის გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილთან“. ამასთან, გარკვეული არ იყო სასამართლოს პროცედურის ფორმაც — იურიდიული იქნებოდა თუ პოლიტიკური. ამიტომ დიდმა სამეულმა დაადგინა, საკითხი ვადაეცათ სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის ღრმად შესწავლისა და „სათანადო დროს მოსახსენებლად“.

აღნიშნული პოლიტიკური საკითხების განხილვისას სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის თუ არსებობდა ურთიერთგაგება, საერთოდ გერმანიის ეკონომიკურ პრობლემებზე, კერძოდ რეპარაციებზე მსჯელობამ მათში ნამდვილი უთანხმოება წარმოშვა.

ცნობილია, რომ ფაშისტურმა გერმანიამ სსრ კავშირს კოლოსალური ზიანი მიაყენა, რაც სამხედრო ხარჯებთან ერთად შეადგენდა 2 ტრილიონ 500 მილიარდ მანეთს. მარტო ოკუპირებული რაიონების ზარალი უდრიდა 128 მილიარდ დოლარს. საბჭოთა მთავრობას ჰქონდა მორალური უფლება, მოეთხოვა გერმანიისათვის აღნიშნული თანხის ანაზღაურება (ცხადია, ნაწილობრივ), თუმცა იგი ამ ქვეყნის ეკონომიკური დაკაბალების წინააღმდეგი იყო. ამიტომ სსრ კავშირის მთავრობამ 1943 წელს შექმნა სპეციალური კომისია ი. მაისკის ხელმძღვანელობით, რომელმაც იალტის კონფერენციისათვის შეიმუშავა დასაბუთებული სარეპარაციო პროგრამა. სხდომის მონაწილეებს იგი, სტალინის წინადადებით, გააცნო თვით ი. მაისკიმ. საბჭოთა წინადადების არსი მდგომარეობდა შემდეგში: რეპარაციებს გერმანია გადაიხდიდა არა ფულით, როგორც ეს იყო წარსული მსოფლიო ომის შემდეგ, არამედ ნატურით, გერმანიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეროვნული სიმდიდრის (ფაბრიკები, ქარხნები, გემები, რკინიგზები და სხვ.) ჩამორთმევისა და ომის შემდეგ საქონლის ყოველწლიური მიწოდების საფუძველზე; იგი განიარაღებოდა, აგრეთვე, ეკონომიკურადაც, რისთვისაც ჩამოართმევდნენ მძიმე მრეწველობის 80%-ს, ავიამშენებლობას, სპეციალიზირებულ სამხედრო საწარმოებს და სინთეზური საბობის წარმატებას — 100%-ს. რეპარაციების ვადა დაწესდებოდა 10 წლით, ხოლო ეროვნული სიმდიდრე გერმანიას ჩამოერთმეოდა ომის დამთავრებიდან ორი წლის განმავლობაში. სარეპარაციო ვალდებულებათა ზუსტად შესრულების მიზნით, აგრეთვე ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის დაწესდებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის მკაცრი

კონტროლი გერმანიის ეკონომიკაზე, ამასთან, საბჭოთა დელეგაცია მოითხოვდა რეპარაციების მიღებისას გაეთვალისწინებინათ პირდაპირი მატერიალური დანაკარგის ოდენობაც და მტერზე გამარჯვების საქმეში შეტანილი წვლილის მასშტაბიც. ამის შესაბამისად, გერმანიაზე დაკისრებული 20 მილიარდიანი რეპარაციიდან ნახევარს ე. ი. 10 მილიარდ დოლარს მიიღებდა სსრ კავშირი, ხოლო დანარჩენს მოკავშირეები გაინაწილებდნენ.

როგორ შეხვდნენ კონფერენციის მონაწილენი ამ წინადადებას? ჩერჩილმა მკვეთრად გაილაშქრა საბჭოთა სარეპარაციო კომისიის წინადადების წინააღმდეგ. მისი სიტყვით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ „რეპარაციებმა... იმედის დიდი გაცრუება გამოიწვია“, თანაც „დამარცხებული და დახვრეული გერმანიიდან შეუძლებელია ისეთი რაოდენობით ძვივღოთ ფასეულობანი, რომლებიც აუნაზღაურებდნენ ზარალს თუნდაც მარტო რუსეთს“. ინგლისის პრემიერი არ უარყოფდა, რომ რუსეთის მსხვერპლი მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნისა, მაგრამ მოითხოვა რეპარაციების განაწილებისას ეხელმძღვანელათ პრინციპით — „თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“. იგი ასე „ასაბუთებდა“ თავის მოთხოვნას: „დიდი ბრიტანეთი ძლიერ დაზარალდა ამ ომში. მეტი წილი მისი სახლები დანგრეული ან დაზიანებულია. ინგლისმა გაყიდა მთელი თავისი საზღვარგარეთული ინვესტიციები... იგი იძულებულია შეისყიდოს საზღვარგარეთ მისთვის საჭირო სურსათის ნახევარი. საერთო საქმისათვის ბრძოლაში ინგლისს დიდი თანხები დაედო ვალად. ინგლისის საერთო ვალი შეადგენს 3 მილიარდ გირვანქას. არც ერთი სხვა ქვეყანა გამარჯვებულთა შორის არ აღმოჩნდება ომის ბოლოს ისეთ მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში, როგორც დიდი ბრიტანეთი“. თანაც შემდეგ ამბობდა ჩერჩილი, თუ მოვითხოვთ დიდი რაოდენობით რეპერაციებს, მაშინ 80 მილიონიან გერმანელ ხალხს შიმშილი დაემუქრება, რითაც მოკავშირეებს დამატებითი სიძნელეები შეექმნებათო, რაც შეეხება აშშ

დელეგაციას, მან მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას.[4] რუზველტმა კიდეც განაცხადა: „საჭიროა ცოტაოდენი ვიფიქროთ გერმანიის მომავალზე“, მაგრამ ამ დიდსულოვნების მიუხედავად „შეერთებულ შტატებს სურს დაეხმაროს საბჭოთა. კავშირს, მიიღოს გერმახიისაგან ყოველივე აუცილებელი“. პრეზიდენტმა ისიც თქვა, გერმანელებს შიმშილობას არავინ არ შეუქმნის. მაგრამ „შეერთებულ შტატებს არ სურს გერმანიაში მოსახლეობის ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყოს, ვიდრე სსრ კავშირშიო“.

სხვათა შორის, ჩერჩილის გააფთრებას იწვევდა საბჭოთა სარეპარაციო წინადადებაში გერმანიის გადასახდელი კონკრეტული თანხის 20 მილიარდი დოლარის დასახელება. რუზველტი კი პირიქით, გაოცებულიც დარჩენილა ასეთი მოკრძალებული ციფრის მითითებით. 5 თებერვლის სხდომის დამთავრების შემდეგ მან კულუარებში კიდეც უთხრა ი. მაისკის: თქვენ გამაკვირვეთ თავმდაბლობით. თქვენ ხომ უდიდესი ნგრევა და დანაკარგები გაქვთ. მე მოველოდი, რომ 50 მილიარდ დოლარს მაინც მოითხოვდითო. უნდა ითქვას, სსრ კავშირის ზარალთან შედარებით (რომ არაფერი ვთქვათ ევროპის ოკუპირებული ქვეყნების მატერიალურ დანაკლისზე და ჩვენი მოკავშირეების საომარ ხარჯებზე) რეპარაციის განსაზღვრა 20 მილიარდი დოლარით, მართლაც, უმნიშვნელო თანხა იყო. ამის მიუხედავად ჩერჩილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კონკრეტული ციფრის დასახელებას. მას მიაჩნდა, რომ იგი მეტისმეტად დიდი იყო და გერმანიას ძალზე დაასუსტებდა.

ცხადია, პრემიერის ასეთი თავგამოდება ამ ქვეყნის ინტერესებზე ზრუნვით როდი იყო გამოწვეული. 1944 წლის 27 ივლისს ინგლისის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ ფელდმარშალმა ა. ბრუკმა ჩერჩილთან საუბრის შემდეგ დღიურში ჩაიწერა: „პრემიე-

---

4 ჰ. ჰოპკინსმა საბჭოთა წინადადებას „საქმისადმი ფხიზელი მიდგომა“ უწოდა.

რის აზრით გერმანიას ამიერიდან უნდა მივუდგეთ სხვა კუთხით. გერმანია აღარ წარმოადგენს გაბატონებულ სახელმწიფოს ევროპაში. ასეთი რუსეთია. ამიტომ უნდა წავახალისოთ გერმანია, თანდათან გავაძლიეროთ იგი და შევიყვანოთ დასავლეთ ევროპის ფედერაციაში". ჰალიფაქსის სიტყვით აღნიშნულ ფედერაციაში მილიტარისტული გერმანიის არსებობა ჩერჩილს მიაჩნდა „დასავლეთის ბასტიონად ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში". თვით ჩერჩილი კი ასე აფასებდა ამ ფედერაციას: „ჩემი ფიქრები მიმართული იყო უწინარესად ევროპისაკენ — თანამედროვე ერებისა და ცივილიზაციის აკვნისაკენ. საშინელი კატასტროფა იქნებოდა, რომ რუსულ ბარბაროსობას ჩაეხშო ძველი ევროპული სახელმწიფოების კულტურა და დამოუკიდებლობა". ამიტომ „მივაპყრობ ჩემს ძზერას გაერთიანებული ევროპის შექმნასო". ასე რომ კონკრეტული ციფრის განუსაზღვრელობით ინგლისის პრემიერს რეპარაციის შემცირების იმედი ჰქონდა, რომ ამით შეენარჩუნებია გერმანიის სამხედრო მანქანა და იგი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში გამოეყენებინა.

ჩერჩილის ასეთი პოზიციის გამო კონფერენციის მონაწილეთა შორის მწვავე კამათი გაჩაღდა. მაისკიმ კვლავ ვრცლად დაასაბუთა საბჭოთა წინადადების საფუძვლიანობა, რამდენადაც მაქსიმალურად ითვალისწინებდა პირობებს ომისშემდგომ წლებში გერმანელი ხალხის არსებობისათვის „საშუალო ევროპული ცხოვრების დონის ბაზაზე". მაისკიმ ისიც აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სარეპარაციო პრეტენზიის (10 მილიარდი დოლარი) დაკმაყოფილება ძნელი არ იქნებოდა გერმანიისათვის, რამდენადაც იგი შეადგენს აშშ 1944-1945 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 10%-ს და დიდი ბრიტანეთის მიერ ომისათვის გაწეული 6 თვის ხარჯებს. შემდეგ ილაპარაკა სტალინმაც. მაგრამ სარეპარაციო თანხის კონკრეტული ციფრის სასარგებლოდ რაიმე არგუმენტის მოსმენა ჩერჩილს მაინც არ სურდა. ამის გამო, მაისკის სიტყვით, საბჭოთა პრემიერი განრისხებულა, წამომდგარა და საკმაოდ

მკაცრად უთქვამს ჩერჩილისათვის: თუ ინგლისელებს არ სურთ, რომ საბჭოთა კავშირმა საერთოდ მიიღოს რეპარაციები, მაშინ ეს პირდაპირ თქვით. წამოდგა თურმე ჩერჩილიც, რომელსაც უპასუხია: არაფერი მსგავსი, ჩვენ წინააღმდეგი ვართ მხოლოდ კონკრეტული ციფრის განსაზღვრისო. მან ამჯერადაც მეტისმეტად გაამუქა ნაშიმშილევი გერმანიის მდგომარეობა და დაუმატა: „თუ გსურთ ცხენით სიარული, თივა და შვრია უნდა აკამოო". ამაზე სტალინს შეუნიშნავს: „ეს ცხენი ჩვენ არ უნდა გვერჩოდესო". ჩერჩილმა აღიარა, რომ ასეთი „მეტაფორა უხეიროა" და თქვა: „თუ ცხენის ნაცვლად შესადარებლად მოვიტანთ ავტომობილს, მაინც აღმოჩნდება, რომ მისი გამოყენებისათვის საჭიროა ბენზინი". სტალინმა კვლავ მოუჭრა მოპაექრეს: ეს „ანალოგია არ არის", რადგან „გერმანელები მანქანები კი არა, ადამიანები არიანო".

ამის მიუხედავად ინგლისის დელეგაცია მაინც არ ფიქრობდა დათმობას, მაშინ სტალინმა განაცხადა: მოვითხოვ, შესწორდეს გადასახდევინებელი რეპარაციების ოქმის პროექტი, ე. ი. კონკრეტული ციფრი ამოღებულ იქნასო. ერთი შეხედვით ეს, ნამდვილად, უკან დახევა იყო ჩერჩილის წინაშე, მავრამ საბჭოთა პრემიერმა თურმე მოხერხებული დიპლომატიური სვლა განახორციელა, „განმუხტა" დაძაბული მდგომარეობა და მოლაპარაკება ჩიხიდან ოსტატურად გამოიყვანა. მართლაც, 11 თებერვლის საბოლოო სხდომაზე, როცა დიდი სამეული საუზმის შემდეგ შეიკრიბა, სტალინმა მოითხოვა უკვე „შესწორებული" პროექტის ხელისმოწერა. მან პირველმა დასვა გვარი და დოკუმენტი რუზველტს გადააწოდა.[5] იგი კი ამ საკითხში „ეთანხმებოდა" — თანაც, ფრიად ნასიამოვნები იყო იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის მონაწილეო-

---

5 რეპარაციებზე მსჯელობისას სხდომაზე, ჰ. ჰოპკინს თურმე მიუწერია რუზველტისათვის: „თუ ინგლისელებს სურთ ნუ დაეთანხმებიან" საბჭოთა წინადადებას. ჩვენ კი „არ უნდა ვაწყენინოთ რუსებს", რადგან მათ „ბევრი დათმეს ამ კონფერენციაზე".

ბის გარანტიის მიღებით, რაც ამ სხდომაზე გადაწყდა. ამიტომ ერთგვარი მადლობის ნიშნად უყოყმანოდ მოაწერა ხელი, თუმცა პროექტში გარკვევით იყო მითითებული ციფრი — 20 მილიარდი დოლარი. შეიქმნა უხერხულობა. დოკუმენტის ხელმოწერაზე ჩერჩილის უარი ჩრდილს აყენებდა კონფერენციის წარმატებითი მუშაობის დასრულებით გამოწვეულ სიხარულს. აქედან ინგლისის პრემიერ-მინისტრმა „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა“ და ამ საკითხზე მცირედი შესწორების შემდეგ (კერძოდ, მოითხოვა, დოკუმენტში აღენიშნათ, რომ კონკრეტული სარეპარაციო ციფრი საბჭოთა დელეგაციას ეკუთვნოდა) პროექტზე თავისი გვარიც დასვა.

ამრიგად, დიდი სამეული შეთანხმდა, რომ გერმანია ნატურით აანაზღაურებდა მათი ქვეყნებისათვის მიყენებულ ზარალს. რეპარაციებს უწინარესად მიიღებდა ის სახელმწიფო, რომელმაც ყველაზე მეტად განიცადა ნგრევა და „მოაწყო მტრის დამარცხება“ (ე. ი. თანხა განაწილდებოდა პრინციპით: „თითოეულს დამსახურების მიხედვით“, როგორც ამას სტალინი მოითხოვდა). დაწვრილებითი სარეპარაციო გეგმის შესამუშავებლად იქმნებოდა სამოკავშირეთაშორისო კომისია, რომელიც მოსკოვში იმუშავებდა. კომისიის საქმიანობას საფუძვლად დაედებოდა საბჭოთა წინადადება რეპარაციის საერთო თანხის 20 მილიარდი დოლარით განსაზღვრისა და მისი ნახევრის (50%) სსრ კავშირისათვის გადაცემის შესახებ. ეს საბჭოთა დიპლომატიის მორიგი გამარჯვება იყო.

მაშასადამე, თუ ფაშისტური გერმანიის დამარცხებისა და მასზე კონტროლის დაწესების საკითხში მოკავშირეებს რამდენადმე შესამჩნევი უთანხმოება არ ჰქონდათ, სამაგიეროდ ამ ქვეყნისადმი საერთო პოლიტიკის განსაზღვრასა და მისი მომავლისადმი დამოკიდებულებაში თანდათან მეღავნდებოდა პრინციპულად განსხვავებული შეხედულებანი. სსრ კავშირი დაინტერესებული იყო გერმანიაში ნაციზმისა და მილიტარიზმის მოსპობით, სამხედრო დამნაშავეთა დასჯით, მიყენებული ზარალის სამართლიანი ანაზღაურებით, და, რაც ძირითადია,

ბშვიდობიანმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნით. ინგლის-ამერიკა კი ესწრაფვოდა ამ სახელმწიფოს დაშლას, მისი ეკონომიკისა და სამხედრო მანქანის გამოყენებას მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში.

გერმანიის პრობლემასთან დაკავშირებული აღმოჩნდა, აგრეთვე, ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული ევროპის სახელმწიფოების ბედიც. ამიტომ დიდმა სამეულმა მიიღო „დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ", რომელშიც ჩამოაყალიბეს თავიანთი მთავრობების შეხედულებანი ნაციზმის ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისადმი დამოკიდებულებისა და მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე. კერძოდ, მოკავშირე ქვეყნების მეთაურებმა დათქვეს „ერთმანეთს შეუთანხმონ თავიანთი სამი მთავრობის პოლიტიკა ნაცისტური გერმანიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისა და ევროპის ღერძის ყოფილ სატელიტ სახელმწიფოთა ხალხებისათვის დახმარების გაწევის საქმეში — იმ პირობით, თუ ისინი დემოკრატიულად გადაწყვეტენ მათ საარსებო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს". ამასთან, დეკლარაციის ავტორთა აზრით, „უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ ხალხთა სუვერენული უფლებებისა და თვითმმართველობის აღდგენა, რომელთაც ეს ჩამორთმეული ჰქონდათ". ასეთი ღონისძიებებით კი ევროპაში შეიქმნებოდა „სამართლის პრინციპებზე აგებული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც მიზნად დაისახავს კაცობრიობის მშვიდობას, უშიშროებას, თავისუფლებას და საყოველთაო კეთილდღეობას".

აღნიშნული დეკლარაციის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან არა მარტო განსაზღვრა სამი სახელმწიფოს პოზიცია ფაშისტური გერმანიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისადმი, არამედ გააქარწყლა ნაცისტების პროპაგანდაც ევროპაში ანტიჰიტლერული კოალაციის მონაწილე სახელმწიფოების, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის, მომავალი გაბატონების შესახებ.

აქვე დიდმა სამეულმა გადაწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის საკითხი. მართალია, ამაზე ჯერ კიდევ თეირანში ჰქონდათ საუბარი, მაგრამ მაშინ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფერენციის მონაწილეებმა დაიწუნეს ამერიკელთა პროექტი. მხოლოდ მოგვიანებით დუმბარტონ-ოქსის კონფერენციამ, რომლის მუშაობაში (1944 წლის 21 აგვისტო-ოქტომბერი) მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ინგლისის და აშშ დელეგაციები, საბჭოთა პროექტის საფუძველზე შეიმუშავა „საყოველთაო უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის წინადადებანი", რაც ზოგიერთი შესწორებისა და დამატების შემდეგ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ამის მიუხედავად, ამ ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დუმბარტონ-ოქსში არ გადაწყვეტილა და მასზე დიდ სამეულს ახლა, იალტაში უნდა გაეცა პასუხი.

კონფერენციაზე დიდი დავა გამოიწვია უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა კენჭისყრის პროცედურამ. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა პრემიერმა, რომელმაც ილაპარაკა უშიშროების საბჭოში კენჭისყრაზე და მის მნიშვნელობაზე. კერძოდ, დაახასიათა საბჭოთა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა თითო ხმას საბჭოს თითოეული წევრისათვის და საბჭოს გადაწყვეტილების მიღებას ხმის უმრავლესობით, მათ შორის მუდმივი წევრების ხმების ჩათვლით (ამასთან იგულისხმებოდა, რომ საბჭოს მუდმივ წევრს აუცილებლად ექნებოდა „ვეტოს უფლება"[6]). შემდეგ საბჭოთა

---

6 საერთოდ, ვეტოს უფლებას საბჭოთა დელეგაცია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. საბჭოთა კავშირთან რაიმე უთანხმობის შემთხვევაში, ინგლის-ამერიკის მხარეს, ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყნების ხმების საფუძველზე, შეეძლო უშიშროების საბჭოში უმრავლესობის მოპოვება და ნებისმიერი სახელმწიფოს საწინააღმდეგო ღონისძიებების მიღება. ვეტოს უფლება კი ამას გამორიცხავდა.

პრემიერმა ვააკრიტიკა ჩერჩილი, რომელიც იხრებოდა აღნიშნული საბჭოს თავისუფალი, სადისკუსიო ორგანოდ გადაქცევისაკენ. ინგლისის პრემიერს ესახებოდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ომის შემდეგ, სხვა ერებზე სამი სახელმწიფოს გაბატონების იარაღი იქნებოდა. სტალინმა აქვე მოაგონა მოკავშირეებს ჯერ კიდევ დუმბარტონ-ოქსში დასმული და გადაუწყვეტელი წინადადება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრებად საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის შესახებ. მართალია, მაშინ საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დაშვება კონფერენციაზე, მაგრამ შემდეგ ამერიკის მხარის თხოვნით დათმო და მხოლოდ სამი (უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა) ან ორი რესპუბლიკით შემოიფარგლა.

კამათის შედეგად გამომჟღავნდა საბჭოთა და ამერიკის წინადადებათა დაახლოება უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურის საკითხში. მართალია, ამ ორი ქვეყნის დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი საერთოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (პირველი მისი საშუალებით იბრძოდა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისათვის, მეორე კი — მსოფლიოში გაბატონებისათვის), მაგრამ ერთ-ერთ ძირითად საკითხში — კენჭისყრის პროცედურაში ორი მოკავშირე სახელმწიფოს თანხმობა იყო მნიშვნელოვანი მოვლენა: ამ ფაქტს რუზველტმა „დიდი პროგრესი" უწოდა. ჩერჩილმა კი, როცა აღნიშნულ წინადადებას არსებითი ვერაფერი დაუპირისპირა, მისი მიღების სურვილი გამოთქვა, თუმცა აღნიშნა „ზედმეტად არ უნდა ავჩქარდეთ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესწავლის დროს". ასე რომ აღნიშნულ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საბჭოთა და ამერიკის მთავრობათა წინადადებანი. რაც შეეხება კონფერენციის დამფუძნებელ წევრებად ორი ან სამი საბჭოთა რესპუბლიკის ცნობას, მოკავშირეებმა დადებითი პოზიცია დაიკავეს და საბოლოო ღონისძიების შე-

მუშავებისათვის საკითხი გადასცეს საგარეო საქმეთა მინისტრებს.

დიდი სამეული ადვილად შეთანხმდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია მოეწვიათ 1945 წლის 25 აპრილს სან-ფრანცისკოში, მაგრამ კამათი გამოიწვია მასზე სახელმწიფოების დაშვების საკითხმა. საბჭოთა დელეგაცია ითხოვდა კონფერენციაზე მიეწვიათ გერმანიის წინააღმდეგ მეომარი ან-მასთან ომის მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო. „ფაშისტური ანდა ფაშისტური ტიპის სახელმწიფოები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ამ ორგანიზაციის წევრები“. დაახლოებით ამ აზრის იყო ინგლისის დელეგაციაც. ამერიკის პრეზიდენტმა კი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ანგარიშს უწევდა აშშ გაბატონებული წრეების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპანსიას ლათინურ ამერიკაში, მოითხოვა კონფერენციაზე სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების დაშვებაც. ამით მას სურდა ერთგვარი რეაბილიტაცია არგენტინისა, რომელიც ომის დროს გერმანიას ემხრობოდა. ეს კარგად იგრძნობოდა ადრეც, კერძოდ დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზეც, სადაც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა სტეტინიუსმა აშკარად გაილაშქრა თვით ცნების („ფაშისტური სახელმწიფო“) შემოღების წინააღმდეგ. ჩვენო, ამბობდა იგი, ვერ შევძლებთ განვსაზღვროთ ესა თუ ის სახელმწიფო ფაშისტურია თუ არა, მითუმეტეს რომ საშუალო ამერიკელი არ ცნობს სახელმწიფოს სხვა ტიპს, გარდა ამერიკულისაო. ასეთმა ტენდენციამ თავი იჩინა იალტაშიც, მაგრამ აზრთა გაზიარების შემდეგ სტალინი დაეთანხმა რუზველტს კონფერენციაზე ლათინური ამერიკის ქვეყნების მიწვევაში იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელნი, 1 მარტისათვის მაინც, ომს გამოუცხადებდნენ ჰიტლერის მთავრობას. ასეც შეთანხმდნენ. ამის სანაცვლოდ კი საბჭოთა დელეგაციამ მოკავშირეებისაგან მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრებად უკრაინისა და ბელორუსიის ცნობის გარანტია. კომუნიკეში ფორმულირებული

იყო: „როცა მოეწყობა კონფერენცია მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ. შეეთებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები მხარს დაუჭერენ წინადადებას იმის შესახებ, რომ პირვანდელ წევრებად დაშვებულ იქნეს ორი საბჭოთა რესპუბლიკა, სახელდობრ უკრაინა და ბელორუსია“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ მსჯელობისას გამომჟღავნდა სერიოზული დაპირისპირებულობა ინგლის-ამერიკის დელეგაციებს შორის. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მან ტერიტორიული მეურვეობის საკითხის განხილვისას, რომელიც ამერიკის დელეგაციამ წამოიწყო. ჩერჩილი ამის სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, რადგან ამაში ბრიტანეთის კოლონიური სამფლობელოების ხელყოფის ცდას ხედავდა. ძლიერ აღელვებულს კიდეც განუცხადებია: „დიდი ბრიტანეთი ამდენი წლის განმავლობაში აწარმოებს მძიმე ბრძოლას ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობისა და ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბრძოლა სრული წარმატებით დამთავრდება, და სანამ ბრიტანეთის ალამი ფრიალებს ბრიტანეთის სამეფოს ტერიტორიაზე, ვერ შეეურიგდები, რომ ბრიტანეთის მიწა-წყლის რომელიმე ნაჭერი მოხვდეს აუქციონზე 40 სახელმწიფოს მონაწილეობით. ბრიტანეთის იმპერიას ვერასოდეს ვერ დასვამენ საბრალდებულო სკამზე საერთაშორისო სასამართლოში არასრულწლოვანი ერებისადმი „მეურვეობის“ საკითხის გამო“. რა თქმა უნდა, ამერიკის დელეგაციამ იჩქარა ინგლისის პრემიერის დაშშვიდება მტრისათვის წართმეულ ტერიტორიაზეა ლაპარაკი, მაგრამ ცხადი იყო მას სინამდვილის შენიღბვა სურდა. ამას კარგად ჭვრეტდა ჩერჩილიც, რომელიც დაჟინებით გაიძახოდა სანამ ცოცხალი ვარ არ დავუშვებ ბრიტანეთის სუვერენიტეტის გადაცემას სხვებისათვის და მოითხოვა გადაწყვეტილების ტექსტში სპეციალურად აღენიშნათ: „მეურვეობის საკითხის განხილვა არავითარ შემთხვევაში არ ეხება ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიასო“. ბოლოს გადაწყდა: „ტერიტორიული მეურვე-

ობის პრინციპი გამოეყენებიათ მხოლოდ: ა) ერთა ლიგის არსებული მანდატებისადმი; ბ) ტერიტორიებისადმი, რომლებიც ჩამოერთვათ მტრულ სახელმწიფოებს ახლანდელი ომის შედეგად: გ) ყოველი სხვა ტერიტორიისადმი, რომელიც შეიძლება ნებაყოფლობით იქნეს აყვანილი მეურვეობაში".

კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ე. წ. „პოლონეთის პრობლემა". დიდი დავა გამოიწვია ამ ქვეყნის საზღვრების, მომავალი მთავრობის შემადგენლობისა და მისდამი დამოკიდებულების საკითხებმა.

საბჭოთა მთავრობა, როგორც ცნობილია, იბრძოდა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული პოლონეთის შექმნისათვის, მაგრამ მისი აღორძინება უნდა მომხდარიყო არა საბჭოთა ტერიტორიების (დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსიისა და ლიტვის) ხარჯზე, არამედ ფაშისტური გერმანიის მიერ მისთვის წართმეული მიწების დაბრუნების საფუძველზე. ეს პოზიცია ნათლად იყო ჩამოყალიბებული 1941 წლის 30 ივლისს, როდესაც გაფორმდა ერთობლივი თანამშრომლობის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას შორის, აგრეთვე 1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე. სხვათა შორის, თეირანში პოლონეთის საზღვრებმა და ამ ქვეყნის ემიგრანტული მთავრობისადმი დამოკიდებულებამ დიდი კამათი გამოიწვია. რამდენადაც ეს უკანასკნელი ფარულად თუ აშკარად დადგა ფაშისტური გერმანიის მხარეზე და მტრული პოზიცია დაიკავა პოლონეთში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების მიმართ. საბჭოთა მთავრობამ გაწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა, დაუახლოვდა „ეროვნულ კომიტეტს" და იგი პოლონეთის დროებით მთავრობად სცნო. ამან დიდი რეაქცია გამოიწვია ჩვენს მოკავშირეებში, და მართლაც, ჩერჩილის წინააღმდეგობის გამო თეირანის კონფერენციამ ამ საკითხზე რაიმე კონკრეტული წინადადება ვერ მიიღო. ინგლისის პრემიერი განსაკუთრებულ შეუპოვრობას ამჟღავნებდა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვ-

რების შესახებ საბჭოთა გეგმის მიმართ. სსრ კავშირის მთავრობა მაინც არ კარგავდა პოლონეთის საკითხის მოგვარების იმედს და განაგრძობდა ყველა მხარისათვის მისაღები წინადადების გამოძებნას. სწორედ ამიტომ იალტის კონფერენციამდე კარგა ხნით ადრე განაცხადა, რომ პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრად შეიძლება მიგვეჩნია ე. წ. „კერზონის ხაზი“, რომელიც იცნო მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ ჯერ კიდევ 1919.წელსო. კიდევ მეტი, 1944 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში შეხვედრისას, სტალინმა პირდაპირ უთხრა ჩერჩილს, რომ „კერზონის ხაზი“ შეიძლება მიგვეჩნია მომავალი საზღვრის მხოლოდ საფუძვლად, რადგან საბჭოთა მთავრობას გაბზარახული აქვს ზოგიერთ რაიონში გადაუხვიოს ამ ხაზს რუსეთის ხარჯზე პოლონეთის სასარგებლოდ. სხვათა შორის, ინგლისის პარლამენტში წარმოთქმული სიტყვაში ჩერჩილმა ამ წინადადებას უწოდა „საოცრად გონივრული“.

ასეთი დათმობების მიუხედავად იალტის კონფერენციაზე ინგლისის დელეგაცია წინ აღუდგა საბჭოთა გეგმის საფუძველზე „პოლონეთის პრობლემის“ მოგვარებას. ჩერჩილი ამბობდა, რომ ომში პოლონეთის დაცვის გამო ჩავებით, ამ ქვეყნის საკითხი „დიდი ბრიტანეთის ღირსების საქმეა“ და ვერ დავუშვებთ ისეთი პოლონეთის შექმნას, სადაც თვით პოლონელები ბატონ-პატრონნი არ იქნებიანო. აქვე მან საეჭვოდ მიიჩნია გერმანიის მიერ წართმეული დასავლეთის ტერიტორიების გადაცემა პოლონეთისათვის, რამდენადაც ისინი დასახლებულია გერმანელებით და იქედან მათი აყრა-გასახლება შეუძლებელიაო. თავად ამბობდა: „საეჭვოა მიზანშეწონილი იყოს, რომ პოლონური ბატი იმდენად იყოს გამოტენილი გერმანული სახოვაგით, რომ გარდაიცვალოს კუჭის მოუნელებლობითო“. როგორც ჩანს, ამის ნაცვლად სიმძიმის ცენტრი კვლავ უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის ისტორიულ მიწა-წყალზე გადაჰქონდა.

საბჭოთა დელეგაციამ გაილაშქრა ჩერჩილის არგუმენტების წინააღმდეგ და მიუთითა „პოლონეთის პრობლემის“ მოგ-

ვარებით საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე. სტალინმა პირდაპირ აღნიშნა, რომ პოლონეთი ჩვენთვის „მარტო ღირსების საკითხი კი არა, უშიშროების საკითხიცაა“. პოლონეთი უშუალოდ ესაზღვრება სსრ კავშირს. ისტორიის მანძილზე კი იგი იყო კორიდორი, რომლითაც მტერი რუსეთს ესხმოდა. მარტო უკანასკნელი 30 წლის მანძილზე გერმანელებმა პოლონეთიდან ორჯერ განახორციელეს აგრესია ჩვენს ქვეყანაზე. მაშასადამე, „პოლონეთის საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია საბჭოთა ხელისუფლებისათვის“. შემდეგ საბჭოთა პრემიერმა გააკრიტიკა ჩერჩილი ცდისათვის, იალტის კონფერენციაზევე შეექმნათ პოლონეთის ახალი მთავრობა. მან თქვა: „ბევრნი... სტალინს დიქტატორს უწოდებენ, არ მიაჩნიათ იგი დემოკრატად, მაგრამ... საკმაოდ აქვს დემოკრატიული გრძნობა იმისათვის, რომ არ შეეცადოს პოლონეთის მთავრობის შექმნას პოლონელების გარეშე“. ამის ნაცვლად საბჭოთა ხელმძღვანელმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია პოლონეთის დროებითი მთავრობის შევსება „ზოგიერთი დემოკრატიული მოღვაწით პოლონელ ემიგრანტთა წრეებიდან“, აგრეთვე მოკლე ვადაში საყოველთაო არჩევნების ორგანიზება „პოლონეთის სახელმწიფო მართვის მუდმივი ორგანოების შესაქმნელად“. რაც შეეხება ამ ქვეყნის საზღვრებს, საბჭოთა დელეგაციამ კვლავ დაბეჯითებით მოითხოვა, აღმოსავლეთში შიგვეჩნია „კერზონის ხაზი“, „მისგან გადახრით ზოგიერთ რაიონში 5-6 კილომეტრზე პოლონეთის სასარგებლოდ“, ხოლო დასავლეთში — „მდინარე ნოისე (დასავლეთის). მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლებოდა მძლავრი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნა.

როგორი იყო აშშ დელეგაციის პოზიცია? საზღვრების საკითხში რუზველტი ძირითადში ეთანხმებოდა საბჭოთა წინადადებას. იგი მოითხოვდა პოლონეთისათვის მიეცათ „კომპენსაცია გერმანიის, სახელდობრ აღმოსავლეთ პრუსის ხარჯზე კენიგსბერგისა და ზემო სილეზიის სამხრეთით ოდერამდე“, ოღონ დასავლეთ ნოისეზე საზღვრის გადატანა „ნაკლებ გა-

მართლებულად“ მიაჩნდა. რაც შეეხება მომავალი მთავრობის შემადგენლობას, პრეზიდენტი თავდაპირველად ლონდონის ემიგრანტული მთავრობის სასარგებლოდ იხრებოდა, მაგრამ შემდეგ რამდენადმე შეცვალა თავისი აზრი და საბჭოთა წინადადებას დაუახლოვდა. მან მოითხოვა პრეზიდენტის „საბჭოს შექმნა. რუზველტის სიტყვით იგი ჩამოაყალიბებდა მთავრობას „იმ ადამიანებისაგან, რომლებიც არიან ვარშავის მთავრობაში, პოლონეთში და საზღვარგარეთ მცხოვრები დემოკრატიული ელემენტებისაგან“. ეს იქნებოდა დროებითი მთავრობა, რომელიც თავის მხრივ მოაწყობდა არჩევნებს პოლონეთის მუდმივი მთავრობის შექმნისათვის.

საბჭოთა და ამერიკის წინადადებების დაახლოებამ გარკვეული გავლენა მოახდინა ჩერჩილის პოზიციაზე, მართალია, იგი გამოთქვამდა შიშს, რომ ოპოზიციური პრესა გააკრიტიკებდა მას პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხში დათმობისა და ამ ქვეყნის მთავრობის შემადგენლობისა და ხასიათის განსაზღვრის საქმეში კაპიტულაციისათვის, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის ლოგიკური არგუმენტაციისა და აგრეთვე ამერიკა-სსრ კავშირის შეხედულებათა ერთიანობის ზეგავლენით იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. საბოლოოდ გადაწყდა „ამჟამად პოლონეთში მოქმედი დროებითი მთავრობა უნდა გარდაიქმნას უფრო ფართო დემოკრატიულ ბაზაზე ისე რომ მასში შეყვანილ იქნენ დემოკრატიული მოღვაწენი თვით პოლონეთიდან და საზღვარგარეთელი პოლონელები. ამ ახალ მთავრობას უნდა ეწოდოს პოლონეთის ეროვნული ერთიანობის დროებითი მთავრობა“. და შემდეგ: „პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი უნდა გადიოდეს კერზონის ხაზის გაყოლებით, ისე რომ ზოგიერთ რაიონში უხვევდეს მას ხუთიდან რვა კილომეტრამდე პოლონეთის სასარგებლოდ. საქმე მთავრობის მეთაურები აღიარებენ, რომ პოლონეთს ჩრდილოეთით და დასავლეთით“.

მაშასადამე, პოლონეთის საზღვრებისა და მთავრობის შე-

მადგენლობის საკითხები, თითქმის მთლიანად, საბჭოთა წინადადების საფუძველზე გადაწყდა. ეს კიდეც შეეფერებოდა ამ ორი ქვეყნის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, რამდენადაც უზრუნველყოფდა მშვიდობას და უშიშროებას — ევროპაში, თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას — პოლონეთში. ეს ფაქტი საბჭოთა დიპლომატიის კიდევ ერთი გამარჯვება იყო.

კონფერენციაზე განიხილეს აგრეთვე იუგოსლავიის საკითხიც. აქ მოკავშირეებს რამდენადმე პრინციპული უთანხმოება არ ჰქონდათ. საქმე კი შემდგომში იყო: 1944 წლის ნოემბერში გაფორმდა შეთანხმება იუგოსლავიის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს მარშალ ი. ტიტოსა და ემიგრანტული მთავრობის მეთაურს ი. შუბაშიჩს შორის. იგი ითვალისწინებდა ქვეყნის პროგრესული ძალების ერთობლივ თანამშრომლობას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეთანხმება მოითხოვდა აგრეთვე ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოების შექმნას. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ანტიფაშისტური მოძრაობის გაფართოების საქმეში. ამ ფაქტს სამართლიანად მიეცალმა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურიც, მაგრამ რეაქციონერები იუგოსლავიის ყოფილი მეფის პეტრეს ხელმძღვანელობით წინ აღუდგნენ ანტიფაშისტურ ძალთა კოხსოლიდაციას. ამის გამო დიდმა სამეულმა, ნათქვამია კომუნიკეში, ურჩია ტიტო-შუბაშიჩს „დაუყოვნებლივ შეიყვანონ ძალაში მათ შორის დადებული შეთანხმება და შექმნან დროებითი გაერთიანებული მთავრობა". ამასთან, სსრ კავშირის, ინგლისის და აშშ მთავრობებმა, ურჩიეს ახალ მთავრობას, როგორც კი შეიქმნება, განაცხადოს: „1. რომ იუგოსლავიის ეროვნული განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩე გაფართოვდება იუგოსლავიის უკანასკნელი (რომამდელი — ა. ს.) სკუპშჩინის წევრთა შეყვანის გზით, რომლებსაც სახელი არ გაუტეხავთ მტერთან თანამშრომლობით, და, ამრიგად,

შეიქმნება ორგანო, რომელსაც დროებითი პარლამენტი ეწოდება. 2. რომ ეროვნული განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები შემდგომ უნდა დაამტკიცოს დამფუძნებელმა კრებამ".

იუგოსლავიის შესახებ მსჯელობით არსებითად ამოიწურა განსახილველი საკითხები. ამიტომ მოკავშირეები შეთანხმდნენ მიეღოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ერთიანობა მშვიდობის ორგანიზაციაში, ისევე როგორც ომის წარმოებაში". მასში ხაზგასმული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნებაზე ომისშემდგომ პერიოდში „მხოლოდ იმ პირობით თუ ჩვენს სამ სახელმწიფოს შორის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს შორის კვლავაც გაგრძელდება და გაიზრდება თანამშრომლობა და ურთიერთგაგება, შეიძლება განხორციელდეს კაცობრიობის უმაღლესი მისწრაფება — მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, რომელმაც... უნდა უზრუნველყოს ისეთი მდგომარეობა, როცა ყველა ადამიანს ყველა ქვეყანაში შეეძლება ისე გაატაროს მთელი თავისი ცხოვრება, რომ არ იცოდეს, თუ რა არის შიში და გაჭირვება".

11 თებერვალს კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. უკანასკნელი მერვე სხდომა თითქმის ოფიციალური დოკუმენტების განხილვას და ხელმოწერას მიეძღვნა. იმავე დღეს სტუმრებმა დატოვეს იალტა და ლივადიის უზარმაზარ სასახლეში სიჩუმემ დაისადგურა.

კონფერენციის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომის დასკვნით ეტაპზე მოკავშირე სახელმწიფოების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, რაც ასე აუცილებელი იყო ფაშისტური ბლოკის ქვეყნების, უწინარესად კი ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის. კონფერენციამ მოაგვარა, აგრეთვე, მრავალი ორგანიზაციული საკითხი, ურომლისოდაც შეუძლებელი ჩანდა ომის შემდეგ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება

მსოფლიოში. მანვე პრაქტიკულად დაადასტურა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის შესაძლებლობა ომის დროს და დასახა კონკრეტული პირობები ასეთივე თანამშრომლობისათვის ომისშემდგომ პერიოდშიც. კიდეც ამიტომ ამერიკელმა ისტორიკოსმა უილიამ შირერმა მას „კაცობრიობის ისტორიის ეტაპი“ უწოდა.

სხვათა შორის, კონფერენციაზე გამომჟღავნდა საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის მთავრობისა და მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა, რის გამოც საბჭოთა დელეგაციამ იალტაში მოკავშირეები მრავალ სადაო საკითხზე დაითანხმა. ამიტომ ამ ქვეყნების რეაქციული პრესა უარყოფითად შეხვდა კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის მიმართ „მკაცრი კურსის“ აყვავების პერიოდში, კრიტიკოსები იალტას უწოდებდნენ „მეორე მიუნხენს“, სადაც ინგლისმა და ამერიკამ თითქოს „კაპიტულაცია მოახდინეს სტალინის წინაშე“. და ამაში ადანაშაულებდნენ ისევ და ისევ რუზველტს, რომელიც გადაღლილობისა და აკადმყოფობის გამო თურმე ჩქარობდა კონფერენციის დამთავრებას. კ. კროკერი წერს, რომ „რუსებით მოხიბლული რუზველტი წარმოადგენდა სანახაობას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საცოდავი. იგი თანდათანობით დნებოდა ჩვენს თვალწინ და მიდიოდა ცხოვრებიდან... მას ატყუებდნენ ყოველ ძოხეოხებულ შემთხვევაში, რადგან შეეძლო მხოლოდ წარმოეთქვა უაზრო შტამპები და დაერიგებინა ცარიელი კომპლიმენტები დიქტატორის (სტალინის — ა. ს.) მისამართით“. ამიტომ რუზველტისათვის „იალტა იყო მორალური განადგურება, რომელიც შეიცავდა წარმოუდგენელ უბედურებას მსოფლიოსათვის“. კიდევ მეტი, ინგლისელი მკვლევარის უ. მაკნეილის სიტყვით „იალტა დასავლეთის სახელმწიფოები-

სათვის და კერძოდ რუზველტისათვის იყო თავისებური ვატ-ერლოო".[7]

მართალია, იალტის კონფერენციის ზოგ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საბჭოთა დელეგაციის წინადადებები თუ სურვილები, მაგრამ ანტიჰიტლერული კოალიციის შენარჩუნებისა და შემდგომი განმტკიცების მიზნით თავადაც ბევრ საკითხში დაეთანხმა ინგლის-ამერიკის მხარეს. აშშ მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ე. სტეტინიუსმა წიგნში — „რუზველტი და რუსები" — ჩამოთვალა მოკავშირეთა ის 9 მნიშვნელოვანი წინადადება, რომლებიც იალტის კონფერენციაზე მიიღო საბჭოთა დელეგაციამ. მაგალითად, ეს უკანასკნელი დათანხმდა აშშ დელეგაციის მოთხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ლათინური ამერიკის ქვეყნების მიწვევაზე; ამერიკელთა თხოვნითვე უარი თქვა ამ ორგანიზაციაში 16 საბჭოთა რესპუბლიკის დაშვებაზე და 2 რესპუბლიკით დაკმაყოფილდა; მანვე დასტური მისცა ინგლისელებს გერმანიაში საფრანგეთისათვის ზონის გამოყოფაზე და ა. შ.

ცხადია, ასეთი ურთიერთდათმობები ნაკარნახევი იყო ფაშისტური ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ამოცანებით. ჩერჩილიც კი, რომელიც ომის შემდეგ იალტის გადაწყვეტილებათა რევიზიით გამოვიდა, იძულებული გახდა ეღიარებინა: „გერმანელების განადგურების შემდეგ ადვილია იმათი დაგმობა, ვინც მოითხოვდა რუსეთის სამხედრო ღონისძიებებისათვის აუცილებელ მხარდაჭერას და ჰარმონიულ კონტაქტს ჩვენს დიდ მოკავშირესთან. რა მოხ-

7. დ. ფლემინგი წერს: „დიდი მითები წარმოიშობა ყველა მსოფლიო ომის შემდეგ იმისათვის, რომ აუხსნან ხალხებს რატომ დამარცხდნენ ან მათი გამარჯვება რატომ არ იყო ისე შთამბეჭდავი, როგორც ელოდნენ". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი იყო „ამერიკელთა მითი იალტის კონფერენციის შესახებ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მომაკვდავმა და მოტყუებულმა რუზველტმა სტალინს მისცა აღმოსავლეთი ევროპა და ჩინეთი".

დებოდა, რომ წავჩხუბებულიყავით რუსეთთან მაშინ, როცა გერმანიას ჯერ კიდევ ჰყავდა ბრძოლის ველზე ორი-სამი ასეული დივიზია? ჩვენი გულზვიადობა უდაოდ დაისჯებოდა". მაშასადამე, მოკავშირეთა მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, მისი სიტყვით, „იყო ერთადერთი შესაძლებელი მოქმედება ომის დროს". ანალოგიური იყო ამერიკელ ოფიციალურ პირთა შეფასებაც. ეხებოდა რა იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობას ჰ. ჰოპკინსი აღნიშნავდა: „სულის სიღრმეში ჩვენ ნამდვილად გვწამდა, რომ ეს იყო ის წინა დღე, რომელზეც ვოცნებობდით და ვლაპარაკობდით მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენ აბსოლუტურად ვიყავით დარწმუნებული, რომ მოვიპოვეთ პირველი დიდი გამარჯვება მშვიდობის გზაზე და სიტყვაში „ჩვენ" ვგულისხმობდით ყველას ჩვენ, ყველა ცივილიზებულ კაცობრიობას. რუსეთმა გვიჩვენეს, რომ მოქმედებენ გონივრულად და შორსმჭვრეტელურად და არც პრეზიდენტს, არც ვინმე ჩვენგანს არ დარჩენია არავითარი ეჭვი მასში, რომ შეგვიძლია თანაცხოვრება და მშვიდობიანად მუშაობა მათთან ისე ხანგრძლივად, როგორადაც ეს შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ". ასე რომ, თუ ვინმე დღეს იალტის კონფერენციის დადგენილებათა წინააღმდეგ ილაშქრებს, ეს იმიტომ რომ არ აწყობს საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის გავლენის გაძლიერება და ცილისწამებით ცდილობს კონფერენციის მნიშვნელობის გაქარწყლებას. ცხადია, ამაოდ, რადგან სწორედ იალტის კონფერენციაზე გამეფებული ნაყოფიერი თანამშრომლობის სულისკვეთება, ა. ვერტის შენიშვნით, იყო „სამი სახელმწიფოს ერთიანობის დიადი დემონსტრაცია გერმანიაზე მოახლოებული გამარჯვების წინადღეს".

პოტსდამის კონფერენცია

საქმე სტალინის დაჩოქება იყო, მაგრამ
ეს ვერ შევძელით.

ტრუმენი

ფაშისტურ გერმანიასთან ომის დამთავრებამ სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის მთავრობათა წინაშე მთელი სიმწვავით დასვა ევროპაში ომის შედეგების ლიკვიდაციისა და ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხები (გერმანიისადმი და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულება, პოლონეთის საზღვრების საბოლოო დადგენა და სხვ.). ამ მიზნით აუცილებელი იყო, შეცვლილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, თეირანისა და იალტის კონფერენციების დადგენილებათა, აგრეთვე ანტიფაშისტური კოალიციის ხელმძღვანელთა სხვა პირადი შეხვედრა-მოლაპარაკების შედეგების შემდგომი განვითარება, რადგან აშკარად იგრძნობოდა მოკავშირეთა სრულიად განსხვავებული მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი. ამასთან, იმპერიალისტური იაპონიის სახით შორეულ აღმოსავლეთში კვლავ არსებობდა ომის აქტიური კერა და სამი სახელმწიფოს ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას შეეძლო აგრესორის განადგურების დაჩქარება და მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა მსოფლიოში. სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის მთავრობათა მეთაურების ახალი კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა.

შეხვედრის იდეა ამერიკელებმა წამოაყენეს. 25 მაისს მოსკოვს ჩამოფრინდა ჰ. ჰოპკინსი, რომელმაც პირად საუბარში საბჭოთა პრემიერს გააცნო აშშ პრეზიდენტის ჰ. ტრუმენის სურვილი უმაღლეს დონეზე კონფერენციის ორგანიზების შესახებ. ჰოპკინსის სიტყვით პრეზიდენტი და ამერიკის საზოგადოებრიობა შეშფოთებული იყვნენ რუზველტის სიკვდილის შემდეგ სსრ კავშირისა და ამერიკის ურთიერთობის გაუარესებით. ტრუმენს სურს განაგრძოს „საბჭოთა ქვეყანასთან თანამშრომლობის რუზველტისეული პოლიტიკა", მაგრამ საბჭოთა მთავრობის განსხვავებული პოზიცია მთელ რიგ „ძირეულ პრობლემებში" (პოლონეთი, აგრეთვე გერმანიის ბლოკის ქვეყნებისადმი დამოკიდებულება და სხვ.) მის „კანონიერ შეშფოთებას" იწვევს. ამავე დროს, ჰოპკინსს აინტერესებდა საბჭოთა ხელმძღვანელების აზრი „სსრ კავშირსა და აშშ მომავალ ურთიერთობაზე ჩინეთში" და განსაკუთრებით „წყნარი ოკეანის ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის თუნდაც მიახლოებითი თარიღი", რაც „ამერიკელი საზოგადოებისათვის იქნებოდა ძალიან სასარგებლო".

თავის მხრივ საფუძვლიანი კონტრპრეტენზიები წამოაყენა საბჭოთა მხარემ. სტალინმა ჰოპკინსის ყურადღება გააამახვილა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა კი არა, სწორედ მოკავშირეებმა დაარღვიეს იალტის გადაწყვეტილებანი და გადაუხვიეს თანამშრომლობის ადრინდელ კურსს, კერძოდ: ამერიკამ შეუწყვიტა საბჭოთა ქვეყანას ლენდ-ლიზის დახმარება, მოითხოვა სარეპარაციო კომისიაში საფრანგეთის შეყვანა, რაზეც არავითარი დადგენილება არ მიუღიათ იალტაში; ინგლისელები უარს ამბობდნენ კაპიტულირებული გერმანული სამხედრო და საავაკრო ფლოტის ნაწილის სსრ კავშირისათვის გადაცემაზე და ა. შ.

ამის მიუხედავად საბჭოთა მთავრობა გაგებით მოეკიდა უმაღლეს დონეზე კონფერენციის მოწვევის იდეას[1] და დათანხმდა 1945 წლის 15 ივლისს დიდი საბჭოს შეხვედრაზე, რადგან ურთიერთბრალდებებით კი არა, მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით შეიძლებოდა კარდინალური საერთაშორისო საკითხების მოგვარება. ამის შესახებ სტალინმა აცნობა ჩერჩილს. 27 მაისს იგი წერდა: „მოსკოვში ჩამოსულმა ბ-მა ჰოპკინსმა პრეზიდენტის სახელით დასვა უახლოეს პერიოდში საბჭოს შეხვედრის საკითხი. [მე ვფიქრობ შეხვედრა აუცილებელია და ძალიან მოწყობა ყველაზე მოხერხებულია ბერლინის გარეუბანში. ეს იქნებოდა სწორი პოლიტიკურადაც.] ჩერჩილმა ალბათობით მიიღო აღნიშნული წინადადება. მაგრამ შესწორება შეიტანა შეხვედრის თარიღში. მისი სიტყვით, 15 ივლისი „ძალზე გვიანია“ უსწრაფესი საკითხების მოგვარებისათვის და იგი ზრახავს მოუტანს „მთელი მაოფლიოს ერთიანობას და იმედებს“. ამიტომ მოითხოვა შეხვედრა, „ყვე-

---

1 ამერიკის დემოკრატიულმა პრესამ, საერთაშორისოდ, მაღალ შეფასება მისცა მოსკოვში ჰ. ჰოპკინს-ს ვიზიტის შედეგებს და მიიჩნია იგი საბჭოთა ქვეყანასა და აშშ შორის თანამშრომლობის ახალი ერის დასაწყისად. ოპტიმიზმი იმდენად დიდი იყო, რომ ჰოპკინსს ტრუმენის ადმინისტრაციაში მაღალ ადგილსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა ახალი პრეზიდენტი ამ დროს სულ უფრო აფართოებდა „მტკაცე კურსს“ სსრ კავშირის მიმართ და საქმეში ჩახედული პირებისათვის ნათელი იყო, რომ მან აღნიშნული ვიზიტი გამოიყენა რუზველტისეული პოლიტიკის შეცვლის შირმად. ეს კარგად იგრძნო თვით ჰოპკინსმაც. ამიტომ, პრეზიდენტის წინადადების მიუხედავად, მან ჯერ უარი თქვა პოტსდამში გამგზავრებაზე, შემდეგ კი, სახელმწიფო მდივნის პოსტზე ედ. სტეტინიუსის ნაცვლად ჯეიმს ბირნსის დანიშვნასთან დაკავშირებით, საერთოდ სახელმწიფო აპარატიდან წასვლა ამჯობინა. ტრუმენმა მალე ასევე მოიშორა ყველა ვინც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ემხრობოდა რუზველტის პოზიციას (ამერიკის მოსკოველი ელჩი ჰარიმანი, ადმირალი ლეგი და სხვ.).

ლაზე უადლოეს დროს" — 15 ივნისს ან 1-3 ივლისს. ტრუმენ-ისადმი 22 მაისს გაგზავნილ წერილში ინგლისის პრემიერი არც მალავდა თავის სიჩქარის მიზეზებს: „ვშიშობ, რომ მან (სტალინმა — ა. ს.) არ სცადოს დროის მოგება, რათა დარჩეს ევროპაში ყოვლის შემძლე, როცა ჩვენი ძალები იქ ალარ იქ-ნებიან". აქვე ჩერჩილი პრეზიდენტს მოუგონებდა პირობას, რომ კონფერენცია ჩაეტარებინათ პუნქტში, რომელიც „არ იქ-ნება რუსების მიერ ოკუპირებულ ზონაში". პრემიერი იმიზე-ზებდა, რომ „ჩვენ უკვე ორჯერ ჩავედით მასთან" (ე. ი. სტა-ლინთან). ამის მიუხედავად, ჩერჩილი შემდეგ მაინც დათანხმ-და ადრინდელ თარიღზე, სსრ კავშირისა და აშშ მთავრობათა მეთაურების ბერლინში უკვე შერჩეულ ქალაქში ჩასვლაზე და მო-კავშირე სახელმწიფოთა მეთაურებს აცნობა გადაწყვეტილე-ბა ბერლინში ოპოზიციის ლიდერის კლ. ეტლის წამოყენების შესახებ, რათა არჩევნებში კონსერვატორების დამარცხების შემთხვევაში უზრუნველეყო მისთვის „ბრიტანეთის პოლიტი-კის სრული მემკვიდრეობითობა". 15 ივნისის წერილში მან ითხოვა აგრეთვე მომავალი კონფერენციის კოდურ სახელად მიეღოთ „თერმინალი", რაზეც საბჭოთა პრემიერიც და აშშ პრეზიდენტიც დათანხმდნენ.

კონფერენციის მზადების პერიოდში წამოიჭრა მრავალი ორგანიზაციული ხასიათის სიძნელე. მეტად რთული იყო დე-ლეგაციებისათვის შესაფერი რეზიდენციების გამოძებნა. იე-რიშის დროს ბერლინი მეტად დაინგრა და რამდენადმე ვარ-გისი შენობა ქალაქში თითქმის არ იყო. თანაც, უშუალოდ ბერლინში კონფერენციის ჩატარება მონაწილეთა უშიშროე-ბის თვალსაზრისით, გაუმართლებელიც ჩანდა. ამიტომ სამი სახელმწიფოს მეთაურები შეთანხმდნენ ბერლინის მახლობ-ლად ქალაქ პოტსდამში შეხვედრის ორგანიზებაზე. საამისოდ შეირჩა სან-სუსის სახელგანთქმულ პარკში, პატარა ტბის ნა-პირზე, მდებარე ცეციელიენჰოფის შესანიშნავი სასახლე, რო-მელიც 1945 წლის მარტამდე გერმანიის იმპერიის მემკვიდრე პრინცს ვილჰელმ ფონ-ჰოჰენცოლერნს ეკუთვნოდა. მდიდრუ-

ლად გაფორმებული ორსართულიანი შენობა მოითვლიდა სხვადასხვა ჯიშის ხის მასალით მოპირკეთებულ 36 დიდ დარბაზს, რაც საკმარისი იყო კონფერენციის სხდომების ჩასატარებლად, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მრჩევლებისა და ექსპერტების სამუშაოდ. დელეგაციების საცხოვრებლად კი გამოიყენეს პოტსდამის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი—ბაბელსბერგი, სადაც უმაღლესი რანგის ფაშისტ მოხელეთა კუთვნილი ლამაზი ორსართულიანი ვილები იდგა. საბჭოთა დელეგაციას გენ. ლიუდენდორფის ყოფილ სასახლეში დაბინავდა.

15 ივლისს დაიწყო დელეგაციების ჩასვლა პოტსდამში. პირველი იყო ამერიკის დელეგაცია ტრუმენის მეთაურობით. მას ახლდნენ საგელმწიფო მდივანი ჯ. ბირნსი, ფლოტის ადმირალი ვ. ლეგი, აშშ მოსკოველი ელჩი ა. ჰარიმანი, გენ. ჯ. მარშალი და სხვ. ამერიკელებს მიჰყვა ინგლისის დელეგაცია ჩერჩილის ხელმძღვანელობით (28 ივლისს ჩერჩილს შეეცვალა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კ. ეტლი). დელეგაციაში იყვნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, ინგლისის მოსკოველი ელჩი ა. კერი, ფელდმარშალი ჰ. ალექსანდერი და ა. შ. საბჭოთა დელეგაცია სტალინის წინამძღოლობით ბერლინს 16 ივლისს ჩავიდა. დელეგაციაში შედიოდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი, გენერალური შტაბის უფროსი ა. ანტონოვი, საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ადმირალი ნ. კუზნეცოვი, აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები ა. გრომიკო, ს. ქავთარაძე, ი. მაისკი და სხვ. სამივე დელეგაციას თან ახლდა მრავალრიცხოვანი დიპლომატიური აპარატი (მრჩევლები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა. შ.).

მაშასადამე, მონაწილეთა მხრივ პოტსდამის კონფერენცია განსხვავდებოდა წინა კონფერენციებისაგან. ცხადია, სხვაობა არ იქნებოდა მკვეთრი, რომ საბჭოთა ქვეყნისადმი მოკავშირეთა დამოკიდებულებაში ამ დროისათვის თავი არ ეჩინა უარყოფით მოვლენებს. მართლაც, ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლის დასრულების შემდეგ, აშკარად იგრძნობოდა, რომ

დავიწყებას ეძლეოდა ომის დროის ნაყოფიერი თანამშრომლობის ტრადიციები და მის ადგილს სსრ კავშირისადმი უნდობლობის, „ცივი ომისა“ თუ „მტკიცე კურსის“ ატმოსფეროა იკავებდა. გადახრა მარჯვნივ განსაკუთრებით საგრძნობი იყო აშშ პრეზიდენტის შეხედულებებში. რუზველტის სიკვდილმა 1945 წლის 12 აპრილს ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის პოსტი არგუნა ჰარი ტრუმენს, რომელიც საერთოდ ცნობილი იყო სსრ კავშირისადმი მტრული დამოკიდებულებით. მან, როგორც ცნობილია, მოიწოლა ფაშისტური გერმანიის თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე და 1941 წლის 24 ივნისს გაზ. „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაბეჭდილ წერილში აღნიშნა: თუ დავინახავთ, რომ იძარჯვებს გერმანია, უნდა დავეხმაროთ რუსეთს. ამ ქვეყნის წარმატების შემთხვევაში კი უნდა მივეშველოთ გერმანიას. დაე, მათ გაჟლიტონ ერთმანეთი, რაც შეიძლება მეტიო. მას შემდეგ ამ სიტყვების ავტორს სსრ კავშირის მიმართ პოზიცია არ შეუცვლია. პირიქით, ომის დამთავრებამდე, ორი კვირით ადრე, კერძოდ 1945 წლის 23 აპრილს, იკვეხნიდა: „რუსებს მალე დავსვამთ თავის ადგილზე და მაშინ შეერთებული შტატები უხელმძღვანელებს მსოფლიოს სვლას იმ გზით, რომლითაც იგი უნდა მიდიოდეს“. ამიტომ ტრუმენი დაასკვნიდა: „გადაწყვეტილი მაქვს ვიყო მტკიცე რუსეთის მიმართ“ (ამ მხრივ მისი პირველი ღონისძიება იყო სსრ კავშირისათვის ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარების აკრძალვა). ასეთმა ტენდენციამ შესაფერი გავლენა მოახდინა მთავრობის ოფიციალურ კურსზეც. სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბირნსი იწონებდა პრეზიდენტის პოლიტიკას და დაუფარავად წერდა: მხოლოდ ამ შემთხვევაში „გვექნება შესაძლებლობა ომის დამთავრებისას ვუკარნახოთ ზავის პირობები“ საბჭოთა კავშირს.

შომდევნო პერიოდში სსრ კავშირის მიმართ აშშ მთავრობის უარყოფითი პოზიცია უფრო მკვეთრი გახდა. კონფერენციის მზადების დღეებში ტრუმენი ამბობდა: თუ ატომური ყუმბარა „როგორც მე ვვარაუდობ, აფეთქდა, მაშინ უეჭველად მექნება კეტი რუსი ვაჟკაცებისათვისო“.

15 ივლისს, ალამაგორდის საცდელ პოლიგონზე, მართლაც, მოხერხდა ატომური ბომბის წარმატებით გამოცდა (ამიტომაც ითხოვდა პრეზიდენტი დიდი სამეულის შეხვედრას მახლობლად ივლისის შუა რიცხვებისათვის), რის შესახებაც უკვე მეორე დღეს ტრუმენმა დაშიფრული დეპეშა მიიღო. ორაზენიძე დღეა შემდეგ სპეციალურმა კურიერმა მას ჩაუტანა ატომური ბომბის აფეთქების დაწვრილებითი ანგარიში, ოამაც, ამერიკელი დიპლომატის რ. მერფის სიტყვით, მნიშვნელოვნად შეცვალა კონფერენციაზე „ტრუმენისა და ჩერჩილის საქციელი". რ. ძერფი შემდეგ აღნიშნავს: „21 ივლისს, კონფერენციის მეოთხე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც ტრუმენი თავმჯდომარეობდა, ჩვენ შევნიშნეთ ცვლილება პრეზიდენტის ქცევის მანერაში, რაც თვალში საცემი იყო. ის ჩანდა თავის თავში უფრო დაჯერებული, უფრო აქტიური, მონაწილეობდა დისკუსიებში, მკვეთრად გამოდიოდა სტალინის ამა თუ იმ მტკიცების წინააღმდეგ". ჩანს, ატომური ყუმბარის რეალურ, პრეზიდენტმა ძალა იგრძნო და, რადგან საწადელს მიაღწია, ამით გულმოცემულმა უკვე კონფერენციაზე სცადა საბჭოთა დელეგაციის დაშინება (ყოველ შემთხვევაში გაელანის მოხდენა მაინც) და ხშირად მოლაპარაკების ჩაშლითაც იმუქრებოდა.

ამ მხრივ საინტერესო დეტალია სტალინისათვის ატომური ყუმბარის შექმნის გამხელის ფაქტი. სავულისხმოა, რომ ტრუმენმა და ჩერჩილმა სპეციალურად ითათბირეს, როგორ გაეცნოთ იგი საბჭოთა ლიდერისათვის. ვარიანტების შერჩევის შემდეგ შეთანხმდნენ, ერთ-ერთი პლენარული სხდომის შემდეგ. ეთქვათ მისთვის რომ აქვთ სრულიად არაჩვეულებრივი ძალის ყუმბარა (სიტყვა ატომური არ უნდა ეხსენებიათ), რომელიც გავლენას მოახდენდა იაპონელებზე და აიძულებდა მათ შეეწყვიტათ ომი. ამერიკის პრეზიდენტს და ინგლისის პრემიერს არ ეეჭვებოდათ, რომ ამ ცნობის გამხელით დააშინებდნენ საბჭოთა დელეგაციას.

ახლა მოვუსმინოთ ჩერჩილს: „24 ივლისს, პლენარული

სხდომის დამთავრების შემდეგ... „დავინახე, როგორ მივიდა პრეზიდენტი სტალინთან და დაიწყეს ლაპარაკი მხოლოდ თარჯიმნების თანდასწრებით. მე ვადევნებდი თვალს ამ საყურადღებო საუბარს, რადგან ვიცოდი, რას ეტყოდა პრეზიდენტი. მნიშვნელობა ჰქონდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს სტალინზე... თუ მასზე (ატომურ ყუმბარაზე — ა. ს.) ოდესავ მაინც გაჩნდა წარმოდგენა, ცხადია, ეს მაშინვე შესამჩნევი იქნებოდა... მაგრამ იგი არ შეცვლილა და მის სახეს კვლავ მხიარულობისა და გულითადობის გამომეტყველება ემჩნეოდა. „როგორაა საქმე“ — ვკითხე (ტრუმენს). „ძალა არ მოუცია არც ერთი შეკითხვა“ — მიპასუხა პრეზიდენტმა“.

მეტი სიცხადისათვის აქვე უნდა დავიმოწმოთ პრეზიდენტის ქალიშვილის მარგარეტ ტრუმენის სიტყვებიც: „მამაჩემმა გულდასმით მოიფიქრა საკითხი, როგორ ეცნობებია სტალინისათვის ატომური ყუმბარის შესახებ... ის მიუახლოვდა საბჭოთა ლიდერს და უთხრა, რომ შეერთებულმა შტატებმა შექმნა „არაჩვეულებრივად დამანგრეველი ძალის“ ახალი იარაღი. პრემიერი ჩერჩილი და სახელმწიფო მდივანი ბირნსი რამდენიმე ნაბიჯზე იდგნენ და ბეჯითად აკვირდებოდნენ სტალინის რეაქციას. მან შეინარჩუნა საოცარი სიმშვიდე... მამაჩემი, ბ-ნი ჩერჩილი და ბ-ნი ბირნსი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სტალინმა ვერ გაიგო ახლახან ნათქვამის მნიშვნელობა“.

ძაშასადამე, ამერიკის პრეზიდენტსაც და ინგლისის პრემიერსაც იმედები გაუცრუვდათ — საიდუმლოების გამხელამ მათ სათანადო ეფექტი ვერ მოუტანა. მართალია, საბჭოთა დელეგაციის მეთაურისა და სხვა ოფიციალური პირების ასეთ სიმშვიდეს ტრუმენიც და ჩერჩილიც, აგრეთვე ა. ვერტი და სხვ. იმით ხსნიდნენ, თითქოს მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ამ სრულიად ახალი იარაღის ძალაზე, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. გ. ჟუკოვი იგონებს იმ საუბარს, რაც საბჭოთა რეზიდენციაში გაიმართა სხდომიდან დაბრუნებულ სტალინსა და მოლოტოვს შორის. საბჭოთა პრემიერს დელეგაციის წევრებისათვის გაუცვნია ტრუმენის სიტყვის შინაარსი, რაზეც

ვ. მოლოტოვს შეუნიშნავს: „მათ სურთ ფასი აიწიონ“. სტალინმა თურმე ჩაიცინა და თქვა: „დაე, აიწიონ. კურჩატოვს უნდა მოველაპარაკოთ ჩვენი სამუშაოს დაჩქარების შესახებ“. ჰქონდა რა მხედველობაში საბჭოთა ატომური ყუმბარის შექმნისათვის წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიება. მაშასადამე, საბჭოთა მეთაურმა მაშინვე შეიცნო ახალი იარაღის გიგანტური ძალა, მაგრამ პანიკას არ მისცემია, პოლიტიკოსისათვის ჩვეული გულგრილობა გამოიჩინა, რითაც ოსტატურად შენიღბა თავისი გეგმები და მოწინააღმდეგე შეცდომაში შეიყვანა.[2] ალბათ, რომ ამერიკელებმა ატომური ყუმბარითაც ვერ მოახდინეს რამდენადმე მხიშვნელოვანი გავლენა საბჭოთა დელეგაციაზე. რაც ეხება კონფერენციის ჩაშლის მუქარას, ამაზე, როგორც თვით ტრუმენი იგონებს, ერთხელ „სტალინმა გადაიხარხარა მთელი არსებით და თქვა, რომ არ ვადანაშაულებ პრეზიდენტს სურვილისათვის. დაბრუნდეს სახლში, რადგან უკვე გადაწყვეტილი მაქვს ეს თავად მე გავაკეთოო“.

ასეთივე იყო ინგლისის დელეგაციის პოზიციაც. კიდევ მეტი. კონფერენციის მზადების დღეებში იგი აშკარად გეგმავდა ომს საბჭოთა კავშირთან და ამ მიზნით მოითხოვდა „ამერიკელებთან ერთად ახალი ფრონტის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ“. საყურადღებო ცვლილება არც კაბინეტის შეცვლას და ჩერჩილის მაგიერ პრემიერ-მინისტრად კლიმენტ ეტლის გაცვლას მოუხდენია. პირიქით, იგი კიდეც გაუარესდა იდენის ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრად ერნესტ ბევინის დანიშვნის გამო. საგულისხმოა, რომ ამ ლეიბორისტი-ლიდერის აშკარად ანტისაბჭოთა პოზიციამ ამერიკელთა განცვიფრებაც გამოიწვია. ბირნსი სწორად შენიშნავდა: „მისი მანერა იმდენად აგრესიული იყო, რომ ჩვენ, მე და პრეზიდენტი ხშირად ჩავფიქრებულ-

---

2 იგონებდა რა აშშ პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ საუბარს საბჭოთა ხელმძღვანელთან, ამერიკელი ფიზიკოსი უ. ლოურენსი წერდა: „ჩვენ ხუთი წლის შემდეგ გავიგეთ, სტალინმა ყველაფერი იცოდა ბომბის შესახებ ოვით ტრუმენზე ადრე“.

ვართ, როგორ ვითანამშრომლოთ ახალ საგარეო საქმეთა მინისტრთან-ო". და მართლაც, ინგლისელი მკვლევარის ვილიამსის სიტყვით ბევინმა დიდი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის მიმართ „შტკიცე კურსის" შემუშავებაში სწორედ პოტსდამის კონფერენციაზე.

სხვათა შორის, კონფერენციამ გამოამჟღავნა ინგლის-აშშ წინააღმდეგობათა სერიოზული ზრდაც. თვით კონფერენციის მოწვევამდე ტრუმენმა თხოვა ჩერჩილს უარი ეთქვა პოტსდამში გამგზავრებაზეც. ამის გამო ინგლისის პრემიერი ძალზე განაწყენებულა. მას სინანულითაც უთქვამს: განა მე არ ვემხრობოდი აშშ მთელი ომის განმავლობაში და ნუთუ ასეთი უნდა იყოს ამ მხარდაჭერის საფასური? რას ნიშნავს ყველაფერი ეს? უჩემოდ შეხვედრა იქნება უპატიოსნო გარიგება. მე არასდროს, არასდროს, არასდროს არ დავთანხმდები ამაზე. მართალია, პრეზიდენტი კონკრეტულ მიზეზს არ უთითებდა, რის გამოც ამ ნაბიჯს ზოგიერთი ავტორი ტრუმენის „აშკარა უტაქტობად" თვლის, მაგრამ ცხადია, ამ აქტში იგულისხმებოდა ომის შედეგად დასუსტებული ინგლისის, როგორც არათანასწორუფლებიანი პარტნიორის, დამცირება და უგულვებელყოფა. ამას არც ტრუმენის მრჩეველი ადმირალი ლეგი უარყოფს: ომში „საგრძნობი იყო ბრიტანეთის იმპერიის დასუსტება... ეკონომიკური მხრივ ინგლისი ბეჭედზე იდო, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ამერიკას აშკარად ჩამოუვარდებოდა". ინგლისელებისადმი ამერიკელთა ასეთმა ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ თავი იჩინა კონფერენციაზეც. ორ დასავლეთელ პარტნიორს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ კი რამდენადმე განაპირობა პოტსდამში საბჭოთა დელეგაციის დიპლომატიური ბრძოლის წარმატება.

კონფერენცია გაიხსნა 17 ივლისს. ადრინდელის მსგავსად არც პოტსდამის კონფერენციას ჰქონდა გამოკვეთილი დღის წესრიგი. ასე რომ თითოეული ხელმძღვანელი იტოვებდა მისთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობის უფლებას. სხვათა შორის, არც მუშაობის ტრადიციული რეგლამენტი შეუცვ-

ლიათ. დილით იკრიბებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. ისინი მსჯელობდნენ დღის წესრიგის ამა თუ იმ საკითხზე, საღამოს 5 საათზე კი ხვდებოდნენ სახელმწიფოთა მეთაურები, ოომლებიც განიხილავდნენ მოლაპარაკების შედეგებს და ღებულობდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს. ერთადერთი გადახვევა ადრე შემუშავებული წესისაგან დაუშვეს კორესპონდენტების მიმართ, თუმცა „საიდუმლოების დაცვისა" და „დაშვიდებით მუშაობის" უზრუნველყოფის მიზნით მათ მეორე დღესვე დაატოვებინეს სხდომათა დარბაზი.

კონფერენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნა. ეს „ანაპირობა მაშინდელი საერთაშორისო ცხოვრების თავისებურებამ — ევროპაში ბრძოლის დამთავრებამ და შორეულ აღმოსავლეთში ომის დასრულების მოახლოებამ მოითხოვა საზავო კონფერენციის მოწვევა გერმანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და ყოფილ მტრულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარებისათვის. ცხადია, ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საამისოდ შექმნილი სპეციალური ორგანოს მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ. ამიტომ პირველსავე სხდომაზე საბჭოთა პრემიერი დათანხმდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნაზე — იგი „მომავალი საზავო კონფერენციის მოსამზადებელი დაწესებულება" იქნებოდა. რამდენადაც საქმე ევროპას ეხებოდა, ამდენად სტალინი საბჭოს შემადგენლობას სამი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ინგლისი) საგარეო საქმეთა მინისტრით განსაზღვრავდა. ანალოგიური იყო ინგლისის დელეგაციის აზრიც. რაც შეეხება ტრუმენს, იგი ითვალისწინებდა საბჭოში ჩინეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლების შეყვანასაც, თუმცა საკითხის განხილვისას ჩინეთზე თავი შეიკავა.

ხანმოკლე კამათის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა დაადგინეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნა, რათა გაანაგრძოს მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა და განიხილოს სხვა საკითხები, რო-

ძლებიც საბჭოში მონაწილე მთავრობებს შორის შეთანხმებით შეიძლება დროდადრო გადაეცეს საბჭოს. მის შემადგენლობაში შევიდნენ სსრკ, ინგლისის, ჩინეთის, აშშ და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. საბჭოს მუდმივ ადგილსამყოფელად დაადგინეს ლონდონი, თუმცა სხდომები პერიოდულად დიდ სახელმწიფოთა დედაქალაქებშიც ჩატარდებოდა. აქვე გახსაზღვრეს ამ ახალი ორგანოს ამოცანებიც უახლესი დროისათვის: საზავო ხელშეკრულების მოძზადება და გაფორმება ევროპის სახელმწიფოებთან, წინადადებების შემუშავება „ევროპაში ომის დამთავრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გადაუწყვეტელი ტერიტორიული საკითხების მოსაწესრიგებლად“, გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება და სხვ.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნა იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რამდენადაც წარმოადგენდა პრაქტიკულ ორგანოს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობისათვის და ეფექტურ საშუალებას მწვავე საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. მართლაც, საბჭომ კონფერენციის დადგენილება შესაბამისად, დაიწყო საზავო ხელშეკრულებების პროექტების შემუშავება ევროპის სახელმწიფოებისათვის (ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი და სხვ.) და არსებულ წინააღმდეგობათა მიუხედავად შეძლო ამ უაღრესად რთული საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ამასთან დაკავშირებით დიდმა სამეულმა განიხილა ევროპის საკონსულტაციო კომისიის შემდგომი არსებობის საკითხიც. სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს დაარსებიდან (1944 წლის იანვარი) ამ ორგანოს ნაყოფიერი საქმიანობა გერმანიის კაპიტულაციის, ზონებად გერმანიის დაყოფისა და ავსტრიის ოკუპაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავებაში, საგანგებო რანდენადაც აღნიშნული ქვეყნებისადმი მოკავშირეთა პოლიტიკის კოორდინაციას ამიერიდან განახორციელებდა საკონტროლო საბჭო (ბერლინში) და სამოკავშირეო კომისია

(ევროპაში). ამდენად მიზანშეწონილად სცნეს ევროპის საკონსულტაციო კომისიის დათხოვნა.

კონფერენციამ დიდი დრო დაუთმო გერმანიის საკითხის განხილვას. აქ კვლავ გამომჟღავნდა საბჭოთა და ინგლის-აშშ დელეგაციების აზრთა დაპირისპირებულობა, რადგან ეს უკანასკნელნი პოტსდამში სამ სახელმწიფოდ გერმანიის დაყოფის ძველი გეგმით ჩამოვიდნენ. საბჭოთა მხარემ აშკარად გაილაშქრა ასეთი მოთხოვნის წინააღმდეგ და დაასაბუთა, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის აუცილებელია გერმანიის არა დაყოფა, არამედ დემოკრატიულ სახელმწიფოდ მისი გადაქცევა. ამით აიხსნება, რომ 1945 წლის 9 მაისის ცნობილ სიტყვაში სტალინმა ხაზგასმით მიუთითა: გამარჯვების მიუხედავად „საბჭოთა კავშირი... გერმანიას არც დახაწილებას უპირებს და არც მოსპობას-ო". საბჭოთა მხარის ასეთმა პოზიციამ დიდი რეზონანსი ჰპოვა მსოფლიოში და ჩაშალა კონფერენციაზე გერმანიის მიმართ იმპერიალისტთა გეგმები. მიღებული გადაწყვეტილება ითვალისწინებდა გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას და დემოკრატიულ პრინციპზე მის განვითარებას.

გერმანიის მიმართ შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების მიზნით დიდმა სამეულმა მიიღო სპეციალური დოკუმენტი — „პოლიტიკური და ეკონომიკური პრინციპები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ გერმანიასთან მოპყრობისას დაწყებითს საკონტროლო პერიოდში". იგი ითვალისწინებდა გერმანიის სრულ განიარაღებას და დემილიტარიზაციას, გერმანიის მთელი სამხედრო მრეწველობის ლიკვიდაციას, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის, მისი ფილიალებისა და ორგანიზაციების მოსპობას, ყველა ნაცისტური დაწესებულების დაშლას და მათი აღორძინებისათვის საჭირო პირობების გაძორიცხვას, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების, მათი შტაბებისა და დაწესებულებების გაუქმებას და ა. შ. მართალია, ყველაფერი ეს ნავარაუდევი იყო საკონტროლო პერიოდის საწყისი სტადიისათვის, მაგრამ აღნიშნული პრინციპები

საფუძველშივე განსაზღვრავდნენ გერმანიის სახელმწიფოებრივ მოწყობას შორეული მომავლისათვისაც.

ამ მხრივ საინტერესოა ის ეკონომიკური პრინციპები, რომლებიც სახელმწიფოთა მეთაურებმა გერმანიის მიმართ შეიმუშავეს. აქ საყურადღებო ისაა, რომ მისი ავტორები ამ ქვეყანას განიხილავდნენ, როგორც ეკონომიკურად ერთიან ორგანიზმს. კონფერენციის გადაწყვეტილებით მოკავშირეებს უნდა მოესპოთ ან ჩამოერთვათ გერმანიის სამხედრო მრეწველობა და მისთვის აუცილებელი სტრატეგიული ნედლეული, დაეშალათ მონოპოლისტური გაერთიანებანი და ძირითადი ყურადღება გადაეტანათ სოფლის მეურნეობისა და მშვიდობიან ცხოვრებასთან დაკავშირებული შინამოხმარებისათვის გამიზნული მრეწველობის დარგების განვითარებაზე; ამასთან, გერმანიის ეკონომიკის მოწესრიგების მიზნით უნდა შეექმნათ ზოგიერთი ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო ფინანსების, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის, მრეწველობისა და სხვ. დარგის სახელმძღვანელოდ, რასაც, თავის მხრივ, უნდა მოემზადებინა წანამძღვრები ქვეყნის გაერთიანებისათვის.

კონფერენციამ ამჯერადაც განიხილა რეპარაციის საკითხი, რადგან მჭიდროდ უკავშირდებოდა გერმანიის ეკონომიკურ განიარაღებას და სამხედრო პოტენციალის მოსპობას. მართალია, ამაზე არსებობდა იალტის კონფერენციის გადაწყვეტილება, მაგრამ ინგლის-ამერიკის დელეგაციებმა პოტსდამში იგი მაინც საკამათოდ გახადეს. კიდევ მეტი, აშშ დელეგაციამ, მაგალითად, უარყო კონკრეტული სარეპარაციო თანხის 20 მილიარდი დოლარით განსაზღვრაც კი და მოითხოვა რეპარაციის ამოღება არა გერმანიიდან საერთოდ, არამედ დაქვემდებარებული ზონებიდან.

ცხადია, ასეთი პრინციპი მიუღებელი იყო საბჭოთა მხარისთვის. ჯერ ერთი, კონკრეტული ციფრის მითითებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მოკავშირეებისათვის, არამედ გერმანიისათვისაც. და მეორეც, ჩვენი ზარალი გაცილებით დიდი იყო და ბრძოლის შედეგად დანგრეული აღმო-

საველეთი გერმანია მას ვერ აანაზღაურებდა. ამის მიუხედავად. კამათის პროცესში, საბჭოთა დელეგაციამ შეცვალა პოზიცია, უარი თქვა რეპარაციის კონკრეტული ციფრის დასახელებაზე და დათანხმდა მის მიღებაზე ზონების მიხედვით იმ იმედით, რომ უზრუნველეყო ამერიკელთა დაპირებული მხარდაჭერა პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საკითხში. მანვე მოითხოვა რეპარაციის გარკვეული ნაწილის მიღება დასავლეთის ზონებიდანაც, რადგან აღმოსავლეთ გერმანიის ზოგი რაიონიდან, ინგლის-ამერიკის ჯარების ყოფნის დროს, მოკავშირეებმა დიდი რაოდენობის ძვირფასი საქონელი გაიტანეს. ასეც შეთანხმდნენ. მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო ზონების მიხედვით თითოეული სახელმწიფოს პრეტენზიის დაკმაყოფილების უცილებლობაზე. საბჭოთა მხარე დასავლეთ გერმანიის ზონებიდან დამატებით მიიღებდა სამრეწველო საწარმოების მოწყობილობათა 15%-ს ექვივალენტური ღირებულების სასურსათო პროდუქტებზე გაცვლით და სამრეწველო კაპიტალური მოწყობილობის 10%-ს, „უსასყიდლოდ ან რაიმე სახით აუნაზღაურებლად". დამატებითი რეპარაციების რაოდენობა უნდა განესაზღვრათ 6 თვის განმავლობაში — 1946 წლის თებერვლამდე და გადმოეცათ უახლოეს ორი წლის მანძილზე. საბჭოთა მთავრობა საკუთარი რეპარაციიდან დააკმაყოფილებდა პოლონეთის მოთხოვნილებას, ხოლო ინგლის-ამერიკის მთავრობები უარს ამბობდნენ „ყველა პრეტენზიაზე რეპარაციების მხრივ გერმანიის იმ საწარმოების აქციათა მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის აღმოსავლეთ ზონაში მდებარეობენ. აგრეთვე გერმანიის საზღვარგარეთულ აქტივებზე ბულგარეთში, ფინეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და აღმოსავლეთ ავსტრიაში".

რეპარაციებზე მსჯელობისას სახელმწიფო მეთაურებმა თავიანთი აზრები გააცნეს ერთმანეთს აგრეთვე გერმანიის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რაიონზე — რურის აუზზე და ფაშისტური გერმანიის საზღვაო ფლოტის ბედზე. ით-

ვალისწინებდა რა რურის ოლქის დემოკრატიზაციას და დეშილიტარიზაციას საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა მასზე, როგორც „გერმანიის ნაწილზე", ერთობლივი ოთხმხრივი (სსრ კავშირი, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ) კონტროლის დაწესება. ამისათვის კი უნდა შეექმნათ ოთხი სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) „სათანადო საკონტროლო საბჭო". მოკავშირეებმა ეს წინადადება არ მიიღეს, რადგან რურის მეშვეობით გეგმავდნენ ახალ ავანტურებს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ამაში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების სწრაფვამ რურის მეშვეობით გერმანიის ეკონომიკაში გაბატონებისათვის. სსრ კავშირის მოხაწილეობა ამ ოლქის კოხტროლში, ცხადია, მათ სააბისო ცდებს მნიშვნელოვნად შეზღუდავდა. რაც შეეხება საზღვაო ფლოტს, საბჭოთა მხარემ მოითხოვა დავლის სახით მათი მიღება და ერთმანეთში განაწილება.

სხვათა შორის, აღნიშნული საკითხის განხილვისას ძალზე იაქტიურა ჩერჩილმა. ომის შედეგად შეირყა ინგლისის ბატონობა ზღვაზე და იგი „დაღუპვის პირამდე" მივიდა. თავაც პრემიერს აშინებდა ფლოტის დიდი ნაწილის მიღებით სსრ კავშირის გაძლიერება. ამიტომ ითხოვდა მის განაწილებას არა სამ სახელმწიფოს შორის (სსრკ, ინგლისი, აშშ), არაშედ 4 ნაწილად. ჩერჩილის სიტყვით მეოთხე ნაწილი მოხშარდებოდა სხვა ქვეყნის, მაგალითად ნორვეგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რამდენადაც მან ომში „დიდი ზარალი" განიცადა. ასეთი განსხვავებული პოზიციების გამო საკითხზე იმდენად მძაფრი კამათი გაჩაღდა, რომ ადმირალ ხ. კუზნეცოვის სიტყვით, ჩერჩილმა ვერ გაუძლო დაძაბულობას, რამდენჯერმე წამოდგა და, სტალინის შესაშური სიმშვიდის მიუხედავად, თურმე „უხეში გამოთქმებიც" იხმარა. ხანგრძლივი პოლემიკის შემდეგ სამი მეთაური შეთანხმდა, გამოეყოთ ექსპერტები, რომლებიც ერთად შეიმუშავებდნენ „შეთანხმებული პრინციპების განხორციელების დეტალურ გეგმებს". საბოლოოდ აღნიშნული საკითხი მაინც საბჭოთა წი-

ხადადების საფუძველზე გადაწყდა, რადგან დავლის სახით მიღებული ფლოტი გაიყო სამ ნაწილად. ყველა სახის ხომალდები მიიღეს: სსრ კავშირმა — 656, აშშ — 590, ინგლისმა — 545.

კონფერენციამ მოაგვარა სსრ კავშირისათვის კენიგსბერგის ოლქის გადაცემის საკითხი. იგი, როგორც ცხობილია, პირველად თეირახის კონფერენციაზე დაისვა. მოკავშირეები შაშინ გაგებით მოეკიდნენ აღნიშნულ იდეას. ერთ-ერთ სხდომაზე ჩერჩილმა მას „საინტერესო წინადადებაც“ უწოდა. საბჭოთა მოთხოვნა იმდენად საფუძვლიანი იყო, რომ დასავლეთელ მოკავშირეებს მის დადებით გადაწყვეტაზე წინააღმდეგობა არც ამჯერად გაუწევიათ. და მართლაც, პოტსდამის კონფერენციის დადგენილებით საბჭოთა კავშირს გადაეცა ქალაქი კენიგსბერგი და მომიჯნავე რაიონები. ეს იყო დიდი მნიშვნელობის ფაქტი. ჯერ ერთი, სსრ კავშირმა მიიღო უყინვადი ნავსადგური ბალტიის ზღვაზე. და, მეორეც, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის საბჭოთა კავშირისათვის გადაცემით სამუდამოდ მოიშალა გერმანიის აგრესიის დასაყრდენი აღმოსავლეთ პრუსიაში.

გერმანიის პრობლემასთან დაკავშირებული აღმოჩნდა „თავარ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლების საკითხიც. სამივე დელეგაცია ერთსულოვანი იყო ომის დამნაშავეთა გასამართლების აუცილებლობაში, მაგრამ ამჯერად კამათი გამოიწვია მათი ვინაობის დასახელებამ. საბჭოთა მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონკრეტული პიროვნების აღნიშვნას და ამიტომ მოითხოვდა „განსაკუთრებით ოდიოზურ“ დამნაშავეთა გვარების (გერინგი, ჰესი, რიბენტროპი, კაიტელი და სხვ.) მითითებას. საბჭოთა პრემიერის სიტყვით ამით „ჩვენ პოლიტიკურად მოვიგებთ და ევროპის საზოგადოებრივი აზრიც კმაყოფილი იქნება“. რაც შეეხება ინგლისის დელეგაციას, იგი მთავარ დამნაშავეთა დასახელების წინააღმდეგი იყო. ამერიკელები თავდაპირველად საბჭოთა წი-

სადადებას ემხრობოდნენ, მაგრამ კამათის პროცესში შეცვალეს აზრი და იხგლისელებს დაუჭირეს მხარი. საბოლოოდ შეთანხმდნენ კომპრომისულ საბჭოთა წინადადებაზე „არ უგვიანეს, ვიდრე ერთი თვის შემდეგ (პირველ სექტემბრამდე — ა. ს.) გამოქვეყნებულ იქნეს იმ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პირველი სია, რომლებიც სამართალში იქნებიან მიცემულნი“.

ამრიგად, კონფერენციამ იმსჯელა გერმანიის მომავალთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე და მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. გერმანიის მიმართ მოკავშირეთა პოლიტიკას საფუძვლად დაუდო დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის პრინციპი, რაც მიზნად ისახავდა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ მის განვითარებას. ამაზე მიუთითებდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა ოფიციალური საზეიმო განცხადებაც: „მოკავშირეებს განზრახული აქვთ, შესაძლებლობა მისცენ გერმანელ ხალხს, მოემზადოს იმისათვის, რომ შემდეგში განახორციელოს თავისი ცხოვრების რეკონსტრუქცია დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე. თუ გერმანელი ხალხის საკუთარი ღონისძიებანი განუწყვეტლივ მიმართული იქნება ამ მიზნის მიღწევისაკენ, მისთვის შესაძლებელი იქნება, დროთა განმავლობაში დაიკავოს ადგილი მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობიან ხალხთა შორის“.

ცხადია, ძლიერი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სუვერენული სახელმწიფოს შექმნა სრულიადაც არ იყო ინგლის-ამერიკის მთავრობათა მიზანი. დამარცხების შემდეგ ამ ქვეყანას ისინი მიიჩნევდნენ ევროპაში გაბატონებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად, მაგრამ თუ აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, ეს იძულებით და გარკვეული მოსაზრებით: ჯერ ერთი, ანგარიში გაუწიეს ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურების შემდეგ პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფებას ევროპაში. და მეორეც, გაითვალისწინეს

ანტიფაშისტური კოალიციის ომისდროინდელი ნაყოფიერი თანამშრომლობით აღფრთოვანებული თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის პოზიციაც. ამის მიუხედავად კონფერენციაზე ჩანდა, რომ ზოგიერთი საკითხის ვადაწყვეტილას ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეები ღაუფარავად ცდილობდნენ წანამძღვრების შექმნას თავიანთი რეაქციული ანტისაბჭოთა პოლიტიკის განხორციელებისა და ევროპის განთავისუფლებული ქვეყნების დაქვემდებარებისათვის.

კონფერენციაზე მწვავე კამათი გაჩაღდა პოლონეთის საკითხზე. საქმე ეხებოდა ძირითადში მისი მთავრობისა და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისადმი დამოკიდებულებას. მართალია, ამის შესახებ არსებობდა იალტის კონფერენციის გადაწყვეტილება, რის შესაბამისადაც პოლონეთს დაუბრუნდა გერმანიის მიერ მიტაცებული დასავლეთის ოლქები. მაგრამ მისი ცნობა და დასავლეთ ნოისე-ოდერის აღიარება ამ ქვეყნის დასავლეთ საზღვრად ინგლის-ამერიკის მთავრობებს არასგზით არ სურდათ. კიდევ მეტი, ამერიკის დელეგაცია შეუძლებლად თვლიდა დასავლეთი ტერიტორიების საკითხის მოგვარებას საზავო კონფერენციის მოწვევამდე, თუმცა იმ დროისათვისაც თავს იკავებდა პოლონეთის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის რაიმე დაპირების მიცემაზე. სხვათა შორის, დასავლეთელი მოკავშირეები არც არციშევსკის ემიგრანტულ მთავრობასთან წყვეტდნენ კავშირს, თუმცა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებული იყვნენ ეცნოთ იალტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ვარშავაში უკვე შექმნილი ეროვნული ერთიანობის მთავრობაც. ცხადია, ეს გარემოება აბრკოლებდა დემოკრატიული და სუვერენული პოლონეთის მშენებლობას, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგებას. ამიტომ საბჭოთა დელეგაციამ პოტსდამის კონფერენციის მეორე სხდომაზე წარადგინა პროექტი პოლონეთის შესახებ, რომელშიც მოითხოვა არა მარტო დასავლეთ ნოისე-ოდერის ცნობა ამ ქვეყნის დასავლეთ საზღვრად და ამით ისტორიული უსამართ-

ლობის გამოსწორება, არამედ კავშირის გაწყვეტა ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან და ინგლისში გატანილი ფონდების, ფასეულობისა და ყველა სხვა ქონების დაბრუნება, აგრეთვე უცხოეთში განლაგებული სამხედრო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაქვემდებარება პოლონეთის ეროვნული ერთიანობის მთავრობისათვის.

მოკავშირეთა დელეგაციები წინ აღუდგნენ აღნიშნულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. მართალია, აშკარად და პირდაპირ არ გამოდიოდნენ, მაგრამ სხვადასხვა ხრიკებით აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას. მაგალითად, ჩერჩილის სიტყვით, პოლონეთისათვის კუთვნილი სიმდიდრის დაბრუნება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ეროვნული ერთიანობის მთავრობა ივალდებულებდა დიდი ბრიტანეთისათვს 120 მლ. გირვანქა სტერლინგის გადახდას იმ ავანსის ანგარიშში, რომელიც ლონდონის ემიგრანტულმა მთავრობამ მიიღო: ამაზე სტალინმა სამართლიანად შენიშნა: გარკვეული თანხები ჩვენც მივეცით, როგორც ემიგრანტულ, ისე ეროვნულ მთავრობებს, მაგრამ, „ვფიქრობთ, რომ პოლონელმა ხალხმა თავისი სისხლით გამოისყიდა ეს ვალი". რაც შეეხება კანონიერი მეპატრონისათვის დასავლეთი ოლქების დაბრუნებას, ტრუმენი იმიზეზებდა, იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ამაზე არაფერია ნათქვამიო. კიდევ მეტი, პრეზიდენტი ადანაშაულებდა სსრ კავშირს იმაში, რომ მოკავშირეებთან კონსულტაციისა და რაიმე თანხმობის გარეშე გერმანიის თავისი ზონიდან მისცა ტერიტორიები პოლონეთს. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის საპასუხო არგუმენტი აქაც საკმაოდ ლოგიკური იყო, რამდენადაც: ჯერ ერთი, იალტაში დიდმა სამეულმა დაადგინა პოლონეთისათვის ტერიტორიების მიმატება ჩრდილოეთითა და დასავლეთით: მეორეც, ამის შესაბამისად ამ ქვეყანას გადაეცა მხოლოდ ისტორიული პროვინციები; და მესამეც. აღნიშნულის შესახებ საბჭოთა მთავრობას ინფორმირებული ჰყავდა მოკავშირეებიც, როდესაც მათ ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა მიმოწერას წითელი არმიის მიერ გან-

თავისუფლებულ ოლქებში პოლონური ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შესახებ.

სხვათა შორის, აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობდა სპეციალურად მოწვეული პოლონეთის დროებითი მთავრობის დელეგაცია ბოლესლავ ბერუტის ხელმძღვანელობით. ინგლის-ამერიკის მხარე თავიდან წინააღმდეგი იყო პოტსდამში პოლონელთა მოწვევისა, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის არგუმენტირებული მოთხოვნის შემდეგ ინგლისის პრემიერი დათანხმდა ამაზე „პრაქტიკული გადაწყვეტილების“ მიღწევის მიზნით. მართლაც, ბ. ბერუტმა მოკავშირეებს ერთხელ კიდევ ვრცლად დაუსაბუთა დასავლეთ ოლქებზე პოლონელთა პრეტენზიების სამართლიანობა, რამაც კონფერენციის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ინგლის-ამერიკის დელეგაციები იძულებული გახდნენ, მიეღოთ საბჭოთა პროექტი. ამრიგად, გადაწყდა რომ მოკავშირეები ამიერიდან ურთიერთობას გაწყვეტდნენ ყოფილ ემიგრანტულ მთავრობასთან, შესაძლებელ ზომებს მიიღებდნენ პოლონეთისათვის ეროვნული სიმდიდრის დასაბრუნებლად, დაეხმარებოდნენ საზღვარგარეთ მყოფ პოლონელებს. მათ შორის პოლონეთის შეიარაღებული ძალებისა და სავაჭრო ფლოტის წევრებს. სამშობლოში მალე დაბრუნებაში და ცნობდნენ პოლონეთისათვის ჩრდილოეთისა და დასავლეთის ტერიტორიების გადაცემის კანონიერებას. მართალია, დადგენილებაში იყო შენიშვნა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ საზავო კონფერენციაზე გადაწყდებაო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოტსდამში მიზანშეწონილად ცნეს გერმანელთა გადასახლება პოლონეთისათვის დასაბრუნებელი მიწა-წყლიდან, მაშინ ცხადი გახდება, რომ საქმე ეხებოდა ტერიტორიების არა დროებით, არამედ მუდმივ გადაცემას. ასე რომ საზავო კონფერენციას მხოლოდ წერილობით უნდა დაედასტურებინა და გაეფორმებინა უკვე მომხდარი ფაქტი.

მიღებულ გადაწყვეტილებას პოლონეთის შესახებ, განსაკუთრებით კი მისი საზღვრების საკითხზე, უდიდესი მნიშვნე-

ლობა ჰქონდა. პირველად ისტორიაში დაწესდა პოლონეთის საზღვრის ხაზი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს და პასუხობდა, აგრეთვე, ევროპის უშიშროების ინტერესებსაც. ამის შედეგი იყო, რომ აღნიშნული საზღვარი, როგორც ერთადერთი და კანონიერი, დაადასტურეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1950 წლის 6 ივლისის ხელშეკრულებით. 25 წლის შემდეგ იგი ცნო გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც საბჭოთა კავშირთან 1970 წლის 12 აგვისტოს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან 1970 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებითაც.

ასევე დიდი კამათი გამოიწვია განთავისუფლებული ევროპის ხალხებთან, კერძოდ გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან თუ დაპყრობილ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხმა. იგი აშშ დელეგაციამ წამოიწყო, ინგლისმა კი მხარი აუბა. სწორედ აქ გამოჩნდა მკვეთრად მოკავშირეების „მტკიცე კურსი“ საბჭოთა ქვეყნის მიმართ და შეურიგებლობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებისადმი. კერძოდ, ამერიკის მხარემ მოითხოვა სამივე მთავრობის შეთანხმება რუმინეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში არსებული მთავრობების დაუყოვნებლივი რეორგანიზაციისათვის, ამისათვის კი უნდა დაეწყოთ ურთიერთკონსულტაციები საამისოდ საჭირო პროცედურის შემუშავებისა და ამ ქვეყნებში „ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალი“ არჩევნების ჩატარებისათვის. აშშ პრეზიდენტის აზრით მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი ამ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებაც. ტრუმენი დაჟინებით იმეორებდა „დიპლომატიურ ურთიერთობას ამ მთავრობებთან მანამდე ვერ აღვადგენთ, ვიდრე ისინი იმგვარად არ იქნებიან ორგანიზებული, როგორც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნიაო“. ასეთივე პოზიცია დაიკავა ინგ-

ლისა დელეგაციამ, რომელმაც განაცხადა რომ აღნიშნული საკითხის მოგვარების გარეშე არ ცნობს ამ სახელმწიფოთა მთავრობებს.

აღნიშნულ საკითხს რომ აყენებდა, აშშ პრეზიდენტი იმოწმებდა იალტაში მიღებულ „დეკლარაციას განთავისუფლებული ევროპის შესახებ“, რომლის მიხედვითაც სამი სახელმწიფოს მთავრობებმა შეათანხმეს „პოლიტიკა ნაცისტური გერმანიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისა და ევროპის ღერძის ყოფილ სატელიტ სახელმწიფოთა ხალხებისათვის დახმარების გაწევის საქმეში, იმ პირობით თუ ისინი დემოკრატიულად გადაწყვეტენ... საარსებო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს“, აღმოფხვრიან ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელ კვალს და საკუთარი არჩევანით შექმნიან დემოკრატიულ დაწესებულებებს. ამ გზაზე არსებულ წინააღმდეგობათა გათვალისწინებით დოკუმენტის ავტორებმა მაშინ ივალდებულეს: „ა) შექმნან შინაგანი მშვიდობის პირობები; ბ) განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი გაჭირვებული ხალხებისათვის დახმარების გასაწევად: გ) შექმნან დროებითი მთავრობების ხელისუფლებანი, რომლებიც ფართოდ წარმოადგენენ მოსახლეობის ყველა დემოკრატიულ ელემენტს და მოვალენი იქნებიან, რაც შეიძლება მალე შეადგინონ თავისუფალი არჩევნების გზით მთავრობები, რომლებიც უპასუხებენ ხალხის ნებას და დ) ხელი შეუწყონ, სადაც საჭირო აღმოჩნდება, ასეთი არჩევნების მოწყობას“. მოჰყავდა რა ეს დოკუმენტი, ამერიკის დელეგაცია „ამტკიცებდა“, რომ უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში არსებული რეჟიმი ანტიდემოკრატიულია, მთავრობები — ანტიხალხური და მაშასადამე დეკლარაციის ძირითადი პრინციპებიც დარღვეულიაო.

თუ აღნიშნული დოკუმენტის შუქზე შევისწავლით ამ ქვეყნების 1945 წლის მდგომარეობას, ვნახავთ, რომ არ არსებობდა არავითარი საფუძველი სამი დიდი სახელმწიფოს ჩარევისა მათ საშინაო ცხოვრებაში. სამამულო ფრონტის მთავრობის შექმნამ ბულგარეთში (1944 წლის სექტემბერი) და დემო-

კრატიული მთავრობის ფორმირებამ რუმინეთში (1945 წლის მარტი) საბოლოო ლახვარი ჩასცა ფაშიზმს და მოამზადა ნიადაგი ამ ქვეყნებში დემოკრატიული გარდაქმნებისათვის (აგრარული რეფორმა, მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაცია და ა. შ.). ამასთან აღნიშნული მთავრობები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაზავების პირობებს. მაშასადამე, აშშ მთავრობას არ ჰქონდა არავითარი ფორმალური საფუძველიც კი პრეტენზიებისათვის უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიულ მთავრობათა მიმართ. პირიქით, იგი თვით არღვევდა დეკლარაციის ძირითად პრინციპს, რომელიც ითვალისწინებდა „შინაგანი მშვიდობის პირობების“ უზრუნველყოფას განთავისუფლებული ხალხებისათვის.

საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიულად უარყო ამერიკის აღნიშნული წინადადება, რამდენადაც იგი მოასწავებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დაკაბალების, არსებული დემოკრატიული წყობილების დამხობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობების აღდგენის ცდებს. საბჭოთა პრემიერმა ვადაჭრით მოითხოვა არა მარტო რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან, არამედ ფინეთთან საზავო ხელშეკრულებების გაფორმება და იქ უკვე შექმნილი მთავრობების ცნობა, რადგან ისინი, იალტის ცნობილი დეკლარაციის შესაბამისად, ჩამოყალიბდნენ დემოკრატიულ პრინციპზე და იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ. სტალინმა მიუთითა, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ სახელმწიფოების მიღების აუცილებლობაზეც. ამ პოზიციიდან მან მკაცრად გააკრიტიკა მოკავშირეთა წინადადება იტალიასთან დაზავების პირობების შეცვლის შესახებ. ისინი იშველიებდნენ აშკარად ყალბ თეზისს თითქოს იტალიამ, როგორც გერმანიის სატელიტმა, ნაკლები ზარალი მიაყენა აშშ, ინგლისს და საბჭოთა კავშირს, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ზემოაღნიშნულმა ქვეყნებმა. სინამდვილეში კი გამოყოფდნენ რა იტალიას მტრული სახელმწიფოების რიგიდან, ამერიკელებს და ინგლისელებს სურდათ წარმოედგინათ იგი

სხვებისათვის მისაბაძ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომ ამის საფუძველზე გაეფორმებიათ მასთან საზავო ხელშეკრულებები, მიეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და ამით უზრუნველეყოთ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა აპენინის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნახევარკუნძულზე. საბჭოთა მხარე წინააღმდეგი არ იყო იტალიის მთავრობის ცნობაზე, არც საერთაშორისო ორგანიზაციაში მისთვის ადგილის გამოყოფაზე, მაგრამ მოითხოვდა ასეთივე შეღავათებს რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის მიმართაც, მითუმეტეს რომ ამ უკანასკნელთა მთავრობები უფრო დემოკრატიულია, ვიდრე იტალიაში არსებული ხელისუფლება. სტალინი ეთანხმებოდა მოკავშირეებს, რომ იტალიამ „პირველმა დაჰყარა იარაღი და შემდგომ გვეხმარებოდა ომში გერმანიის წინააღმდეგ". მაგრამ აქვე აღნიშნავდა: „ასეთივე პლუსები" აქვთ რუმინეთსაც, ბულგარეთსაც და უნგრეთსაც, რომლებსაც „კაპიტულაციის მეორე დღესვე დასძრეს თავიანთი ჯარები" მტერთან ბრძოლისათვის. ამიტომ არ უნდა მოხდეს „ხელოვნური დაყოფა: ერთი მხრივ იტალია, რომელსაც მდგომარეობა უმსუბუქდება, ხოლო მეორე მხრივ — რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და ფინეთი, რომელთა მდგომარეობის შემსუბუქება ნავარაუდევი არ არის".

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მოკავშირეებმა მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც ფორმულირებული იყო დოკუმენტში—„საზავო ხელშეკრულებათა დადებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაშვების შესახებ". მართალია, მასში ნათქვამი იყო იტალიასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე და ახალ-საერთაშორისო ორგანიზაციაში მის დაშვებაზე. რადგან „მატერიალური წვლილი შეიტანა" გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და გააკეთა „დიდი პროგრესი" დემოკრატიული მშენებლობის გზაზე, მაგრამ აქვე მითითებული იყო, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ ბულგარეთის, ფინეთის, უნგრეთისა და რუმი-

ნეთისათვის ასეთივე საზავო ხელშეკრულებათა მომზადების აუცილებლობაზე. ამასთან სახელმწიფოთა მეთაურები შეთანხმდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათ ძიწვევაზეც, თუ ისინი გამოთქვამდნენ საამისო სურვილს და იკისრებდნენ ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ასევე დაძაბული იყო საუბარი იუგოსლავიის საკითხზე. მოკავშირენი განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ამჟღავნებდნენ იუგოსლავიის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის ი. ტიტოსა და ემიგრანტული მთავრობის პრემიერის ი. შუბაშიჩის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი (7.3.1945) ცენტრალური მთავრობისადმი. მართალია, ამ უკანასკნელში ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შევიდნენ, რის გამოც კონტრრევოლუციას მიეცა პოლიტიკური მუშაობის რამდენადმე გააქტივების შესაძლებლობა, მაგრამ ეს მაინც არ კმაროდა ახალი ცხოვრების მშენებლობის ჩაშლისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. არ კმაროდა იმიტომ, რომ მთავრობის 30 წევრიდან 27 ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელი იყო. ამასთან, მათ ეკავათ ყველა უმნიშვნელოვანესი (მათ შორის პრემიერ-მინისტრის) თანამდებობაც. ცხადია, „ერთპარტიული რეჟიმი", როგორც ჩერჩილმა უწოდა იუგოსლავიაში შექმნილ ვითარებას, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა ამ ქვეყნის მიმართ დასავლეთელ მოკავშირეთა გეგმების განხორციელებას. ამიტომ ამ საკითხზე იალტის კონფერენციის დადგენილება გამოაცხადეს „შეუსრულებლად" და მოითხოვეს ეროვნულ კომიტეტსა და ემიგრანტულ მთავრობას შორის „ხელისუფლების თანაბარი განაწილება". ამ მიზნით მათ სცადეს ესარგებლათ 1945 წლის ზაფხულის არჩევნებით და კომუნისტურ პარტიაზე მემარჯვენეთა ზეგავლენის გაძლიერებით მიეღწიათ ძალთა სასურველი თანაფარდობისათვის ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. როცა ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა, მაშინ კონტრ-

რევოლუციამ და საერთაშორისო რეაქციამ პოტსდამის კონფერენციის გამოყენება მოინდომა.

მართლაც, 18 ივლისს, სტალინთან საუბარში ჩერჩილმა აღნიშნა იუგოსლავიაში ხელისუფლების განაწილების აუცილებლობა, ხოლო მეორე დღის სხდომაზე ოფიციალურად მოითხოვა, დიდ სამეულს დაუყოვნებლივ განეხილა ეს საკითხი. ბრიტანეთის პრემიერი მიუთითებდა, რომ იუგოსლავიის საკითხზე იალტის კონფერენციის დეკლარაცია არ სრულდება თვით იუგოსლავიაში. საილუსტრაციოდ იგი იშველიებდა „არგუმენტებს“: „არ მიუღიათ კანონი არჩევნების შესახებ, საბჭოს ასამბლეა არ გაუფართოებიათ, იურიდიული პროცედურა არ აღუდგენიათ, ტიტოს ადმინისტრაციის კონტროლს უწევს მის მიერ შექმნილი პარტიული პოლიცია, პრესასაც კონტროლს უწევენ ისევე, როგორც ზოგიერთ ფაშისტურ ქვეყანაში“, რის გამოც „იუგოსლავიაში არსებული მდგომარეობა ვერ ამართლებს ჩვენს იმედებსო“.

ამერიკის დელეგაცია დაეთანხმა ინგლისელებს, ტრუმენმა განაცხადა: „სწორია, რომ იუგოსლავია არ ასრულებს ყირიმის კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებას“, რისთვისაც „უნდა მივუთითოთ იუგოსლავიის მთავრობასო“.

საბჭოთა დელეგაციამ მაშინვე შეიცნო მოკავშირეთა გეგმები. კატეგორიულად უარყო ბრალდებანი იუგოსლავიის ცენტრალური მთავრობისადმი და დაასაბუთა, რომ ეს უკანასკნელი „მთლიანად და სავსებით ასრულებს ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებს“. ამის მიუხედავად, საბჭოთა მეთაური თანახმა იყო, იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შუქზე, იუგოსლავიაში არსებული მდგომარეობის განხილვისა. მაგრამ მხოლოდ ამ ქვეყნის წარმომადგენლებს თანდასწრებით. იდენის შენიშვნაზე, რომ იალტაში ამ უკანასკნელთა გარეშე შეთანხმდა დიდი სამეული იუგოსლავიის შესახებ, სტალინმა უპასუხა: „ახლა ეს მოკავშირე ქვეყანა, საიც შექმნილია კანონიერი მთავრობა. არ შეიძლება ასეთი საკითხის გადაწყვეტა, თუ იუგოსლავიის წარმომადგენლები არ

მონაწილეობენ. მაშინ ორი მთავრობა იყო და ვერაფრით ვერ მორიგებულიყვნენ ერთმანეთში. ჩვენ ჩავერიეთ ამ საქმეში. ახლა კი ერთი კანონიერი მთავრობაა. მოვიწვიოთ იუგოსლავიის წარმომადგენლები, მოვუსმინოთ მათ, შემდეგ კი მივიღოთ გადაწყვეტილება-ო".

ასეთი არგუმენტირებული წინადადების ზეგავლენით აშშ დელეგაციამ შეცვალა თავისი პოზიცია. კერძოდ, ტრუმენი იუგოსლაველთა გამოძახების წინააღმდეგი წავიდა. კიდევ მეტი, პოლიტიკური საჩივრების განხილვას მან უწოდა დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვა და უმჯობესად მიიჩნია იუგოსლავიის საკითხზე წამოჭრილი დავის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

აშშ დელეგაციის პოზიციის ასეთ შეცვლას საფუძვლად ჰქონდა გარკვეული მოსაზრებანი. ჯერ ერთი, პრეზიდენტი უფრო იყო დაინტერესებული წყნარი ოკეანის პრობლემით, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკითხით. ამიტომ არ მოინდომა იმ ვითარებაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გართულება, რადგან მის პოზიციაზე იყო დამოკიდებული იაპონიასთან ომის წარმატებით დამთავრება. და, მეორეც. 1945 წლის 11 აპრილს სსრკ-იუგოსლავიას შორის გაფორმდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება და ცხადი იყო, საბჭოთა ქვეყანა აქტიურად დაეხმარებოდა მოკავშირეს მის საშინაო საქმეში გარედან სხვისი ჩარევის შემთხვევაში. ამის გამო ტრუმენი მოერიდა აშკარა კოხფლიქტს სსრ კავშირთან, რამაც საბოლოოდ იუგოსლავიის საკითხის გადადება გამოიწვია. მართალია, 31 ივლისის სხდომაზე, ინგლისის დელეგაციამ, ამჯერად კ. ეტლის მეთაურობით, კვლავ მოინდომა აღნიშნული საკითხის განხილვა, მაგრამ საბჭოთა მხარის მტკიცე პოზიციის წყალობით იგი უშედეგოდ დასრულდა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ჩაიშალა პოლონეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთსა

და უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების მშენებლობის შეფერხებისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მოკავშირეებისეული გეგმები; მაშასადამე, სსრ კავშირი იყო ის ერთადერთი მძლავრი საერთაშორისო ძალა, რომელმაც იალტისა და განსაკუთრებით პოტსდამის კონფერენციებზე მტკიცედ დაიცვა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები და უზრუნველყო იქ სათანადო საგარეო პირობები სახალხო-დემოკრატიული წყობილების წარმატებითი მშენებლობისათვის. და მეორეც, ფინეთში არსებული დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე მთავრობის შენარჩუნება აჩქარებდა ურთიერთობის ნორმალიზაციას სსრ კავშირსა და ფინეთს შორის და წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს საბჭოთა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უშიშროების დაცვა-განმტკიცების თვალსაზრისით.

მწვავედ წარიმართა კამათი ავსტრიასთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზეც. საქმეს ართულებდა თვით ამ ქვეყნის გაორებული მდგომარეობა. ავსტრია, როგორც გერმანიისაგან დაპყრობილი, მაგრამ მოკავშირეების მიერ განთავისუფლებული სახელმწიფო, უნდა ემართა საკუთარ სუვერენულ მთავრობას. რამდენადაც იგი მონაწილეობდა ომში გერმანიის მხარეზე, ამდენად სსრ კავშირის, აშშ და ინგლისის ერთობლივ კონტროლსაც უნდა დაქვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე საბჭოთა დელეგაციამ კონფერენციაზე მოითხოვა, ეცნოთ 1945 წლის აპრილში კ. რენერის ხელმძღვანელობით შექმნილი ავსტრიის ანტიფაშისტური მთავრობა და მისი კომპეტენცია გაევრცელებიათ ქვეყნის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ინგლისისა და ამერიკის დელეგაციებმა, თუმცა წინააღმდეგი იყვნენ ავსტრიის დემოკრატიული მოწყობისა, გამოთქვეს აღნიშნული წინადადების შესწავლის სურვილი, მაგრამ, მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა სარდლობა დასცლიდა დასავლეთ რაიონებს და მათი ჯარები შევიდოდნენ ვენაში. ასეც შეთანხმდნენ, მაგრამ მოკავშირეები ნაკისრ ვალდებულებას მაინც არ ასრულებდნენ. ამის გამო ავსტრიის

საკითხი გაჭიანურდა. იგი მხოლოდ 1955 წელს მოგვარდა, როცა სსრკ, აშშ და ინგლისმა სცნეს ამ ქვეყნის მთავრობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც დააბყარეს.

კონფერენციამ ერთხელ კიდევ იმსჯელა და საბოლოოდ გადაწყვიტა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრ კავშირის მონაწილეობა. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, პირველად დაისვა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე პირლ-ჰარბორზე იაპონიის საჰაერო ძალების თავდასხმისა და ამ ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებისთანავე. 1941 წლის 8 დეკემ-ბერს რუზველტმა ვაშინგტონელ საბჭოთა ელჩთან მ. ლიტვინ-ოვთან საუბარში აღნიშნა იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭო-თა კავშირის მონაწილეობის მნიშვნელობა ამერიკისათვის. 1941 წლის 16 დეკემბერს და 1942 წლის 17 ივნისს პრეზი-დენტმა დასვა საკითხი საბჭოთა მთავრობის წინაშეც, მაგრამ მან, გასაგები მიზეზების გამო, მაშინ თავი შეიკავა. იგი ამ წი-ნადადებაზე, სავსებით სამართლიანად, საბოლოოდ არც თეი-რანში დათანხმდა. საკითხი არსებითად გადაწყდა იალტაში, როდესაც დიდმა სამეულმა ხელი მოაწერა იაპონიის წინააღ-მდეგ ერთობლივი ბრძოლის დოკუმენტს.

საბჭოთა მთავრობა ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას. პირობას არც ახლა ღალატობდა. მა-რთლაც, 1944-1945 წლების მიჯნაზე, როდესაც იაპონიამ სცა-და ომიდან გამოსვლა, საბჭოთა კავშირმა უპასუხოდ დატოვა მისი სამშვიდობო დემარშები: არ დაუშვა ჩვენს ქვეყანაში ია-პონიის გენშტაბის უფროსის გენ. სუგიიამას ვიზიტი; არ მიი-ღო იაპონელთა შემოთავაზებული ჩრდილოეთ სახალინის ნავ-თობისა და ქვანახშირის კონცესიები და, რაც მთავარია, 1945 წლის აპრილში მოახდინა იაპონიასთან გაფორმებული ნეიტრა-ლიტეტის პაქტის დენონსირებაც. ყველა ამ ფაქტის შესახებ ამერიკის მხარე დროულად იყო ინფორმირებული, მაგრამ ატომური ყუმბარის შექმნის შემდეგ ამ ქვეყნის „ულტრებმა (ე. წ. „ქორებმა") მოინდომეს სსრ კავშირისათვის გვერდის ავლა. აშშ სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა 22 ივლისს თავის

დღიურში ჩაწერა: იაპონიასთან ომში აშშ „აღარ სჭირდება რუსეთი“. ასეთივე აზრის იყო ჩერჩილიც, რომელიც დიდი იმედით შეხვდა ატომური ბომბის შექმნას. ამის მიუხედავად ტრუმენი, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებლად თვლიდა ომს საბჭოთა ქვეყნის გარეშე, რადგანაც, ჯერ ერთი, ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედროები სულ ახლახან ამას დაბეჯითებით მოითხოვდნენ; და, მეორეც, პრეზიდენტი შიშობდა, ატომურ უუმბარას იქნებ ვერ მოეხდინა სასურველი გავლენა იაპონიის მთავრობაზე. ამიტომ, რადგან შეთანხმება არსებობდა, ტრუმენი იძულებული იყო დაეცვა იგი. პრეზიდენტი იგონებს: „არსებობდა მრავალი მიზეზი პოტსდამში ჩემი გამგზავრებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი... კი იყო ის, რომ სტალინისაგან მიმეღო პირადი დასტური იაპონიის წინააღმდეგ ომში რუსეთის მოხაწილეობაზე, რითაც ჩვენი სარდლები ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი“. მართალია, იალტის კონფერენციამ ამ საკითხზე მიიღო შესაფერისი დადგენილება, ოაგრამ 1944-1945 წლებში იაპონელებმა ისეთი წარმატებით იბრძოლეს წყნარი ოკეანის აუზში (ხელთ იგდეს 200 ათასი კვ. კმ. ფართობი 60 მილიონი მცხოვრებით), რომ ამეოიკის მთავრობას, ატომური ყუმბარის არსებობის მიუხედავად, გამარჯვების რწმენა შეერყა. პრეზიდენტს აფიქრებდა ბრძოლები იაპონელთა თითქმის 6 მილიონიან არმიასთან. ამიტომ გერმანიასთან ომის დასრულების შემდეგ მისი ძირითადი საზრუნავი გახდა იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში სსრ კავშირის მონაწილეობის უზრუნველყოფა. რომ აეცილებინა მოსალოდნელი შეტაკება ამ არმიასთან ქვეყანაში შეჭრის დროს. ამის შემდეგ საკვლევით გასაგები იყო ინგლის-აშშ არმიათა სარდლობის დიდი ნაწილის ერთობლივი თხოვნა პრეზიდენტისადმი, „რუსების ჩაბმა იაპონიასთან ომში უნდა წავახალისოთო“.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ისწრაფოდა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებისა და ისტორიული უსამართლობის აღმოფხვრისათვის, კვლავ ერთგული დარჩა

იალტის კონფერენციაზე ნაკისრი სამოკავშირეო ვალდებულებისადმი. ამიტომ სტალინმა ჯერ 1945 წლის მაისის დამლევს ჰოპკინსთან საუბარში, ხოლო შემდეგ პოტსდამის კონფერენციაზე ოფიციალურად დაადასტურა საბჭოთა მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება იაპონიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე. ამით აიხსნება ტრუმენის დიდი სიხარული, როდესაც დაუფარავად აღნიშნა: „მე შევძელი მიმეღო თანხმობა სტალინისაგან კონფერენციის პირველსავე დღეს“.

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს სხვა საკითხებზეც. მაგალითად, საბჭოთა დელეგაციის წინადადებით განიხილეს ესპანეთში არსებული მდგომარეობისადმი დამოკიდებულება. რამდენადაც ფრანკოს რეჟიმი ფაშისტურია, რომლის „მოსპობით ჩვენ ვსპობთ ჰიტლერისა და მუსოლინის მემკვიდრეობას“, ამდენად საბჭოთა პრემიერმა მოითხოვა ამ ქვეყნის მთავრობასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა და დახმარება ესპანელი ხალხისადმი დემოკრატიული წყობილებისათვის ბრძოლაში. მოკავშირეები დაგვეთანხმნენ ესპანეთში შექმნილი რეჟიმის შეფასებაში, მაგრამ უარი თქვეს მასთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტაზე. ჩერჩილი, მაგალითად, კი ირწმუნებოდა, რომ „ბრიტანეთის მთავრობები — ახლანდელიც და წინანდელიც — სიძულვილით არიან გამსჭვალული ფრანკოსა და მისი მთავრობისადმი“, მაგრამ „ურთიერთობის გაწყვეტა“ მაინც „არადამაკმაყოფილებელ ხერხად“ მიაჩნდა. პრემიერი ამას თვლიდა ესპანეთის „ნაშინაო საქმეში ჩარევად“, რაც თითქოს დააჩქარებდა „სამოქალაქო ომის განახლების შესაძლებლობას“. მისი სიტყვით ინგლის-ესპანეთს შორის „დიდი ხანია“ არსებობდა ორმხრივ სარგებლიანი სავაჭრო ურთიერთობა და ამიტომ არ ისურვებდა მას რაიმე „საფრთხე შექმნოდა“. კიდევ მეტი, იგი წინააღმდეგი წავიდა დემოკრატიისა და პროგრესისათვის მებრძოლი ესპანელი ხალხისათვის დახმარების საკითხში იმ მოტივით, რომ ესპანეთი „არ იყო ჩაბმული ომში“, არ წარმოადგენდა სატელიტ ქვეყანას და „არ გააჩნია ავტორიტეტი მოკავშირეებს“. საბოლოოდ შე-

თანხმდნენ, არ მიეღოთ ფრანკისტული ესპანეთის მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

საინტერესო გამოდგა სამი ხელმძღვანელის აზრთა გაზიარება შავი ზღვის სრუტეების საკითხზე. საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა მონტრეს 1936 წლის კონფერენციის უარყოფა და სრუტეების მფლობელობის გადაცემა თურქეთისა და სსრ კავშირისათვის, როგორც ყველაზე დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის. ამასთან, შავი ზღვის აუზში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, საბჭოთა წინადადება ითვალისწინებდა, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობას ბოსფორში ან დარდანელში. მოკავშირეებმა შესაძლებლად ცნეს, გადაესინჯათ აღნიშნული კონვენცია, როგორც „ახლანდელი დროის პირობებისადმი შეუსაბამო". პრეზიდენტი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „შავი ზღვის სრუტეები უნდა გახდეს თავისუფალი სანაოსნო გზა". ანალოგიური იყო ინგლისის დელეგაციის პოზიციაც. ჩერჩილის სიტყვით საბჭოთა ქვეყანას „უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს სავაჭრო და სამხედრო ფლოტის თავისუფალი და დაუბრკოლებელი მიმოსვლა სრუტეებში როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს". მონტრეს კონვენციის გადასინჯვისადმი ასეთი ერთობლივი თანხმობის მიუხედავად დასავლეთელმა პარტნიორებმა უარყვეს მოთხოვნა სრუტეებში საბჭოთა ბაზის მშენებლობის შესახებ. ჩანს, მათ აშინებდა სრუტეებსა და უშუალოდ თურქეთზე საბჭოთა ქვეყნის გავლენის შესაძლებლობა (აღნიშნული საკითხი საბჭოთა მთავრობამ დღის წესრიგიდან მოხსნა 1953 წლის ზაფხულში თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით).

გარდა აღნიშნულისა, კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს აზრები აგრეთვე უახლოეს პერიოდში ირანიდან ჯარების თანდათან გამოყვანის, სურსათით ვენის შოგარაგების, ტახეერის საერთაშორისო ზონის, ლიბანისა და სირიისადმი დამოკიდებულების, მეურეეობისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ, შეიმუშავეს პოლიტიკური მნიშვ-

ხელობის რამდენიმე დოკუმენტი და ერთობლივი დირექტივა და 2 აგვისტოს დაასრულეს კიდეც მუშაობა.

ამრიგად, კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს და გადაწყვიტეს დემოკრატიულ პრინციპზე ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. გერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა თუ სხვა საკითხებზე მიღებული დადგენილებები უზრუნველყოფდნენ ხანგრძლივ და მტკიცე მშვიდობას, კაცობრიობის ნორმალურ განვითარებას. კონფერენციამ შემდგომ გააღრმავა თეირანისა და იალტის ტრადიციები, რადგან არა მარტო დაადასტურა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობა ომის დროს, არამედ ცხადყო ასეთივე თანამშრომლობის შესაძლებლობა ომისშემდგომ პერიოდშიც.

კონფერენციის ასეთი წარმატებითი მუშაობა განაპირობა საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის ავტორიტეტის ზრდამ, რაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში მისი გადამწყვეტი როლის შედეგი იყო. სოციალიზმის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძალთა თანაფარდობის შეცვლამაც ევროპაში, აგრეთვე თვით ინგლის-ამერიკის დაინტერესებულობამ, იაპონიასთან ომში ჩაებათ სსრკ; ამით აიხსნება, რომ საბჭოთა დელეგაციამ მრავალ სადაო საკითხზე დაითანხმა მოკავშირენი, თუმცა მათთან თანამშრომლობის გაფართოების მიზნით თავადაც არაერთი წინადადება მიიღო.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ კონფერენციის მონაწილეთა შორის არ იყო წინააღმდეგობანი. პირიქით, უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობისას აშკარად იგრძნობოდა აზრთა დაპირისპირებულობა, ურთიერთბრალდებები, მტრული თავდასხმებიც. საბჭოთა პოლიტიკას რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართ მოკავშირენი განიხილავდნენ, როგორც იალტის დეკლარაციის პრინციპების დარღვევას. თავის მხრივ, საბჭოთა მხარე მათ ამაში ადანაშაულებდა საბერძნეთისა და განსაკუთრებით ტრიესტის მიმართ, სადაც დაიჭარეს ფაშისტური

რეჟიმების დამყარება; ინგლისელები და ამერიკელები აბრალებდნენ საბჭოთა მთავრობას, აგრეთვე, რუმინეთის ნავთობმრეწველობაში ომამდელი თავიანთი საკუთრების კონფისკაციას და სხვ. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა კონფერენციის მსვლელობაზე და აფერხებდა სადაო საკითხების წარმატებით გადაწყვეტას. ამის გამო ადრინდელ ნაყოფიერ თანამშრომლობას თანდათან ცვლიდა უნდობლობა და „ცივი ომის" ატმოსფერო, რომელიც დასრულებული სახით ოფიციალურად ჩამოაყალიბა ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ) წარმოთქმულ სიტყვაში. ამიტომ უდაოდ სწორი იყო ა. ვერტი, როცა პოტსდამის კონფერენციას დიდ სამეულს შორის კეთილგანწყობილებისა და მშვიდობის დასასრულის დასაწყისი უწოდა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში დასავლეთის, განსაკუთრებით კი ინგლისისა და აშშ ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ დაიწყო პოტსდამის გადაწყვეტილებათა აქტიური რევიზია. ბურჟუაზიული ისტორიკოსები, აგრეთვე პოლიტიკური მოღვაწეები (მათ შორს უკანასკნელ ხანს პრეზიდენტი რეიგანი) ვერ ურიგდებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებას და საბჭოთა კავშირს მათ ანექსიას აბრალებს. ინგლისელი მკვლევარი ჩ. უილმოტი წერს: „კომუნისტური რუსეთი ევროპაში ნაცისტური გერმანიის მემკვიდრე გახდა": ანალოგიური აზრი გამოთქვა ა. ტოინბიმ, როცა მიუთითა: აღმოსავლეთ ევროპაში, ფინეთის გარდა, სადაც კი შევიდნენ რუსები, მოხდა „გერმანული ტირანიის რუსულით შეცვლაო". კიდევ მეტი, პოლონეთის საკითხში ისინი საბჭოთა მთავრობას თვითნებობაშიც ადანაშაულებენ. იგივე უილმოტი, უარყოფს რა ისტორიულ სინამდვილეს, ურცხვად აღნიშნავს: „ლონდონთან და ვაშინგტონთან რაიმე კონსულტაციის გარეშე სტალინმა პოლონეთის მთავრობას სამმართველოდ გადასცა გერმანული ტერიტორიები ოდერამდე და ნოისემდე, მიჯნამდე, რომელ-

საც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი არასდროს არ ცნობ-დნენ". ასე რომ „პოლონეთის საკითხი" გადაწყდა „ადრინდელ ვალდებულებათა დარღვევით". ხოლო დასავლეთის სახელმწი-ფოები, მაკნეილის სიტყვით, „იძულებული გახდნენ დამორ-ჩილებოდნენ უკვე მომხდარ ფაქტს".

ამ აზრს კიდევ უფრო „აღრმავებენ" ა. ჰარიმანი და ჩ. ბოლენი, რომლებიც თავიანთ ზემოაღნიშნულ მოგონებაში „გულისტკივილით" მიუთითებენ: „დასავლეთის წარუმატებ-ლობა აღმოსავლეთ ევროპაში აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პრემიერ-მინისტრმა სტალინმა დაარღვია თავისი დაპირებაო". უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობას არ დაურღვევია კონ-ფერენციაზე მიღებული არც ერთი დადგენილება. პირიქით, იგი გახუხრელად იბრძოდა მათი დაცვისათვის, რადგან ისინი შეეფერებოდნენ ამ ქვეყნების ხალხთა მისწრაფებებს და უზ-რუნველყოფდნენ საბჭოთა საზღვრების უშიშროებას. მაშ რა წარუმატებლობაზეა ლაპარაკი? იმაზე, რომ აღმოსავლეთ ევ-როპაში აღარ არსებობენ სსრ კავშირისადმი მტრულად გან-წყობილი შლიახტური პოლონეთი, ბოიარული რუმინეთი, ჰორტისტული უნგრეთი და სხვ.

ცხადია, ისტორიული სინამდვილის გაყალბებით დასავ-ლეთის რეაქციულ ისტორიოგრაფიას სურს პოტსდამის კონ-ფერენციის როლის დაკნინება და სსრ კავშირისა თუ სახალ-ხო-დემოკრატიული სახელმწიფოების მიმართ თავიანთი „მტკიცე კურსის" პოლიტიკის გამართლება. ისტორიის ფალ-სიფიკატორთა ცდები განწირულია. ჯერ ერთი, უ. ჩერჩილი და კ. ეტლიც რომ არ დავიმოწმოთ, კონფერენციის მონაწილე-თა საუბრის უკვე გამოქვეყნებული ჩანაწერები, თავის დრო-ზე, სავსებით სწორად, მაღალ შეფასებას აძლევდნენ პოტსდა-მის მოლაპარაკების შედეგებს და ადასტურებდნენ იქ დასმულ ყველა საკითხზე (პოლონეთის დასავლეთ საზღვრის შესახებ მიღებულ დადგენილებაზეც) მოკავშირეთა სრუ-ლი თანხმობის არსებობას. და მეორეც, ისტორიული პროცე-სის მსვლელობამ, წარსულის ყველაზე დიდმა და უტყუარმა

მსაჯულმა, უკვე კარგა ხანია დაამტკიცა კონფერენციის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა ომისშემდგომი მსოფლიოს სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაში.

საგულისხმოა, რომ პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას თანამედროვე ეტაპზე. კონფერენციის 25 წლისთავთან დაკავშირებით აშშ, საფრანგეთისა და ინგლისის ხელმძღვანელებისადმი გაგზავნილ წერილში საბჭოთა მთავრობა სამართლიანად აღნიშნავდა: „პოტსდამის ძირითადი პრინციპები დღესაც ევროპაში ომისშემდგომი მშვიდობიანი მდგომარეობის საძირკველია. ამ პრინციპების განხორციელება ჩვენს დღეებში ნიშნავს ახლანდელი ევროპის საზღვრების შეუვალობის, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად წარმოშობილი პოლიტიკური რეალობის ცნობას, ევროპის კონტინენტზე საომარ უშიშროების უზრუნველყოფას“. ესეც პოტსდამის კონფერენციის დადგენილებათა მნიშვნელობისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თეირანის კონფერენცია	5
იალტის კონფერენცია	47
პოტსდამის კონფერენცია	86